

ვალიგენალებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე**
2016, №8

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2016, №8**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2016, №8**

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2016, №8**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ქათევან პარევალია**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

განვითარება

№ას-1189-1119-2015

23 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ.ქათამაძე,

ბ.ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

1. გ. ა-ემ სარჩელი აღდრა სასამართლოში მოპასუხე პ. ჩ-ის
მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის 2,550 აშშ დო-
ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ
მოსარჩელემ 2010 წლის 23 ნოემბერს ქ.ოზურგეთში მოპასუხი-
საგან შეიძინა ავტომანქანა, რაშიც გადაუხადა 2,550 აშშ დო-
ლარი. იმის გამო, რომ 23 ნოემბერი იყო დასვენების დღე, გ. ა-
ემ იმავე დღეს ვერ დაირეგისტრირა ავტომანქანა თავის სახელ-
ზე, თუმცა 2,550 აშშ დოლარი გადაუხადა მოპასუხეს და დაე-
უფლა ავტომანქანას. 2014 წლის 22 იანვარს ავტომანქანა ჩა-
მოართვეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რა დრო-
საც განუმარტეს, რომ ავტომანქანა იყო დაყადაღებული. მო-
სარჩელებ რამდენჯერმე უშედეგოდ მოსთხოვა მოპასუხეს
თანხის დაბრუნება.

II. მოპასუხის პოზიცია

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

4. მოპასუხის წარმომადგენელის განმარტებით, 2010 წლის
აგვისტოს თვეში მისმა მარწმუნებელმა მოსარჩელეს ავტომო-
ბილი გადასცა დოკუმენტაციასთან ერთად. მოსარჩელეს განე-
მარტა, რომ მოპასუხისათვის სხვა პირს უნდა გადაეფორმები-
ნა ავტომანქანა, ვინაიდან იგი სხვის სახელზე იყო რეგისტრი-
რებული, რაზედაც მოსარჩელეს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

5. 2010 წლის სექტემბრის თვეში, მოსარჩელე შეხვდა გ. ს-ეს
– ავტომანქანის ადრინდელ მფლობელს, რომელმაც ასევე გა-
ნუმარტა მას ავტომანქანის გადაფორმებასთან დაკავშირებით
არსებული პრობლემების შესახებ. თუმცა გ. ა-ემ მასაც უარი

განუცხადა ნივთის უკან დაბრუნებაზე.

6. ასევე, მოპასუხებ მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება

7. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე პ. ჩ-ეს დაეკისრა მოსარჩელე გ. ა-ის სასარგებლოდ 2,550 აშშ დოლარის ანაზღაურება.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

8. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა პ. ჩ-ემ, რომელმაც მოითხოვა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად ოზურგეთის რაიონული სასამართლოსათვის.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო პალატამ მიუთითა შეს იზურგეთის რაიონული სამმართველოდან გამოთხოვილ, წინასაგამოძიებო შემოწმების შედეგად შედგენილ მასალებზე, რომლიდანაც გ. ა-ის გამოყითხვის ოქმში დაფიქსირებული იყო, რომ 2010 წლის 23 ნოემბერს, გ. ა-ემ პ. ჩ-ისაგან 2550 აშშ დოლარად შეიძინა ავტომანქანა – ოპელ ასტრა. ვინაიდან, 23 ნოემბერი იყო დასვენების დღე, იმ დღესვე მანქანის გადაფორმება ვერ მოხერხდა. პ. ჩ-ემ აცნობა, რომ ავტომანქანა იყო პირველი მფლობელის, ქ. რუსთავში მცხოვრები 6. ყ-ის სახელზე რეგისტრირებული, მაგრამ აღნიშნული ფაქტი პრობლემას არ წარმოადგენდა და 10 დღეში ავტომანქანას გადაუფორმებდა. 10 დღის შემდეგ მიაჟითხა პ. ჩ-ეს, რომელმაც აცნობა, რომ 6. ყ-ი ადგილზე არ იმყოფებოდა და მოკლე დროში მოახერხებდა ავტომანქანის გადაფორმებას. პ. ჩ-ეს მოსთხოვა 6. ყ-ის ტელეფონის ნომერი, რათა პირადად დალაპარაკებოდა და მოეთხოვა მანქანის გადაფორმება. როდესაც დაურეკა და 6. ყ-ს მოსთხოვა გადაფორმება, მან აცნობა, რომ აღნიშნული მანქანა მისგან იყიდა გ. ს-ემ, რომელსაც მისაცემი ჰქონდა თანხის ნაწილი და თანხის სრულად გადახდის შემდეგ გადაუფორმებდა ავტომანქანას. არაერთი მოთხოვ-

ნის მიუხედავად, 4 წლის განმავლობაში პ. მხოლოდ ჰპირდებოდა, რომ მანქანას გადაუფორმებდა. 2014 წლის 22 იანვარს საპატირულო პოლიციამ ჩამოართვა ავტომანქანა, რაც აუქციონის წესით გასხვისდა.

11. სააპელაციო პალატამ მიუთითა შსს ოზურგეთის რაიონული სამართველოდან გამოთხოვილ, წინასაგამოძიებო შემონამების შედეგად შედგენილ მასალებზე, რომელშიც გ. ს-ის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული იყო, რომ 2009 წლის ზაფხულში, ნ. ყ-ისაგან შეიძინა ავტომანქანა ოპელ-ასტრა, რომლის თანხა 2-3 დღის ვადაში სრულად გადახსადა, რის შემდეგაც მანქანა მის სახელზე უნდა გადაფორმებულიყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ნ. ყ-მა მანქანა არ გადაუფორმა, შემდეგ კი საერთოდ ველარ მოახერხა მისი მოძებნა. დაახლოებით 10 თვის განმავლობაში, პირადად სარგებლობდა ავტომანქანით, შემდეგ კი, მიყიდა პ. ჩ-ეს იმ მოტივით, რომ დარწმუნებული იყო მანქანას პრობლემა არ შეექმნებოდა და ადრე თუ გვიან ნ-ს მოძებნიდა.

12. სააპელაციო პალატის მითითებით შსს ოზურგეთის რაიონული სამართველოდან გამოთხოვილ, წინასაგამოძიებო შემონების შედეგად შედგენილ მასალებში, პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებულია, რომ 2010 წელში, ა. ჟ-იას მეშვეობით შეიძინა ოპელ-ასტრა ფურგუნი, რომელსაც მეპატრონე ჰყიდდა 1100 აშშ დოლარად. ავტომობილი იყო დაშლილ მდგომარეობაში. ავტომანქანა შეიძინა იმ მოტივით, რომ აანყობდა და შემდეგ გაყიდდა. ავტომანქანის შეძენისას საპატრულო პოლიციოდან აიღო ცნობა, რომ მანქანაზე არანაირი ჯარიმა, ან ყადაღა არ არსებობდა. შეძენიდან სამ დღეში გ. ს-ეს უნდა გადაეფორმებინა ავტომობილი, რომელიც ნ. ყ-ის სახელზე იყო რეგისტრირებული. დაახლოებით ორი თვის ვადაში მოახერხა ავტომანქანის სრულად ანყობა. ავტომანქანა გაყიდა 2550 აშშ დოლარად. ავტომანქანის გაყიდვისას არ იცოდა, რომ პრობლემა შეექმნებოდა გაფორმებაზე.

13. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2015 წლის 11 მაისს, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა გ. ა-ის მეუღლე ე. გ-მ განმარტა, რომ 2010 წლის 23 ნოემბერს ოზურგეთში შეიძინეს ავტომანქანა, თუმცა იმავდროულად გაფორმება ვერ მოხდა, ვინაიდან დასვენების დღე იყო. იმავე დღეს გადაამონმეს, რომ მანქანა არ იყო უფლებრივად დატვირთული. 10 დღეში მიმართეს პ. ჩ-ეს მანქანისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნით. მას შემდეგ, ყოველთვეში ამონმებდნენ, მანქანაზე ყადაღა ხომ არ იქნა დადებული, როდესაც მანქანა ჩამოართვეს დაუკავშირდნენ პ. ჩ-ეს და მოს-

თხოვეს თანხა, შემდეგ კი, აუქციონზე მანქანის შესყიდვაში დახმარება, თუმცა უშედეგოდ. მანქანის შესყიდვის თარიღი ახ-სოვს იმდენად, რომ წინა დღეს შეეძინათ შვილიშვილი (იხ. სასა-მართლო სხდომის ოქმი).

14. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2015 წლის 11 მაისს, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, მოსარჩევეს შუამდგომლობით მოწმის სახით დაკითხულმა გ. ა-ის ახლობელმა, ნ. გ-ემ განმარტა, რომ 2010 წლის 23 ნოემბერს პ. ჩ-ეს გადაუხადეს ავტომანქანის საფასური და შეთანხმდნენ, რომ დღესასწაულის შემდეგ, მანქანას გადააფორმებდნენ. 10 დღის შემდეგ ისევ ახლდა გ. ა-ეს პ. ჩ-ესთან და მოითხოვეს მანქანის გადაფორმება, ან თანხის დაბრუნება. მოპასუხე ყველა შეხვედრაზე ჰპირდებოდა გაფორმებას. ამ მოთხოვნით გ. თვეში რამდენჯერმე ჩადიოდა პ-სთან (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი).

15. სააპელაციო პალატის მითითებით 2015 წლის 11 მაისს, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოპასუხის შუამდგომლობით, მოწმის სახით დაკითხულმა პ. გ-მა აჩვენა, რომ პ. ჩ-ე დაპირდა გ. ა-ეს, რომ ავტომანქანას გადაუფორმებდა 10 დღეში. როცა ვეღარ შეძლო გადაფორმება, ტელეფონით დაურეკა და შესთავაზა მანქანა დაებრუნებინათ და თანხა უკანვე მიეღოთ, რაზედაც უარი განუცხადეს ამ ზარის განხორციელებისას პ-სთან ერთად იმყოფებოდა (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი).

16. სააპელაციო პალატამ უდავო გარემოებად მიიჩნია, რომ პ. ჩ-ისაგან შეძენილი და ნ. ყ-ის სახელზე რეგისტრირებული ოპელის მარკის სადავო ავტომანქანა, 2014 წლის 22 იანვარს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ, ჩამოერთვა გ. ა-ეს და ნ. ყ-ის ვალდებულების შესრულების მიზნით, აუქციონის წესით გასხვისდა.

17. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ავტომანქანის ჩამორთმევისა და ნ. ყ-ის ვალდებულების შესრულების მიზნით, მისი აუქციონის წესით გასხვისების დროისათვის, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, გ. ა-ეს სასამართლო-სათვის სარჩელით არ მიუმართაავს.

18. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნივთის გადაცემად ითვლება, შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე

შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად.

19. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

20. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერობა გამომდინარეობდა 2010 წლის 23 ნოემბერს, ზეპირი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, რა დროსაც, გამყიდველმა პ. ჩ-ემ გ. ა-ეს პირდაპირ მფლობელობაში გადასცა ნასყიდობის საგანი, მოძრავი ნივთი-ავტომანქანა ოპელ ასტრა, ხოლო მყიდველმა – გ. ა-ემ გადაიხადა შეთანხმებული საფასური და მიიღო ნაყიდი ქონება. ამასთან, მხარები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი პ. ჩ-ე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოფდა ავტომანქანის მყიდველის, გ. ა-ის სახელზე გადაფორმებას.

სამოქალაქო კოდექსის 487-ე და 489-ე, 491-ე მუხლების თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისისუფალი ნივთი. ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ შესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება. მყიდველს შეუძლია, ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, გ. ა-ე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას უფლებრივი ნაკლის შემთხვევაში ნივთის მიყიდვას უკავშირებდა.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, სუსგ №ას-914-954-2011 და №ას-658-625-2014, რომლითაც დადგენილია შემდეგი: „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული კანონით იმპერატივულად დადგენილია სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, რაც თავისთავად არ წარმოადგენს ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს. რეგისტრაციის გან-

ხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება“.

ვინაიდან, 2010 წლის 23 ნოემბერს, ნასყიდობსა ხელშეკრულების დადებისა და გ. ა-ის მიერ ავტომობილის შეძენის დროისათვის ნივთზე პრეტენზია არავის გააჩნდა, მასზე რამე სახის უფლებრივი შეზღუდვა არ არსებობდა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნივთი უფლებრივად უნაკლოს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. 352-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარებს უბრუნდებათ (წატურით დაპრუნება). წატურით დაპრუნების წაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პ. ჩ-ემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – 10 დღის ვადაში გადაფიროვნებინა მყიდველისათვის ავტომობილი, არ შესარულა და არც დამატებით დაწესებულ ერთთვინა ვადაში არ განახორციელა გაყიდული ავტომობილის გ. ა-ის სახელზე რეგისტრაცია. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის საგნის საფასურის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების შესაბამისად, დასაბუთებულია.

21. ამასთან, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობდა მოძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს.

სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებებითა და მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, შსს ოზურგეთის რაიონული სამმართველოდან გამოთხოვილი, წინასაგამოძიებო შემოწმების შედეგად შედგენილი მასალებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ა-ემ პ. ჩ-ის

მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და ავტომანქანის მის სახელზე გადაფორმების შეუძლებლობის თაობაზე შეიტყო 2010 წლის 23 ნოემბრიდან 10 დღეში – 2010 წლის 3 დეკემბრისათვის. შესაბამისად, აღნიშნა, რომ გ. ა-ეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულების თაობაზე, ან ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2010 წლის 2 დეკემბერს და არა 2014 წლის 22 იანვარს, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა და აღნიშნული მოთხოვნით სარჩელი შეეძლო წარედგინა სამი წლის ვადაში – 2013 წლის 2 დეკემბრამდე. მ. გ. ა-ემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2014 წლის 7 აგვისტოს – სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

22. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394.1 მუხლზე, რომლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. 145-ე მუხლის თანახმად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გ. ა-ეს ზიანი მიადგა 2014 წლის 22 იანვარს, როდესაც საპატრულო პოლიციის მიერ ჩამოერთვა ავტომობილი და ნ. ყ-ის ვალდებულების შესრულების მიზნით აუქციონის წესით გასხვისდა.

იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის 22 იანვრისათვის გასული იყო ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 394.1 მუხლის თანახმად საფუძვლიანი იყო, თუმცა ამავე კოდექსის 145-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმული, რაც გამორიცხავდა ამ საფუძვლით გ. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

23. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა გ. ა-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

24. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს

მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებაში და აღნიშნავს, რომ ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ მართებულად დაადგინა მოთხოვნის წარმოშობის თარიღად 2014 წლის 22 იანვარი, მაშინ, როდესაც საპატრულო პოლიციამ კასატორს ჩამოართვა მანქანა და მისთვის ცნობილი გახდა, რომ მის საკუთრებას რეალური საფრთხე დაემუქრა. ამ დრომდე არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ ავტომანქანა ან მის სახელზე გადაფორმებულიყო, ან მასში გადახდილი თანხა მისთვის დაებრუნებინათ. შესაბამისად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ 2010 წლის 23 თებერვალს – გარიგების დადების დროისათვის, მყიდველისათვის ცნობილი იყო უფლებრივი ხარვეზი და ბუნებრივია მას უნდა და ევარაუდა, რომ რეგისტრირებული პირი რაიმე სახით მოახდენდა მის საკუთრებაში რეგისტრირებული ნივთის განკარგვას.

ასევე, კასატორმა აღნიშნა რომ სასამართლო სხდომაზე მოწმეებმაც დაადასტურეს, რომ კასატორმა მრავალჯერ მიმართა მოწინააღმდეგ მხარეს მანქანის გადაფორმების ან თანხის დაბრუნების მოთხოვნით (2 550 აშშ დოლარი), მაგრამ მან არც ერთი მოთხოვნა არ შეასრულა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ მიიღო შედევლობაში ის გარემოება, რომ მანქანის გაყიდვიდან ერთი წლის თავზე მოწინააღმდეგე მხარემ კასატორს შეატყობინა, რომ მანქანის გადაფორმებასთან დაკავშირებით არსებობდა პრობლემა, რის გამოც, იგი მზად იყო დაებრუნებინა კასატორისთვის ფული მანქანის სანაცვლოდ, რაც, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ამ მომენტამდე კასატორს არ შეეძლო ევარაუდა, რომ მანქანის გადაფორმება მასზე ევრ მოხერხდებოდა.

მას შემდეგ, რაც 2014 წლის 22 იანვარს კასატორს ჩამოერთვა მანქანა საპატრულო პოლიციის მიერ და მისთვის ცნობილი გახდა მანქანის დაყდაღების შესახებ, მან მიმართა ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს განცხადებით, რომ დაწყებულიყო გამოძიება თაღლითობის ფაქტზე პ. ჩ-ის მიმართ. მას აცნობეს, რომ გამოსაკითხი პირის გ. ს-ის ადგილსამყოფელის დადგენისა და ნ. ყ-ის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოხდებოდა მისი განცხადების განხილვა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით უნდა მიემართა სასამართლოსთვის, რის შემდგომაც, კასატორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, რაც ასევე ადასტურებს იმას, რომ კასატორს არ გაუშვია ხანდაზმულობის ვადა.

25. კასატორის განმარტებით, იგი ეთანხმება სააპელაციო

სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2010 წლის 23 ნოემბერს ავტომობილის შექენის დროისათვის ავტომობილზე რაიმე სახის შეზღუდვა არ არსებობდა და ნივთი უფლებრივად უნაკლო იყო. უფრო მეტიც, მას შემდეგ, კასატორმა რამდენჯერმე გადაამონმა და დარწმუნდა რომ ავტომობილზე ყადალა არ იყო დადებული და იგი შეძლებდა მის გადაფორმებას, რის გამოც მონინააღმდეგ მხარის მიმართ ნდობა ჯერ კიდევ ჰქონდა. ამიტომ, კასატორი არ ეთანხმება, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის დაბრუნების თაობაზე მოხვენა წარმოიშვა 2010 წლის 2 დეკემბერს და არა 2014 წლის 22 იანვარს, ვინაიდან, როგორც კასატორმა მიუთითა, მისთვის საკუთრების უფლების შეღავის შესახებ ცნობილი გახდა 2014 წლის 22 იანვარს.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით გ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

27. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანხმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

29. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შეძენები:

– გ. ა-ემ პ. ჩ-ისაგან 2550 აშშ დოლარად იყიდა ავტომანქანა „ოპელ ასტრა“.

– გამყიდველს გადაეცა ნასყიდობის საფასური – 2550 აშშ დოლარი, ხოლო მყიდველს – ზემოთ მითითებული ავტომანქანა. გამყიდველს მყიდველისათვის ავტომანქანა არ გადაუფორმება. მხარეთა შეთანხმების მიხედვით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში, პ. ჩ-ეს უნდა უზრუნველყო ავტომანქანის გადაფორმება გ. ა-ის სახელზე.

– სადავო ავტომანქანა „ოპელ ასტრა“ რეგისტრირებული იყო ადრინდელი მესაკუთრის – ნ. ყ-ის სახელზე.

– 2014 წლის 22 იანვარს, გ. ა-ეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩამოერთვა პ. ჩ-ისაგან შეძენილი და ნ. ყ-ის სახელზე რეგისტრირებული „ოპელ მარკის“ ავტომანქანა.

– მოგვიანებით, ზემოაღნიშნული ავტომანქანა აუქციონის წესით გასხვისდა ნ. ყ-ის ვალდებულების შესასრულებლად.

– გ. ა-ეს, ნ. ყ-ის ვალდებულების შესრულების მიზნით, მისი მოძრავი წივთის აუქციონის წესით გასხვისების დროისათვის, ავტომანქანის ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, სარჩელით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

30. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

31. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასულისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ ხანდაზმულობის ვადის დენა არასწორად დაუკავშირა 2010 წლის 2 დეკემბერს – დღეს, როდესაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ მოპასუხისაგან შეიტყო ავტომანქანის მის სახელზე გადაფორმების შეუძლებლობის შესახებ (იხ., გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

32. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზიის (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა პირველ რიგში, ყურადღებას მისქცევს სასარჩელო მოთხოვნის არსს, მისგან გამომდინარე იურიდიულ შედეგთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადის გავრცელების მარ-

თებულობასთან კავშირში.

33. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით სავალდებულოდ მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა მოძრავი ნივთის (ავტომანქანა „ოპელ ასტრა“) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ორმხრივი, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის სამართლებრივი რეგულირება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლში. მითითებული ნორმის დანაწესით, გამყიდველის მოვალებას წარმოადგენს მყიდველისათვის ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა, მასთან დაკავშირებული საბუთებისა და ნივთის მიაწოდება. ხოლო მყიდველის მოვალეობას კი – გამყიდველისათვის შეთანხმებული ფასის გადახდისა და ნაყიდი ნივთის მიღება.

დადგენილია, რომ მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის შეთანხმებული საფასური და მფლობელობაში მიიღო ნაყიდი ქონება.

ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი პ. ჩ-ე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოფდა ავტომანქანის მყიდველის, სახელზე გადაფორმებას, რაც გამყიდველმა ვერ უზრუნველყო. 2014 წლის 22 იანვარს კი, გ. ა-ეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩამოერთვა პ. ჩ-ისაგან შეძენილი და ნ. ყ-ის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა, რომელიც მოგვიანებით, აუქციონის წესით გასხვისდა ნ. ყ-ისავე ვალდებულების შესასრულებლად.

სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხეზე ავტომანქანის ნასყიდობის საფასურის – 2250 აშშ დოლარის დაკისრება წარმოადგენს.

მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვა წარმოადგენს, ხოლო იურიდიული შედეგი კი, ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობს. თავის შერივ, ვალდებულებს დარღვევის გამო, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი მოწესრიგება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველ ნაწილში. აღნიშნული ნორმა ბლანკეტური შინაარსისაა და შეიცავს დათქმას ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და ანესებს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (წატურით დაბრუნება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახ-

მად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ამ საგამონაკლისო უფლების გამოყენება გვაქვს სახეზე.

საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ კი, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ხელშეკრულების მხარის მიერ გასვლის უფლების გამოყენებას და მინიჭია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარის (მყიდველის) უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან მართლზომიერია თუმცა, ხანდაზმული (იხ., გასაჩივრებული გადაწყეტილება).

34. საკასაციო პალატა სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების განალიზების საფუძველზე განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება იმაშია, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმტურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლები).

ამდენად, საქმის განხილველი სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის სამართლებრივი დასკვნა, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ხანდაზმულობასთან მიმართებით, რაც ამავე სასამართლოს მოსაზრებით, საფუძვლად დაედო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების სწორი სამართლებრივი განმარტებიდან.

35. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე არ უმსჯელია, სარჩელი აღძრულია თუ არა იმ პირის ნინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, სახელდობრ, სასამართლოს არ უმსჯელია წარმოადგენდა თუ არა პ. ჩ-ე სათანადო მოპასუხეს, რამდენადაც მოცემულ საქმეზე დადგენილ იქნა იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანხმად:

– სადავო ავტომანქანა „ოპელ ასტრა“ რეგისტრირებული იყო ადრინდელი მესაკუთრის – 6. ყ-ის სახელზე.

– 2014 წლის 22 იანვარს, გ. ა-ეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩამოერთვა პ. ჩ-ისაგან შეძენილი და 6. ყ-ის სახელზე რეგისტრირებული „ოპელ მარკის“ ავტომანქანა.

– მოგვიანებით კი, ზემოაღნიშნული ავტომანქანა აუქციონის წესით გასხვისდა 6. ყ-ის ვალდებულების შესასრულებლად.

36. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების საფუძვლიანობის შემონმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით მოწესრიგებულია მოძრავი ნივთის შეძენის წესი და დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კახონძელებელი ამომწურავად ადგენს, თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად, ასეთად კი, მიჩნეულია: შემძენისათვის ნივთის გადაცემა პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია რა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, ასევე, მოძრავი ნივთის შემძენის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ფაქტი, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკენას, რომ გ. ა-ესა და პ. ჩ-ეს შორის შეთანხმება წარმოადგენდა ავტომანქანის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებას.

გ. ა-ე სარჩელით მოთხოვნილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას უკავშირებს.

ნასყიდობის საგანზე უფლებრივი ნაკლის არსებობის გარკვევის მიზნით, პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას – 2014 წლის 22 იანვარს, როდესაც საპატრულო პოლიციის მიერ გ. ა-ეს ჩამოერთვა ავტომანქანა, 6. ყ-ი წარმოადგენდა მოძრავი ნივთის მესაკუთრეს?

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ავტომანქანა „ოპელ ასტრა“ პ. ჩ-ის მიერ გადაცემული იყო გ. ა-ეს მფლობელობაში. ასევე დადგენილია ნივთის ლირებულების გადახდის ფაქტი, რაც მონმობს, რომ 6. ყ-ს 2010 წლის 23 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც ავტომანქანა გ. ა-ეს გადაეცა, ამ ნივთზე საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოში ნივთი კვლავ 6. ყ-ის სახელზე ირიცხებოდა.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 27 ოქტომბრის №ას-914-954-2011 განჩინებით განმარტა შემდეგი: „საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამონტურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძნად სავალდებულო რეგისტრაციას“. იგივე მსჯელობაა განვითარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-658-625-2014.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს, როგორც მოძრავი ნივთის მესაკუთრეს, უფლება ჰქონდა, მიემართა სასამართლოსათვის ქონების ყადალისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე დავის საგანსა წარმოადგენს და საკასაციო პალატა ვერ შეაფასებს მას.

მართალია, გ. ა-ეს, ნ. ყ-ის ვალდებულების შესრულების მიზნით, მისი მოძრავი ნივთის აუქციონის წესით გასხვისების დროისათვის, ავტომანქანის ყადალისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, სარჩელით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რაც თავის დროზე, შესაძლებელს გახდიდა ქონების ყადალისაგან გათავისუფლების შესახებ სასარჩელო წარმოების პირობებში, დავის სხვაგვარ გადაწყვეტას. თუმცა, ეს არ წინავს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, მოსარჩელეს არ წარმოეშვა სხვა მატერიალური უფლება. ამ უფლების მართებულობის შესაფასებლად კი, პირველ რიგ-

ში, სათანადო მოპასუხეთა წრეა დასადგენი. ამ პროცესუალურ საკითხზე კი სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, რისი ვალდებულებაც მას გააჩნდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა იმსჯელოს სათანადო მოპასუხის დადგენის თაობაზე და შეფასება მისცეს მოსარჩელის მოთხოვნას მის მიმართ.

37. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდერიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

განრიცხვა

№ას-374-355-2015

25 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ზია-
ნის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. დ. ბ-მა სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ო. ტ-ას“ მი-
მართ და მოითხოვა 2008 წლის 30 ივნისს დადგებული №T8-I-24
ხელშეკრულებითა და 2009 წლის 30 იანვარს გაფორმებული შე-
თანხმებით გათვალისწინებული შეუსრულებელი ვალდებულე-
ბის გამო 79 593 აშშ დოლარისა და მიყენებული მატერიალური
ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) 51 178 აშშ დოლარის, საერ-
თო ჯამში 130 771 აშშ დოლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძ-
ვლებით:

2. 2008 წლის 30 ივნისს მოსარჩელესა და შპს „ო. ტ-ას“ შორის
დაიდო წინასწარი ხელშეკრულება №T8-I-24 საცხოვრებელი ბი-
ნის ნასყიდობის შესახებ, რომლის თანახმად, ხელშეკრულება-
ზე დართული გრაფიკის მიხედვით, დ. ბ-ს 82 093 აშშ დოლარის
გადახდის სანაცვლოდ, 2 წლის ვადაში უნდა მიეღო საცხოვრე-
ბელი ბინა, ქ. თბილისში, ო-ი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე
№... დ-ის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მეგობრობის პარ-
კის დასწყისში (მინის სარეგისტრაციო ნომერი ..., ფართობი
2740, სახლი №..., პირველი სადარბაზო, მე-... სართული, ბინა
№..., საერთო ფართი 59+12კვ.მ.), ასევე შესაბამისი წილი ბინის
მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში.

3. 2009 წლის 30 იანვარს შპს „ო. ტ-ას“ გაფორმდა შეთანხმე-
ბა საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის შესახებ №T8-I-24 წინას-
წარ ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტა-
ნის თაობაზე, რომლის თანახმად, დ. ბ-ისათვის გადასაცემი ბი-
ნის ორებულება დაზუსტდა და განისაზღვრა 79 593 აშშ დო-
ლარით, ხოლო ბინის გადაცემის ვადად – 2010 წლის 30 დეკემ-
ბერი; საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღება უნდა

მომხდარიყო არაუგვიანეს 2011 წლის 30 ივნისისა.

4. მოსარჩელის განმარტებით, მან თავისი ვალდებულება შეასრულა დათქმულ დროსა და წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით, შპს „ო. ტ-ას“ გადაუხადა 79 593 აშშ დოლარი (რაც დასტურდება საბანკო გადარიცხვებით), ხოლო შპს-ს ნაკისრი ვალდებულების არცერთ პირობა არ დაუცვია და არც აპირებდა ვალდებულების შესრულებას.

5. გარდა იმისა, რომ შპს „ო. ტ-ამ“ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ გადასცა მოსარჩელეს დათქმული საცხოვრებელი ბინა, მან აღნიშნული ბინა გაასხისა სხვა პირზე, რითაც მოსარჩელეს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

6. დ. ბ-ის განცხადებით, შპს „ო. ტ-ას“ სხვა კრედიტორების მიმართაც გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებები, რის გამოც მისი აქტივები დაყადალებულია. ამასთან, პასუხისმგებლობიდან თავის არიდების მიზნით, შპს „ო. ტ-ამ“ დააფუძნა ერთობლივი საწარმო სახელწოდებით შპს „T-58“, სადაც გადატანილია შპს „ო. ტ-ას“ საკუთარი აქტივების 10%.

7. მოსარჩელის განმარტებით, მან ვერ დაიბრუნა შპს-სთვის ჩარიცხული თანხა – 79 593 აშშ დოლარი. ამასთან, თანხის გავლილ პერიოდში უმოძრაობით განიცადა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, რაც 51 178 აშშ დოლარს შეადგენს. საერთო ჯამში კი მას მიადგა 130 771 აშშ დოლარის ზიანი.

8. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დ. ბ-ს სრულად არ შეუსრულებია მასზე დაკისრებული ვალდებულება. 2009 წლის 30 იანვრის შეთანხმების პირველი პუნქტის თანახმად, ბ-ს უნდა გადაეხადა 79 593 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი ქვითრების თანახმად, დ. ბ-ს გადახდილი აქვს მხოლოდ 81 276,05 ლარი, რაც 79 593 აშშ დოლარის ექვივალენტზე ბევრად ნაკლებია. შესაბამისად, დ. ბ-ს არ შეუსრულებია მასზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად.

9. მოპასუხის განცხადებით, მას არ დაურღვევია ხელშეკრულება, რადგან 2008 წლის 30 ივნისის №T8-1-24 ხელშეკრულების 4.8 მუხლის თანახმად, უფლება ჰქონდა იმ ვადით გადაედო მყიდველისათვის ბინის ჩაბარების თარიღი, რა ვადითაც მყიდველი დააგვიანებდა რომელიმე შენატანის გადახდას. ამავე ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად კი, საკუთრების უფლების გადასვლა მყიდველზე უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ის სრულად და ჯეროვნად შეასრულებდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამყიდველის მიმართ არსე-

ბულ ყველა ვალდებულებას. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითორები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მყიდველის მხრიდან 2009 წლის 30 ივნისს შემდეგ არ მომხდარა თანხის გადახდა. მხარეებს შორის 2009 წლის 30 იანვრის შეთანხმების დანართი №1-ით განისაზღვრა უძრავი ქონების ღირებულების გადახდის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც, მყიდველის მიერ უკანასკნელი გადახდა უნდა განხორციელებულიყო 2010 წლის 31 ოქტომბერს.

10. მოპასუხემ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მყიდველის მიერ გადასახდელი 79 593 აშშ დოლარის რომელიმე ფინანსურ ინსტიტუტში განთავსების შემთხვევაში, ის მიიღებდა გარკვეულ სარგებელს და აღნიშნა, რომ ეს დასკვნები არავითარ კავშირშია მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულება/არშესრულებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას შეიტანდა რომელიმე ფინანსურ ინსტიტუტში, მასასა და შპს „ო. ტ-ას“ შორის არ წარმოიშობოდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. შესაბამისად, მოსარჩელეს არ ექნებოდა მოთხოვნის უფლება.

11. მოპასუხის აზრით, მოსარჩელის მიერ მითითებული თანხა არ არის მიუღებელი შემოსავალი, რადგან, არ არის დაკავშირებული მოპასუხესთან არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობასთან. მიუღებელი შემოსავალი სახეზეა მაშინ, როცა ადგილი აქვს ვალდებულების დარღვევას და კრედიტორისათვის წინასწარ იყო სავარაუდო ამ შემოსავლის მიღება. სარჩელში მითითებულ თანხას კი მოსარჩელე მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საფასურს შეიტანდა ფინანსურ ინსტიტუტში. შესაბამისად, მას არ წარმოებოდა მოთხოვნის უფლება მოპასუხის წინაშე. ამრიგად, ფინანსურ ინსტიტუტში თანხის შეტანა და შპს „ო. ტ-ის“ ვალდებულების ნაწილის შესრულება ურთიერთგამომრიცხავი აღტერნატივებია.

12. 2014 წლის 30 იანვარს მოპასუხემ დააზუსტა შესაგებელი და მიუთითა, რომ დ. ბ-ს 2009 წლის აგვისტოს შემდეგ არ გადაუხდია თანხა; 2011 წლის 6 ოქტომბერსა და 30 ნოემბერს მან გაფრთხილების წერილები გაუგზავნა მოსარჩელეს დარჩენილი დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შპს „ო. ტ-ას“ მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, ხოლო 2011 წლის 21 დეკემბერს იგივე გაფრთხილება გამოაქვეყნა გაზეთ „სიტყვა და საქმეში“.

13. წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების 8.3 მუხლის თანახმად, მყიდველის მიერ გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევი

ვაში, გამყიდველს შეუძლია გააუქმოს ხელშეკრულება ცალ-მხრივად. ამ შემთხვევაში გამყიდველი უკან უბრუნებს მყიდველს გადახდილ თანხას მხოლოდ ბინის ხელმეორედ გაყიდვის შემდეგ. შესაბამისად, ეს ვალდებულება ჯერ არ დამდგარა.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩევები დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა ბინის ღირებულების გადახდილი თანხის 75 793 აშშ დოლარისა და ზიანის სახით 48 734.89 აშშ დოლარის ანაზღაურება.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა; შპს „ო. ტ-ას“ დ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მიღებული შესრულების დაბრუნება 55 853.26 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ოდენობით, შპს „ო. ტ-ას“ დ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 12 625 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ოდენობით.

16. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ბ-მა და შპს „ო. ტ-ას“.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ო. ტ-ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდა; დ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ო. ტ-ას“ დ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 75 793 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დაბრუნება; შპს „ო. ტ-ას“ დ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის 17 129.2 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა.

18. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემონტები:

19. 2008 წლის 30 ივნისს შპს „ო. ტ-სა“ და დ. ბ-ს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც დ. ბ-მა იკისრა ვალდებულება შპს „ო. ტ-ის“ გადაეხადა 82 093 აშშ დოლარი საცხოვრებელი ბინის აშენების მიზნით, ხოლო შპს „ო. ტ-ამ“ იკისრა ვალდებულება, დ. ბ-ის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, არაუგვიანეს 2009 წლის 21 ოქტომბრისა, აეშენებინა და საკუთრებაში გადაეცა შეთანხმებული ფართისა და მახასიათებლების საცხოვრებელი ბინა.

20. 2009 წლის 30 ინგვარს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება ნარდობის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, დაზუსტდა

ქონების ღირებულება და, შესაბამისად, დ. ბ-ის მიერ შპს „ო. ტ-ის“ გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრა 79 593 აშშ დო-ლარით, ხოლო ბინის გადაცემის ვადად – 2010 წლის 30 დეკემ-ბერი.

21. მოპასუხემ ვერ შეძლო შეთანხმებულ ვადაში ბინის აშე-ნება და მოსარჩევისთვის გადაცემა, საცხოვრებელი კორპუ-სის მშენებლობა დღემდე არ არის დასრულებული.

22. დ. ბ-მა შპს „ო. ტ-ას“ ბინის მშენებლობისთვის გადაუხა-და 55 853.26 აშშ დოლარი.

23. 2008 წლის 30 ივნისს, მოსარჩევე დ. ბ-ის დავალებით პ. ჩ-ემ შპს „ო. ტ-ას“ გადაურიცხად. ბ-ის ბინათმშენებლობის თანხა 28 274,92 ლარი, რაც იმ დროს არსებული სავალუტო კურსით შეადგინდა 19 940 აშშ დოლარს.

24. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ბინის მშენებ-ლობისთვის დ. ბ-ს შპს „ო. ტ-ის“ მთლიანობაში გადახდილი აქცე 75 793 აშშ დოლარი.

25. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალა-ქო კოდექსის 316-ე-317-ე, 629-ე მუხლებით და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამარ-თლებრივი ურთიერთობა.

26. პალატამ დადგენილად მიიჩნია, შპს „ო. ტ-ამ“ დ. ბ-ს შე-თანხმებულ ვადაში არ გადასცა დასრულებული საცხოვრებე-ლი ბინა. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 361-ე, 405-ე მუხლებზე და აღნიშნა შემდეგი: მიუხედავად იმი-სა, რომ სახელშეკრულებო სამართალი ხელშეკრულების თავი-სუფლების პრინციპსა და მხარეთა ურთიერთნდობაზეა აგებუ-ლი, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. ასეთი დარღვევის შემ-თხვევაში, სამოქალაქო კოდექსი მხარეს ანიჭებს ხელშეკრუ-ლებიდან გასვლის შესაძლებლობას. ვალდებულების დარღვე-ვა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, ვალ-დებულების შესრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილე-ბა ან არაჯეროვანი შესრულება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სა-მოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენებისათვის მნიშ-ვნებლობა არა აქცს, თუ რომელი ფორმით განხორციელდა დარ-ღვევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს. არსებითია, თუ არა დარღვევა, ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა დადგინდეს.

ვალდებულების დარღვევა შესაძლებელია არსებითად იქნეს მიჩნეული, თუ კრედიტორი ვალდებულების შესრულებას დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთს უკავშირებს, ხოლო მოვალე ვალდებულებას ვადაში არ ასრულებს.

27. კონკრეტულ შემთხვევაში პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა საცხოვრებელი ბინის აშენებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის დიდი ნაწილი, თუმცა როდესაც შენიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან ვალდებულება არ სრულდებოდა, თავადაც შეაჩერა თანხის გადახდა. მოპასუხებ არათუ ვერ შეძლო შეთანხმებულ ვადაში ბინის აშენება და მოსარჩელისთვის გადაცემა, არამედ აღნიშნული ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია. ამასთან, მოპასუხებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გონივრულ ვადაში დასრულება ვერ დაასაბუთა. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე არ იყო ვალდებული მოპასუხისათვის დამატებითი ვადა მიეცა, ვინაიდან აშეარა იყო, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე.

28. სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან დაუბრუნდნენ იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების დადებამდე. ამგვარი რესტიტუციის ძირითად პრინციპს კი ნატურით დაბრუნება წარმოადგენს, თუ გადაცემულის თავისებურებათა გათვალისწინებით ნატურით დაბრუნება შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დ. ბ-ს პპს „ო. ტ-ის“ გადახდილი აქვს 75 793 აშშ დოლარი, შესაბამისად, პალატის აზრით, მოპასუხე ვალდებულია მოსარჩელეს დაუბრუნოს აღნიშნული თანხა სრულად.

29. მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე და განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი არის სავარაუდო შემოსავალი. მიუღებელი შემოსავლისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ორი კუმულატიური პირობის არსებობა: უნდა არსებობდეს თავად ზიანი და ასევე მტკიცება იმისა, რომ ვალდებულების ჯეროვანად შესრულების შემთხვევაში პირი გარკვეულ შემოსავალს მიიღებდა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გაიზია-

რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხე მხარეს, როგორც სამერარმეო სუბიექტს, უნდა ევარაუდა, რომ ხელშეკრულების ვადაში შეუსრულებლობისა და მოსარჩელისათვის ფულადი თანხის დაუბრუნებლობით და. ბ-ს მიადგებოდა ზიანი. თუმცა, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, და. ბ-ი ბინის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის, 75 793 აშშ დოლარის გასესხების შემთხვევაში, მიღებდა 95 574,97 აშშ დოლარს. მითითებული დასკვნა, პალატის მოსაზრებით, შეიცავს მხოლოდ გაანგარიშებას, თუ რამდენს შეადგენს 75 793 აშშ დოლარის 3%. აღნიშნული დასკვნით არ დგინდება, რომ და. ბ-ი მის კუთვნილ თანხას აუცილებლად გაასესხებდა. აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, რომ მოსარჩელე ამ თანხით საერთოდ ვერ მიიღებდა სარგებელს.

30. სასამართლოს განმარტებით, სყიდვაუნარიანობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით.

31. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ინტერნეტ გვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, მოსარჩელე საბანკო ანაბარზე თანხის განთავსების შემთხვევაში, შემოსავლის სახით საშუალოდ მიღებდა: 2011 წელს – 8.2% სარგებელს, 2012 წელს – 8.1% სარგებელს, ხოლო 2013 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით – 6.3% სარგებელს. იმის გათვალისწინებით, რომ და. ბ-მა შპს „ო. ტ-ას“ გადაუხადა 75 793 აშშ დოლარი, პალატის განმარტებით, აღნიშნული თანხის საბანკო ანაბარზე განუთავსებლობით მოსარჩელემ მოთხოვნის წარმომბიდან სარჩელის აღძვრამდე პერიოდზე ვერ მიღო 17 129.2 აშშ დოლარის შემოსავალი, რაც ექვემდებარებოდა მოპასუხის მხრიდან სრულად ანაზღაურებას.

32. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შპს „ო. ტ-ას“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და. ბ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს „ო. ტ-ას“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

33. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან და-

კავშირებით, რომ დ. ბ-ს ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. პირველი ინსტანციის სასამართლოს, მოსამზადებელ ეტაპზე, კანონმდებლობის სრული დაცვით წარედგინა შპს „ო. ტ-ას“ დაზუსტებული შესაგებელი და მასზე თანდართული მტკიცებულებები. აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული იყო, რომ დ. ბ-ს სრულად არ გადაუხდია წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 79 593 აშშ დოლარის ექვივალნეტი ლარში (ამ გარემოებას არც ერთ ინსტანციაში არ ხდიდა სადაცოდ მოწინააღმდეგე მხარე, ორივე ინსტანციაში ის ამტკიცებდა, რომ გადაიხდა 75 793 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში).

34. შპს „ო. ტ-ამ“ 2011 წლის შემოდგომაზე არაერთხელ სცადა დაკავშირებოდა დ. ბ-ს. ორჯერ გაუგზავნა გაფრთხილების წერილი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა იმის გამო, რომ მეორე მხარესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, შპს „ო. ტ-ამ“ 2011 წლის 21 დეკემბერს გამოაქვეყნა განცხადება გაზითით „სიტყვა და საქმეში“, სადაც ეწერა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დ. ბ-ი არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას 2 კვირის ვადაში, შპს „ო. ტ-ა“ ავტომატურად გავიდოდა ხელშეკრულებიდან.

35. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ დ. ბ-ის მიერ თანხის არასრულად გადახდის შემთხვევაში, დ. ბ-ს დაუბრუნდებოდა მის მიერ გადახდილი თანხა უძრავი ქონების ხელმეორედ გაყიდვის შემდეგ, ახალი მყიდველის მიერ თანხების გადახდის დროის შესაბამისად.

36. დ. ბ-მა მანამდე შეწყვიტა ვალდებულების შესრულება, ვიდრე „ო. ტ-ას“ უნდა შეესრულებინა შემხვედრი ვალდებულება. ამასთან, ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული მშენებლობის სტადიები. კერძოდ, ის თუ რა ვადაში რა სტადიაზე უნდა ყოფილიყო მშენებლობა. შესაბამისად, ო. ტ-ას მიერ ვალდებულება დარღვეულად უნდა ჩათვლილყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგენილ ვადაში არ მოხდებოდა დ. ბ-ის საკუთრებაში უძრავი ქონების გადასვლა. ხოლო იმ ვითარებაში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ შეწყვიტა თანხის გადახდა, შპს „ო. ტ-ას“ არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა დარღვეული. კასატორის განცხადებით, სამართლებრივად შეუძლებელია ერთი და იგივე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდეს ორჯერ (ორჯერ მოხდეს ხელშეკრულებიდან გასვლა). დ. ბ-ს მხოლოდ იმ ხელშეკრულებიდან შეეძლო გასვლა, რომელიც სარჩელის შემოტანის მომენტში მოქმედებდა, ხოლო ამისთვის უნდა დაესაბუთებინა, რომ შპს „ო. ტ-ას“ მიერ 2011 წლის 21 დეკემ-

ბერს განხორციელებული ხელშეკრულებიდან გასვლა იყო ბათილი.

37. პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე დააკმაყოფილა დ. ბ-ის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, რომ არ უმსჯელია სარჩელის შეტანამდე 2 წლით ადრე შპს „ო. ტ-ას“ მიერ განხორციელებული ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. აღნიშნული მიდგომა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გაიზიარ სააპელაციო სასამართლომაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ამ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია.

38. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაურთო საქმეს დ. ბ-ის მიერ სააპელაციო სხდომის ეტაპზე წარმოდგენილი ის მტკიცებულება, რომელიც მოწინააღმდეგებ მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, ვინაიდან არ არსებობდა აღნიშნული მტკიცებულების პირველ ინსტანციაში წარუდგენლობის საპატიო მიზნი. მოწინააღმდეგებ მხარემ მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზნზად დასახელდა ის გარემოება, რომ შპს „ო. ტ-ას“ დ. ბ-ის მიერ ვალდებულების შესრულების სადაცოდ გახდისას არ მიუთითებია კონკრეტულად ამ მტკიცებულებით დადასტურებადი თანხის გადაუხდელობა.

39. კასატორის აზრით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისი მოთხოვნის მტკიცებულებით დადასტურების ტვირთი ეკისრებოდა მოწინააღმდეგებ მხარეს. შპს „ო. ტ-ამ“ კანონმდებლობის სრული დაცვით გახადა სადაცო მოწინააღმდეგებ მხარის მიერ ვალდებულების შესრულება. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში გაგზავნილ შესაგებელში მოპასუხემ მიუთითა, რომ დ. ბ-ის მიერ წარმოდგენილი ქვითრებით არ დასტურდებოდა მოთხოვნილი თანხის გადახდა. აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, გაუგებარია, რას ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც მან დაურთო საქმეს ის მტკიცებულება, რომლის წარდგენაც მოწინააღმდეგებ მხარეს შეეძლო პირველ ინსტანციაში, თუმცა არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

40. კასატორის განცხადებით სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით.

41. მოწინააღმდეგე მხარე, როგორც პირველ, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ითხოვდა თანხის გაუსესხებლობის შედეგად მიუღებელ შემოსავალს. მას არც წერილობით და არც ზეპირად, არ უხსესებია საბანკო ანაბარზე თანხის შეუტანლობის შედეგად მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის შესახებ. ამასთან, შესაძლოა ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია საყოველთაოდ ცნობილ გარემოებად იქნას მიჩნეული და მხარე გათავისუფლდეს მტკიცების ვალდებულებისაგან, თუმცა ეს არ ნიშნავს მითითების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. სასამართლომ გაათანაბრა საბანკო ანაბარი და სესხის ხელშეკრულება და მიიჩნია, რომ თუკი მხარეს სესხის ხელშეკრულების შესაძლო დადების შესახებ ჰქონდა მითითებული, ეს ავტომატურად ნიშნავდა ანაბარზე თანხის შესაძლო შეტანასაც. ამრიგად, ორივე ინსტანციის სასამართლომ, საკუთარი ინიციატივით მოახდინა დ. პ-ის მოთხოვნის ტრანსფორმაცია, გასცდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ დაყინებული მოთხოვნის ფარგლებს, მიაკუთვნა მხარს ის, რასაც არ ითხოვდა, რითიც დაირღვა შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპი და სსსკ-ის 248-ე მუხლის იმპერატიული დანაწესი.

42. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასაც სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში (უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1677-1573-2012) უზენაესმა სასამართლომ განმარტა რომ „ამ ნორმის (411-ე მუხლის) მიზნებისათვის, მიუღებელია შემოსავალი, რომლის მიღებაც პროგნოზირებადი იყო კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მაგრამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირმა ვერ მიიღო. შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს თავად იმ ვალდებულების ხასიათი, რომლის არაჯეროვანი შესრულების გამოც, მხარე ამგვარი შემოსავლის ანაზღაურებას ითხოვს“.

43. კასატიონის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე კერძო სამართლებრივ დავას. ამავე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ შპს „ა+–ის“ (მერაშენე) მიერ ზემოაღნიშნული ფართის გადაცემასთან ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, რა შემოსავალს მიიღებდა

და ვალდებულების დარღვევის შედეგად არ მიიღო შ.-ე-ამ (მყიდველი), ანუ, არა ფულადი სახსრების, არამედ ამ ბინის გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა ოდენობის შემოსავალს მიიღებდა მოსარჩევე და რაში გამოიხატებოდა ყოველივე აღნიშნული. მითითებულ ფაქტზე მოსარჩევე არ უთითებს. შპს „ა+ის“ მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შ. ე-ა მიიღებდა ბინას“.

44. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ დ. ბ-ის მიერ მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის დაანგარიშებისას (ამ მოთხოვნის საკუთარი ინიციატივით ტრანსფორმირების შემდეგაც კი) სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო კონკრეტულად შპს „ო. ტ-სა“ და დ. ბ-ს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. კერძოდ, მოსარჩელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში, უნდა გამოთვლილიყო საცხოვრებელი ფართის გადაცემლობის შედეგად მიუღებელი შემოსავალი (მაგალითად, ეს შეიძლება ყოფილიყო ბინის შესაძლო გაქირავებიდან მიუღებელი შემოსავალი), ხოლო საბანკო ანაბრიდან მისალები შესაძლო პროცენტები არ არის და ვერც იქნება დაკავშირებული ვალდებულების შესრულება/შეუსრულებლობასთან, ვინაიდან მოპასუხის ვალდებულება იყო საცხოვრებელი ფართის გადაცემა და არა თანხის გადახდა. მოსარჩევე საბანკო ანაბარზე დარიცხული პროცენტის სახით მიუღებელ შემოსავალს ვერ მიიღებდა იმ შემთხვევაშიც კი, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით შპს „ო. ტ-ას“ საკასაციო საჩივრი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის განჩინებით შპს „ო. ტ-ას“ საკასაციო საჩივრი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

47. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს

„ო. ტ-ას“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უც-ვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

48. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ მოსარჩევე 2008 წლის 30 ივნისის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირებლადი შენატანი – 52 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში სრულად გადაიხადა.

49. კასატორი ასაჩივრებს საოქმო განჩინებას, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოების დადგენის მიზნით, საქმეს დაურთო დამატებითი მტკიცებულებები და მიუთითებს, რომ ეს მტკიცებულებები დაუშვებელი იყო, შესაბამისად, სასამართლომ მათი მიღებით დაარღვია საპროცესო კოდექსის ნორმები. შემდეგ კი მათზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა მოსარჩევის მიერ დამატებით 19 940 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი.

50. მხარეთა ახსნა-განმარტების შესაბამისად, აღნიშნული 19 940 აშშ დოლარი წარმოადგენდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი შენატანის – 52 000 აშშ დოლარის ნანილს, რომელიც, კასატორის მითითებით, გადახდილი არ ყოფილა. საკასაციო საჩივრიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელემ პირველადი შენატანის სახით გადაიხადა და მხოლოდ 32 180 აშშ დოლარი.

51. მოსარჩელის ახსნა-განმარტების თანახმად, მან პირველადი შენატანი 52 000 აშშ დოლარის ოდენობით ხელშეკრულების ხელმოწერის დღესვე (2008 წლის 30 ივნისს) სრულად დაფარა 3 საბანკო გადარიცხვით, რომელთაგან ერთი განხორციელდა უშუალოდ მის მიერ, ხოლო დანარჩენი ორი გადარიცხვა შეასრულა პ. ჩ-ემ, რომელსაც მიჰყიდა საკუთარი ბინა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადავო ბინის ღირებულების გადახდის მიზნით. პ. ჩ-ემ გადარიცხვა განახორციელა უშუალოდ მოპასუხის საბანკო ანგარიშზე სს „საქართველოს ბანკში“.

52. მოსარჩელემ ზემოაღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სარჩელს დაურთო საბანკო გადარიცხვის ორი ქვითარი, რომელთა თანახმად, 2008 წლის 30 ივნისს სს „საქართველოს ბანკში“ მოპასუხის ანგარიშზე დ. ბ-მა და პ. ჩ-ემ გადარიცხეს შესაბამისად 20 180 აშშ დოლარისა და 12 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. პ. ჩ-ის მიერ განხორციელებული გადახდის დანიშნულებად ქვითარში მითითებული იყო „ბინათმშენებლობის თანხა (დ. ბ-ი 12 000 დოლარის ექვივალენტი ლარში)“.

53. მოსარჩელემ მესამე გადარიცხვის (19 940 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის) დამადასტურებელი ქვითარი დაურთო საპატიო საჩივარს იმაზე მითითებით, რომ მოპასუხებ მის მიერ პირველადი შენატანის არასრულად განუხორციელებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავო გახდა მხოლოდ მთავარ სხდომაზე, რის შედეგადაც მას არ მიეცა აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად დამატებითი მტკიცებულების წარდგენის საშუალება.

54. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ საპელაციო სასამართლო პირველადი შენატანის სახით 52 000 აშშ დოლარის სრულად გადახდის ფაქტი არასწორად დაადგინა და აღნიშნავს, რომ ამ გარემოების დადგენა საპელაციო სასამართლოში დამატებით წარდგენილი მტკიცებულებების გარეშეც შესაძლებელი იყო, კერძოდ:

55. მხარეთა შორის 2008 წლის 30 ივნისს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების 3.2.1 მუხლის თანახმად, ბინის ღირებულების გადახდის წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: პირველადი შენატანი ლარში 52 000 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით მოსარჩელეს უნდა გადაეხადა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე; ხოლო ბინის ღირებულების დარჩენილი ნაწილი – ხელშეკრულებაზე დართული თანხის გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

56. იმავე ხელშეკრულების 8.2 მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ შესარულებდა ხელშეკრულების 3.2.1 მუხლის შესაბამისად პირველადი შენატანის გადახდის ვალდებულებას, ხელშეკრულება ავტომატურად უქმდებოდა.

57. კასატორის მითითებით, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაუქმდებულა და 2011 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედებდა.

58. საქმის განხილვის დროს მოპასუხეს/კასატორს მოსარჩელისთვის პირველადი შენატანის არასრულად განხორციელების შესახებ მყიდველის გაფრთხილების თაობაზე არ მიუთითებია და არც აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგენია სასამართლოში.

59. მოპასუხეს/კასატორი შესაგებელში მიუთითებდა, რომ სარჩელზე დართული გადახდის ქვითორებით არ დასტურდებოდა მყიდველის მიერ ნასყიდობის თანხის სრულად გადახდა, ხოლო დაზუსტებულ შესაგებელს მან დაურთო მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, ხელშეკრულებიდან მოპასუხეს გასვლამდე, 2011 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, მოსარჩელის დავალიანება შეადგენდა 8 736.83 აშშ დოლარს, საიდანაც 3

797.62 აშშ დოლარი იყო ბინის ნასყიდობის ღირებულება, ხოლო 4 939.21 აშშ დოლარი – მასზე დარიცხული პირგასამტებლო. მოპასუხის/კასატორის მიერ წარმოდგენილ 2011 წლის 6 ოქტომბრისა და 30 ნოემბრის გაფრთხილებებში არ არის მითითებული მოსარჩევის მიერ პირველადი შენატანის არასრულად გადახდის შესახებ.

60. დადგენილია, რომ 2009 წლის 30 იანვარს, ანუ პირველადი შენატანის განხორციელების დღიდან ნახევარი წლის შემდეგ მხარეებმა ცვლილება შეიტანეს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომლითაც შეცვალეს ბინის ნასყიდობის ფასი. ხელშეკრულებას დაერთო ნასყიდობის ფასის გადახდის ახალი გრაფიკი. მასში აისახა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის დღისათვის უკვე გადახდილი და მომავალში გადასახდელი თანხები. ამ გრაფიკის მიხედვით, 2008 წლის 30 ივნისს გადახდილი თანხის ოდენობად მითითებულია 52 120 აშშ დოლარი.

61. ზემოაღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოში მოსარჩევის მიერ დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების გარეშეც უკვე საკმარისი იყო ვარაუდისათვის, რომ პირველადი შენატანი მყიდველის მიერ სრულად განხორციელდა. ამ ვარაუდის (პრეზუმუციის) გაქარწყობის აუცილებლობა მტკიცების ტვირთს აბრუნებს მოპასუხის მხარეს. ამიტომ პირველადი შენატანის არასრულად გადახდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა, რაც მან ვერ შეძლო.

62. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ის გარემოება, რომ მყიდველის მიერ ბინის ღირებულების პირველადი შენატანი სრულად განხორციელდა.

63. რაც შეეხება საოქმო განჩინებას, სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

64. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზიარებული იქნება, რომ მოსარჩევის მიერ წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით მიიღო, აღნიშნული დარღვევა მოცემულ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ისეთ დარღვევად, რომელსაც შეეძლო საქმის განხილვის შედეგზე ემოქმედა.

65. კასატორი გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, აგრეთვე, იმ

მოტივით, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება ნინარე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის შესახებ. კერძოდ, კასატორი უთითებს, რომ ხელშეკრულება დაარღვია არა მოპასუხემ, არამედ მოსარჩელებმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის დარღვევით. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გავიდა არა მოსარჩელე, არამედ მოპასუხე და არა სარჩელის აღვრის დროისათვის, არამედ ჯერ კიდევ 2011 წლის 21 დეკემბერს, რისი უფლებაც მოპასუხეს ჰქონდა ხელშეკრულების 8.3 მუხლით. ამავე მუხლის შესაბამისად, მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება ნარმოებობიდა მხოლოდ უძრავი ქონების გასხვისების შემდეგ, ახალი მყიდველის მიერ თანხის გადახდის შესაბამისად, რაც ამ დრომდე არ განხორციელებულა. შედეგად, მას არც შესრულების დაბრუნების და არც ზიანის გადახდის ვალდებულება ნარმოშობია.

66. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოაღნიშნული მოსაზრება სამართლებრივად დაუსაბუთებელია და არ ნარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

67. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.

68. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ ხელშეკრულებიდან იგი 2011 წლის 21 დეკემბერს გავიდა, მაშინ მას ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული შესრულების 75 793 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულება ნარმოებგა სწორედ ამ დროიდან, რაც კასატორს დღემდე არ განუხორციელებია. ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს შესრულების დროულად დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანი, რომელიც ასევე შეიძლება გამოიხატოს მიუღებელი შემოსავლის სახით. შესაბამისად, თუ გაზიარებული იქნება კასატორის მითითება ხელშეკრულებიდან 2011 წლის 21 დეკემბერს მისი გასვლის თაობაზე, ამ პერიოდიდან თანხის დაბრუნებამდე სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლების მიერ ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით საბანკო ანაბარზე თანხის განთავსების შემთხვევაში შემოსავლის სახით საშუალოდ მისაღები პროცენტის გათვალისწინებით, რომელიც საკასაციო სასამართლოს აზრით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართე-

ბულად დაადგინეს (პროცენტის ოდენობას არც კასატორი ასა-ჩივრებს), დაანგარიშებული თანხის ოდენობა სააპელაციო სა-სამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მიკუთვნებულზე მეტი აღ-მოჩნდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად კი, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეც-ვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

69. რაც შეეხება ხელშეკრულების 8.3 მუხლით გათვალისწი-ნებული უფლების გამოყენებას, სააპელაციო სასამართლოს მი-ერ დადგენილია, რომ 2011 წლის 21 დეკემბრის მდგომარეო-ბით, მოსარჩელეს გადახდილი ჰქონდა 75 793 აშშ დოლარი, რაც ნარმოადგენს ნასყიდობის საგნის ღირებულების 95,2%. საქმე-ზე დართული გადახდის ქვითრების თანახმად, აღნიშნული თან-ხა მოსარჩელეს გადახდილი ჰქონდა უკვე 2009 წლის 11 აგვის-ტოს. მოპასუხის 2011 წლის 30 ნოემბრის გაფრთხილების მი-ხედვითაც, მოსარჩელეს ნასყიდობის თანხიდან გადასახდელად დარჩენილი ჰქონდა მხოლოდ 3 797.62 აშშ დოლარი.

70. აღნიშნული არ ნარმოადგენდა ვალდებულების მინშვე-ლოვან დარღვევას. შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების დარ-ღვევა უმნიშვნელო იყო.

71. ამავე დროს, მოპასუხეს არ მიუთითებია, რომ 2011 წლის 21 დეკემბრისათვის თავად მას შესრულებული ჰქონდა საკუ-თარი ვალდებულება – ბინა მოყვანილი ჰქონდა ხელშეკრულე-ბით გათვალისწინებულ მდგომარეობაში (ნინარე ნასყიდობის ხელშეკრულების 4.2 მუხლის შესაბამისად, მას სამუშაოების დასრულება და მყიდველის მფლობელობაში ქონების გადაცე-მა ევალებოდა 2010 წლის 30 დეკემბრამდე, კომუნიკაციების ჩართვა და ბინის კეთილმოწყობა 2011 წლის 30 მარტამდე, ხო-ლო სახლის ექპლუატაციაში შეყვანა 2011 წლის 30 ივნისამდე). სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს საკუ-თარი ვალდებულებები არათუ 2011 წლის 21 დეკემბრისთვის, არამედ დღემდე არ შეუსრულებია (კორპუსი არ აშენებულა), რასაც აღიარებს თავად მოპასუხე (იხ. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 თებერვლის სხდომის ოქმი 16:48:31). მოსარჩელის მითითებით, კი მან დარჩენილი დავალიანება არ გადაიხადა სწო-რედ იმის გამო, რომ მოპასუხე ბინის მშენებლობას არ ახორცი-ელებდა.

72. ასეთ პირობებში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, ხელშეკრულების 8.3 მუხლი გამყიდველს უფლებას აძლევს გავიდეს ხელშეკრულებიდან მყიდველის მიერ გადახ-დის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნული დე-

ბულება არ შეიძლება განიმარტოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დებულებათა საწინააღმდეგოდ, იმგვარად, რომ მყიდველის მიერ ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში ან ისეთ პირობებში, როცა ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი, კრედიტორს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მყიდველს ნასყიდობის თანხა დაუბრუნოს მხოლოდ მესამე პირზე ბინის გასხვისების შემდეგ (რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირობის დადგომა დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე და შედეგად, წარმოადგენს ბათილ პირობას).

73. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით დაგენილია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულება კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლითაც, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელეს შესრულებული ჰქონდა საკუთარი ვალდებულება 95,2%-ით, ხოლო მოპასუხეს თავისი ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს ხელშეკრულების 8.3 მუხლი საფუძვლად უნდა დაედო მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმისათვის.

74. აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, მოპასუხემ ბინა 2012 წლის 20 აგვისტოს მესამე პირზე გაასხვისა.

75. კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ბოლო საფუძველად უთითებს იმ არგუმენტს, რომ სასამართლომ მოახდინა მოსარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმაცია და მოსარჩელეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია. კერძოდ, მოსარჩელე უთითებდა ბინის შესაძენად მის მიერ გადახდილი თანხის გასესხების შემთხვევაში მისაღებ შემოსავალზე, ხოლო სასამართლომ მიაკუთვნა აღნიშნული თანხის ახაბარზე განთავსების შემთხვევაში მისაღები შემოსავალი. ამავე დროს, სასამართლოს უნდა მიეკუთვნებინა მხარისათვის მხოლოდ ბინის ვერგადაცემის და არა თანხის ვერგასესხების შედეგად მიუღებელი შემოსავალი.

76. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩევე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით. მიუღებელ შემოსავლად კი იგი მიიჩნევდა 75 793 აშშ დოლარის გასესხების შემთხვევაში მისაღებ (მაგრამ ვერმიღებულ) შემოსავალს. ანაბარზე თანხის განთავსება თავისი არსით არ განსხვავდება თანხის სხვაგვარი გასესხებით წარმოშობილი ურთიერთობიდან. ორივე შემთხვევაში ხდება თანხის განკარგვა პროცენტის სახით შემოსავლის მიღების მიზნით. ამიტომ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ უშუალოდ ანაბარზე თანხის განთავსების შესაძლებლობაზე მოსარჩელის მითითების არარსებობის გამო, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა მიუღებელი შემოსავლის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

77. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ კრედიტორს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით და მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურებით აღდგენილ უნდა იქნას ის ვითარება, რაც იარსებებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების (ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების არარსებობის) შემთხვევაში. საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება კასატორს, რომ როცა ხელშეკრულების საგანია ბინის აშენება და საკუთრებაში გადაცემა, ბინის ნასყიდობის თანხის სხვაგვარი გამოყენებით მიუღებელი შემოსავალი ვერ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგი. თუმცა აღნიშნავს, რომ როცა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად, დგება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები, კერძოდ, მხარეებს წარმოშობათ ერთმანეთისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება, რომლის დარღვევა იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს. საკასაციო საჩივარში კასატორი უთითებს, რომ 2011 წლის 21 დეკემბერს მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე. აღნიშნულის შედეგად კი მას მოსარჩელისათვის 75 793 აშშ დოლარის (მიღებული შესრულების) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა, რასაც კასატორი არამართლზომიერად არ ასრულებს დღემდე (იხ. სასამართლოს მსჯელობა წინამდებარე გადაწყვეტილების 62-68 პუნქტებში). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სახეზე გვერდეს როგორც ხელშეკრულების შეუსრულებლობის დროულად

დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ასევე შესაძლებელია მიუღებელი შემოსავლის სახით გამოიხატოს.

78. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ არ არსებობდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

79. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ოვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს კოდექსის 412-ე მუხლით გათვლისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ხელახლა დაბრუნების საფუძვლები არ არსებობს.

80. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს პიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლობდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ზემოაღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში ნარმოებისას.

81. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკასაციო სასა-მართლოს 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით შპს „ო. ტ-ას“ სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდა საქმის საბოლოო გან-ხილვამდე. ვინაიდან შპს „ო. ტ-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკ-მაყოფილდა კასატორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარ-გებლოდ უნდა დაეკისროს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 8000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ო. ტ-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის გადაწ-ყვეტილება;
3. შპს „ო. ტ-ას“ (ს/ქ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებ-ლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს საკა-საციო პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით გადავადე-ბული სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

საწარმოო ფრავების გამო დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-802-767-2014

10 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩოს გაზრდა (გადაანგარიშება)

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 21 ნოემბერს ხაშურის რაიონულ სასამართლოს
სარჩელით მიმართა მ. გ-მ მოპასუხე სს „ხ. ტ-ის“ მიმართ და მო-
ითხოვა:

1. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2010 წლის
ნოემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე პერიოდის მიუღებელი სარ-
ჩოს ერთობლივი თანხის – 7910.64 ლარის დაკისრება;

2. სს „ხ. ტ-ისათვის“ მ. გ-ის სასარგებლოდ 2013 წლის ნოემ-
ბრიდან საწარმოო ტრავმის გამო სარჩოს სახით ყოველთვიუ-
რად 255.14 ლარის გადახდის დავალება.

სარჩელის საფუძვლები:

მოსარჩელე მუშაობდა ხაშურის შ. ქ-ში (ამჟამად, სს „ხ. ტ-
ა“), ხარატის პოზიციაზე. 1990 წლის 10 დეკემბერს, სამუშაოს
შესრულების დროს, მან საწარმოო ტრავმა მიიღო და დაკარგა
პროფესიული შრომის უნარი 80%-ით. 1991 წლის დეკემბრიდან
დღემდე მოპასუხე მოსარჩელეს უხდის სარჩოს 35 ლარსა და 40
თეთრს.

მოსარჩელის მოსაზრებით, საწარმოო ტრავმით გამოწვეუ-
ლი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება იგივე ან მონათესავე სა-
მუშაოს შემსრულებელი მუშაკის ხელფასისა და დაკარგული
პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხის გათვალისწინებით,
რასაც მოპასუხე არ ითვალისწინებდა და მოსარჩელეს სარჩოს
სრულად არ უნაზღაურებდა, კერძოდ, მოსარჩელის განმარტე-
ბით, ხაშურში არსებულ სხვა საწარმოში – სს „მ-ში“ ხარატის

ხელფასი 318.93 ლარი იყო და, შესაბამისად, მისი 80%-ი 255.14 ლარს შეადგენდა. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხეს მის-თვის სწორედ აღნიშნული თანხა უნდა გადაეხადა ყოველთვი-ურად.

მოპასუხე სს „b. ტ-ამ“ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, თუ რას შეადგენს მოპასუხე ორგანიზაციაში მომუშავე ხარატის ხელფასი, ხოლო სს „მ-ის“ მიერ გაცემულ ცნობას საქმისათვის რაიმე მნიშვნე-ლობა არ გააჩნია, გარდა ამისა, სს „b. ტ-ას“ 2000 წლიდან ფაქ-ტობრივად არ უმუშავია, თუმცა იგი მოსარჩელეს სარჩოს დღემ-დე უხდის.

მოპასუხემ მიუთითა ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებაზე და აღნიშნა, რომ ამ აქტით გაუქმდა პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, შესაბამისად, მოსარჩელეს წაერთვა ყო-ველთვიური სარჩოს გაზრდის მოთხოვნის საფუძველი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 იანვრის გა-დაწყვეტილებით სარჩელი არ დაემაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. გ-ე მუშაობდა ხ. შ. ქ-ში ხარატად;

1990 წლის 10 დეკემბერს მან მიიღო საწარმოო ტრავმა;

1995 წლის 6 ივლისს საექიმო-მრომითი ექსპერტული კომი-სიის შემონმების აქტით განესაზღვრა პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი 80%-ით და დაენიშნა სარჩო 35.40 ლარი, რომელსაც ყოველთვიურად უხდის სს „b. ტ-ა“;

ხ. შ. ქ-ის უფლებამონაცვლეა სს „b. ტ-ა“;

სს „b. ტ-ა“ ლიკეიდირებული არ არის, თუმცა 2000 წლიდან ფაქტობრივად არ მუშაობს და საწარმოს ხარატის ფუნქციების შემსრულებელი არ ჰყავს;

ხაშურში არსებულ სხვა საწარმოში – სს „მ-ში“ ხარატის სა-შუალო ხელფასი შეადგებს 318.93 ლარს.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითე-ბა იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან „შრომითი მოვალეო-ბის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მი-ყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“ პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით ძალადაკარგუ-ლი იყო იმავე წლის 1 მარტიდან, ამიტომ არ არსებობდა მოსარ-ჩელის მხრიდან ყოველთვიური სარჩოს მოთხოვნის სამართლებ-რივი საფუძველი. სასამართლოს განმარტებით, ასეთი სამარ-თლებრივი საფუძვლები განსაზღვრული იყო მ. გ-ის მიერ ტრავ-

მის მიღების დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით, 2006 წლის 24 მაისის შრომის კოდექსით, ხოლო ამჟამად განსაზღვრულია მოქმედი შრომის და სამოქალაქო კოდექსებით.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილზე, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ნაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. ამ მუხლის თანახმად, სამწლიან ხანდაზმულობას ექვემდებარება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ შეტყობის მომენტიდან, თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხეს აღიარებული ჰქონდა ვალდებულება – უკვე უხდიდა სარჩოს მ. გ-ს. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლას ადგილი არ ჰქონდა, მ. გ-ე ამჟამად მოითხოვდა სარჩოს ოდენობის გაზრდას – მის გადაანგარიშებას.

რაც შეეხებოდა სარჩოს ოდენობას, პირველი ინსტანციის სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მისი გაზრდის თაობაზე, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. რაიონული სასამართლოს შეფასებით, ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მ. გ-ს უნდა მისცემოდა სარჩოს ის ოდენობა, რასაც იგი მიიღებდა ამჟამადაც რომ ემუშავა სანარმოში ხარატად.

საქმეზე დადგინდა, რომ სს „b. ტ-ა“ ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა და ხარატის მოვალეობის შემსრულებელი სანარმოს არ ჰყავდა. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სარჩოს ოდენობის გაზრდის ფაქ-

ტობრივი საფუძველი, ე.ი. არ დამდგარა შემდეგი გარემოება – საწარმოში ხარატის ან მსგავსი სამუშაოს შემსრულებლის ხელ-ფასის ოდენობის გაზრდა, რაც მ. გ-ს მისცემდა სარჩო-ბის გადაანგარიშების მოთხოვნის საფუძველს. ამასთან, სასა-მართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლებო-და სხვა საწარმოში მომუშავე პირის ხელფასის ოდენობა ყოფი-ლიყო განმსაზღვრელი მხარეებს შორის არსებული ურთიერთო-ბის მოწესრიგებისას, რადგან მ. გ-ს და სს „b. ტ-ას“ შორის არსე-ბული სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირებას საფუძ-ვლად უნდა დადებოდა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლე-ბიც მხოლოდ მათ შორის არსებულ შრომით ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-პელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელებმ, რომელმაც მოითხო-ვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილება;
3. მ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
4. სს „b. ტ-ას“ მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7756.78 ლა-რის გადახდა;
5. მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა 2013 წლის 1 ნოემბრიდან მდგომარეობის შეცვლამდე ყოველთვიურად 255.14 ლარის ანაზღაურება;
6. სარჩელი არ დაკმაყოფილდა სს „b. ტ-ისათვის“ 153.86 ლა-რის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, რაიონულმა სასა-მართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ მართებულად გამოიყენა იგი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ის მოსაზრება, რომ სხვა საწარმოში მომუშავე პირის ხელფასის ოდენობა არ შეიძლება იყოს გან-მსაზღვრელი მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის მოსა-ნესრიგებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩო არ უნდა იქ-ნეს გაგებული იმ შრომის ანაზღაურებაზე უცილობლად დამო-კიდებულად, რაც პირს დამქირავებელ საწარმოში გააჩნდა. პრო-ფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ

პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ სა-ნარმოში მუშაობის შეუძლებლობას. ამდენად, ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგე მხარეს დღეის მდგომარეობით ხარატი არ ჰყავდა, არ ნიშნავდა, რომ მ. გ-ე სანარმოო ტრავმის არარსებობის პირობებში ვერ შეძლებდა სხვა სანარმოში ხარატის მოვალეობის შესრულებას. ამას კი ხელი შეუშალა სანარმო ტრავმაზ, რის გამოც აპელანტი ხარატის ფუნქციებს ველარ ასრულებდა. კონკრეტულ შემთხვევაში, სანარმოო ტრავმის არქონის შემთხვევაში მ. გ-ე კვლავ იმუშავებდა ხარატად, რაც წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლით განსაზღვრულ ისეთ „მდგომარეობას, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მ. გ-ე შეძლებდა ხარატად მუშაობას, ხოლო ხარატის ხელფასი იმავე ტერიტორიულ ერთეულში მდებარე სხვა სანარმოში, სს „მ-ში“ შეადგენდა 318.93 ლარს.

სარჩიოს ოდენობასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან აპელანტმა სარჩელი აღძრა 2013 წლის 21 ნოემბერს, სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე მუხლების შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელებულიყო პერიოდულად შესასრულებელი მოთხოვნების შესრულებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა და მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება უნდა განსაზღვროდა მხოლოდ სარჩელის წარდგენამდე 3 წლის მიუღებელ სარჩოზე, ანუ 36 თვეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელი ხანდაზმული არ იყო მის შეტანამდე 36 თვეზე სარჩის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო, სარჩელის მოთხოვნა ნოემბრის 21 დღის (2010 წლის 21 ნოემბრამდე) ნაწილში ხანდაზმულობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ყოველთვიურად გადახდილი სარჩის – 35.40 ლარის გათვალისწინებით, აპელანტის მიერ ყოველთვიურად მისაღები თანხა შეადგენდა 219.74 ლარს ($318.93\text{-ის } 80\% = 255.12\text{-ს}; 255.14 - 35.4 = 219.74\text{-ს}$). ამ თანხის 30 დღეზე გაყოფის შედეგად მიიღებოდა დღიური თანხა 7.32 ლარი, რაც აპელანტს უნდა დარიცხოდა 2010 წლის ნოემბრის თვის 9 დღეზე და შეადგენდა 65.88 ლარს.

რაც შეეხებოდა დარჩენილ სამწლიან პერიოდს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელში მოყვანილი თანხების გაანგარიშება ზუსტი იყო და ისინი უნდა დაკისრებოდა მოწინააღმდეგე მხარეს აპელანტის სასარგებლოდ, 2010 წლის 1 დეკემბრიდან ყოველთვიურად 219.74 ლარის ოდენობით სარჩე-

ლით მოთხოვნილ პერიოდამდე, 2013 წლის ნოემბრამდე, ე.ი. ბოლო წლის თანხა შეადგენდა 11 თვეს ოდენობას და შემდეგნაირად უნდა დაანგარიშებულიყო: 2010 წლის 21 ნოემბრიდან 2010 წლის 30 ნოემბრამდე – 65.88 ლარი; 2010 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე (12 თვე) – 2636.88 ლარი; 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 1 დეკემბრამდე (12 თვე) – 2636.88 ლარი; 2012 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე (11 თვე) – 2417.14 ლარი.

ზემომითითებული თანხების ჯამი შეადგენდა 7756.78 ლარს, ნაცვლად სარჩელით მოთხოვნილი 7910.64 ლარისა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ბოლო 3 წლის მისაღები სარჩოს ნაწილში უნდა დაკმაყოფილიყო მხოლოდ ნაწილობრივ, 7756.78 ლარის ფარგლებში, რაც შეეხებოდა 2013 წლის ნოემბრიდან ყოველთვიურად 255.14 ლარის დაკისრებას, აღნიშნულ ნაწილში სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „b. ტ-ამ“.

კასატორის მოთხოვნა:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

პირველი ინსტანციის სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე სწორად ჩათვალა, რომ მ. გ-ს უნდა მისცემოდა სარჩოს ის ოდენობა, რასაც იგი მიიღებდა მოთხოვნის დროისათვის საწარმოში ხარატად მუშაობის დროს. საქმეზე დადგენილია, რომ სს „b. ტ-ა“ ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს და ხარატი საწარმოს არ ჰყავს. აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩოს ოდენობის გაზრდის ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ, საწარმოში ხარატის ან შსგავსი სამუშაოს შემსრულებლის ხელფასის ოდენობის გაზრდა.

მართალია, პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შეუძლებლობას, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გავებული, რომ მ. გ-ე საწარმოო ტრავმის არარსებობის პირობებში აუცილებლად შეძლებდა და დასაქმდებოდა სხვა საწარმოში ხარატის მოვალეობის შემსრულებლად. შესაბამისად, კასატორისათვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს სარ-

ჩის ოდენობა უნდა განესაზღვროს იმავე ტერიტორიულ ერთეულში მდებარე სხვა საწარმოში (სს „მ-ში“) არსებული ხარატის მუშის ხელფასის ოდენობიდან. საკითხისადმი ამგვარი მიღობა მიუღებელი და ალოგიკურიცაა, რადგან უცნობია: ა. რა სირთულის ხარატის სამუშაოს ასრულებს ის პირი, რომელსაც ეძლევა 318.93 ლარის ოდენობით ხელფასი; ბ. რამდენი წლის სამუშაო გამოცდილება აქვს აღნიშნულ პირს; 2010, 2011, 2012 წლებში, აგრეთვე, 2013 წლის 14 ნოემბრამდე რა ოდენობის ხელფასი ჰქონდა ხარატს სს „მ-ში“.

არასწორია სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე-130-ე მუხლებით გათვალისწინებული პერიოდულად შესასრულებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ხ. ტ-ის“ საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ხარატად მუშაობდა ხ. შ. ქ-ში, სადაც 1990 წლის 10 დეკემბერს მიიღო საწარმოო ტრავმა;

1995 წლის 6 ივლისის საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტით მოსარჩელეს განესაზღვრა პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი 80%-ით და დაენიშნა სარჩო 35.40 ლარი, რომელსაც ყოველთვიურად უხდის მოპასუხებები;

სს „ხ. ტ-ა“ არის ხ. შ. ქ-ის უფლებამონაცვლე, იგი ლიკვიდირებული არ არის, თუმცა 2000 წლიდან ფაქტობრივად არ მუშაობს და საწარმოს ხარატის ფუნქციების შემსრულებელი არ ჰყავს;

ხაშურში არსებულ სხვა საწარმოში – სს „მ-ში“ ხარატის საშუალო ხელფასი შეადგენს 318.93 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი, შესაბამისად, ეს გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საქმეში წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე მოითხოვს საწარმოო ტრავმის გამო მისთვის დანიშნული სარჩოს ოდენბის გაზრდას (გადაანგარიშებას). მოსარჩელის მოსაზრებით, მართალია, მოპასუხე საწარმოში აღარ არსებობს ხარატის შტატი, რომელზედაც იგი მუშაობდა საწარმოო ტრავმის მიღების დროს, მაგრამ ასეთი შტატი არსებობს სხვა საწარმოში, კერძოდ, სს „მ-ში“, სადაც ხარატის ხელფასი შეადგენს 318.93 ლარს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სწორედ სხვა საწარმოში არსებული ხარატის შტატით გათვალისწინებული ხელფასის მიხედვით უნდა მოხდეს მისი სარჩოს გადაანგარიშება.

ზემოხსენებული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებულად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: დასაშვებია თუ არა სარჩოს გადაანგარიშება სხვა საწარმოში დასაქმებულ პირთა ხელფასის მიხედვით, თუ სარჩოს ანაზღაურებაზე ვალდებულ საწარმოში აღარ არსებობს სარჩოს მიმღები პირის მიერ დაკავებული თანამდებობა?

ამ კითხვას სააპელაციო სასამართლომ დადგებითი პასუხი გასცა, რაც იმით დასაბუთა, რომ სარჩო არ უნდა იქნეს გაგებული იმ შრომის ანაზღაურებაზე უცილობლად დამოკიდებულად, რაც პირს დამქირავებელ საწარმოში გააჩნია. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შეუძლებლობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საწარმოო ტრავმის არქონის შემთხვევაში მოსარჩელე შეძლებდა ხარატად მუშაობას სხვა საწარმოში და ხელფასაც მიიღებდა, რაც, პალატის მოსაზრებით, ნიშნავს სწორედ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ „მდგომარეობას, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლით დადგენილი მოვალის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შინაარსს გაუთვალისწინებლად.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

ზემოხსენებული ნორმა გამოხატავს მოვალის ინტერესებს და ათავისუფლებს მას ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის. ამიტომაც, აღნიშნული მუხლი, უპირველესად ადგენს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მოვალისათვის სავარაუდო ზიანი – ეს ისეთი ზიანია, რომელიც სავარაუდო იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილისათვის. მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ამ კრიტერიუმით დგინდება პასუხისმგებლობის მაქსიმუმი. აქედან გამომდინარე, ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი და არა არაპირდაპირი ზიანი. არაპირდაპირი ზიანი ისეთი ზიანია, რომელიც ზემოხსენებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო მოვალისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოვალეს (მოპასუხეს), რომელთანაც მოსარჩელე იმყოფებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში, შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ საწარმოო ტრავმის შემთხვევაში შესაძლებელია მოსარჩელეს მთლიანად ან ნაწილობრივ დაეკარგა შრომის უნარი და ველარ გაეგრძელებინა მუშაობა ამავე საწარმოში, შესაბამისად – ველარ მიეღო ხელფასი. ეს არის სწორედ ის პირდაპირი ზიანი, რომელიც მისაღებია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის და, შესაბამისად, ექვემდებარება ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეუძლებელია მოპასუხეს წინასწარ გაეთვალისწინებინა, რომ საწარმოო ტრავმის არარსებობის შემთხვევაში მოსარჩელე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სხვა საწარმოში შეძლებდა თავისი პროფესიით მუშაობის დაწყებას და თანაც იმაზე უკეთეს ხელფასს მიიღებდა, ვიდრე ეს თავდაპირველ დამსაქმებელთან ჰქონდა. პალატა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან

გამომდინარე, ასეთ რამ ვერ იქნებოდა სავარაუდო მოპასუხი-სათვის.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაშე ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: ყოველი საწარმო დასაქ-მებულთა ანაზღაურებას ადგენს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში და დაუშვებელია კონკრეტული სა-წარმოსათვის მუშავის სასარგებლოდ იმ ოდენობის სარჩოს და-კისრება, რაც სხვა – მეტი ან ნაკლები რესურსების მქონე სა-წარმოს მიერაა განსაზღვრული (იხ. სუსგ, 21.06.2010წ., საქმე №ას-288-237-2010).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უარყოფითად უნდა ვუ-პასუხოთ დასაწყისში დასმულ კითხვას, რაც გამორიცხავს მ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება იურიდიულად დაუსაჭუთებელია, რაც სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თა-ნახმად, ხსნებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტუ-რი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვა-ლისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპე-ლაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუ-ნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა და-მატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ სს „ხ. ტ-ის“ საკასაციო საჩივა-რი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გა-დახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვე-ტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავი-სუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარ-ჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწი-ლობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიე-კუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სა-

სამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროცენტიულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არ ათავისუფლებს მას მოგებული მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აქედან გამომდინარე, ეინაიდან საბოლოო გადაწყვეტილება მოპასუხის (კასატორის) სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, მოსარჩელეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 527.00 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ბ. ტ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. გ-ს სს „ბ. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 527.00 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება არაპოვებრივი ზიანისათვის

გადაცყველება საქართველოს სახელით

№ას-866-816-2015

12 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ნ. მ-ძესა (შემდეგში მოსარჩეულე, კასატორი ან პაციენტი) და სტომატოლოგიურ კლინიკა შპს „ნ-დ-ს“ (შემდეგში მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, ასევე კლინიკა) შორის 2011 წელს დაიდო სტომატოლოგიური მომსახურების ხელშეკრულება {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, მუხლი 629}.

2. მოპასუხე წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (საიდენტიფიკაციო №....). სამენარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, დღევანდელი მონაცემებით კლინიკა რეგისტრირებულია საფირმო სახელწოდებით, შპს „ი-ო“ {მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, მე-51 მუხლის მე-3 პუნქტი}

3. პაციენტს 2011-2012 წლებში კლინიკამ გაუწია თერაპიული და ორთოპედიული სამედიცინო მომსახურება. თერაპიული მანიპულაცია, რაც კბილების მკურნალობას ითვალისწინებდა, ჩაუტარდა სრულყოფილად, ხოლო ორთოპედიული მკურნალობა არასწორად.

4. პროთეზირების შემდგომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, დაზიანდა ჯანმრთელი კბილები, რამაც დამატებითი მკურნალობის აუცილებლივი წარმოშვა. პაციენტმა სხვა კლინიკაში 4130 ლარის ღირებულების განმეორებითი ორთოპედიული მკურნალობა ჩაიტარა.

5. მოსარჩელემ მოპასუხე კლინიკისგან მიღებულ ორთოპედიულ მომსახურებაში 3225 ლარი გადაიხადა. აღნიშნული გა-

რემოება დასტურდება მისი ახსნა-განმარტებით, კლინიკის პრეისკურანტითა და ანალოგიური სტომატოლოგიური მომსახურების (შპს „რ. დ-ის“, შპს „P.D.-ის“ საქმეში დაცული პრეისკურანტები) საბაზრო ღირებულებით.

6. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 8 აგვისტოს შემოწმების აქტის შესაბამისად, ვინაიდან, კლინიკის ადმინისტრაციამ სააგენტოს ვერ წარუდგინა პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაცია, მაკონტროლებელი ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა მოსარჩელისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი.

7. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარებული შემოწმების შედეგად საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის 2013 წლის 8 ნოემბრის სამედიცინო დასკვნით დადასტურდა მოსარჩელის მკურნალობისას დაშვებული შეცდომები, კერძოდ: „... პაციენტს კბილზე 3.1. აღენიშნება საჭრელი ეიდის დაზიანება და ფაიფურის „ატექჩივა“, რაც კბილთა პროტეზირებისას ოკლუზის აღდგენის მცდელობაში დაშვებული ხარვეზია, სავარაუდოდ იგივე მიზეზით მოხდა ზედა ყბის ფრონტალური კბილების დაზიანებაც. ...პროტეზის ის სახე, რომელსაც ექიმი ბიგელისებურ კონსტრუქციას უწოდებს, თავისი კონსტრუქციით არ არის ბიგელი. მას დამზადებული აქვს ნაწილობრივ მოსახსნელი ფირფიტოვანი პლასტმასის კონსტრუქცია, რომელშიც „კუსტარული“ წესით ჩაფიქსირებულია ატაზმენი.“ სამედიცინო შემოწმების ზემოაღნიშნული დასკვნით პაციენტისათვის განმეორებითი რეკონსტრუქციული მკურნალობის ჩატარების საჭიროება დადგინდა {„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის „მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი}.

8. 2014 წლის 30 ივნისს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

8.1. მიყენებული მატერიალური ზიანის 7355 ლარის (3225 ლარი მოპასუხე კლინიკაში გადახდილი თანხაა, 4130 ლარი – დამატებითი, განმეორებითი მკურნალობისათვის) მოპასუხისათვის დაკისრება;

8.2. ასევე არაქონებრივი (მორალური) ზიანის, 5000 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრება. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილმა ზიანის ანაზღაურების საერთო თანხამ ჯამში 12 355 ლარი შეადგინა.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სასამართლოში მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი წარადგინა, შემდეგი საფუძვლებით:

9.1. კლინიკას მოსარჩელისათვის სამედიცინო მომსახურება არ გაუწევია.

9.2. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შეამონება კლინიკის საქმიანობა. შემონმების შედეგად არ დადასტურდა კლინიკის მიერ მოსარჩელისათვის სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი.

9.3. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები, მათ შორის, თანხის გადახდის ქვითარი, შესაბამისად სარჩელი მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 3225 ლარისა და მორალური ზიანის – 2000 ლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე, 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლები, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლი.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

11.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა მოსარჩელის კლინიკაში მეურნალობის ფაქტობრივი გარემოება. მოსარჩელე მხარეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია. კლინიკაში მომსახურების მიმღებ ყველა პაციენტს ეძლევა თანხის გადახდის ქვითარი, ამასთან ხორციელდება პაციენტის რეგისტრაცია, შესაბამისად, პელანტმა გამორიცხავის კლინიკაში არარეგისტრირებული პაციენტისათვის მომსახურების გაწევა.

11.2. მოსარჩელის მიერ მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულება კლინიკაში შეფასებულია 1000-1500 ლარის ფარგლებში, ხოლო სასამართლომ მატერიალური ზიანი მხოლოდ მოსარჩელის და მის მხარეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით. შეაფასა 3225 ლარით, რაც არაგონივრულია.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 500 ლარის გადახდა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის თანახმად, კლინიკას მოსარჩელის სა-

სარგებლოდ ასევე დაეკისრა პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის 111,75 ლარის და ადვოკატის მომსახურების ხარჯის 140 ლარის გადახდა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ზედმეტად გადახდილი ბაჟის 60 ლარის გადახდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის 3225 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩა უცვლელად.

13. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები მატერიალური ზიანის (3225 ლარის) დაკისრების ნაწილში.

14. პალატამ პაციენტის სამედიცინო შემონმების დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ მკურნალობის პროცესში ხარვეზები დაშვებული იქნა, არა მარტო შეუსაბამო სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების დროს, არამედ სტომატოლოგიურ ლაბორატორიაში ფაიფურის გამონვის პროცესშიც.

15. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა განმეორებით ჩატარებული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან პაციენტს კლინიკაში მისვლამდეც ესაჭიროებოდა მკურნალობა, შესაბამისად, უხარისხოდ ჩატარებული სამედიცინო მომსახურების გათვალისწინებით მოსარჩელის ფინანსურ დანაკლის შეადგენდა არაკვალიფიციურ მომსახურებაში გადახდილი თანხა და არა ის თანხა, რაც მან ხელახლი პროტეზირებისას გადაიხადა. პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიდგა {სსკ-ის 992-ე, 1007.1-ე მუხლები}.

16. პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის – ხუთას ლარამდე შემცირება.

17. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება ნაწილობრივ, მორალური ზიანის ანაზღაურების შემცირების ნაწილში, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. საკასაციო საჩივრი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

17.1. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მორალური ზიანის გონივრულობასა და სამართლი-

ანობაზე. სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავდა მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და აღნიშნულის მიუხედავად, არაგონივრულად შეამცირა მისი ოდენობა. შესაბამისად, არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საკმარისი საფუძველი.

17.2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მორალურ ზიანთან დაკავშირებით დადგენილ სამოსამართლო პრაქტიკას.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებისა და საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სახელდობრ:

21. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობები:

21.1. კლინიკამ მოსარჩელეს ორთოპედიული მკურნალობა არასწორად ჩაუტარა, რის შედეგადაც პროთეზირების შემდგომ მოსარჩელის ჯანმრთელობა საგრძნობად გაუარესდა; მას დაუზიანდა ჯანმრთელი კბილები, რამაც დამატებითი მკურნალობის აუცილებლობა წარმოშვა.

21.2. კლინიკის მიერ განეული ორთოპედიული მომსახურების დროს ჩატარებული მოსარჩელის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზითა და მკურნალობით პაციენტის ჯანმრთე-

ლობას სტომატოლოგიური კუთხით მიადგა ვნება, რამაც გამოიწვია მისთვის არა მარტო მატერიალური ზიანი, არამედ სულიერი ტანჯვა, ტკივილი და ემოციური განცდები.

22. ამასთან, სასამართლომ სათანადოდ არ დაასაბუთა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული არაქონებრივი ზიანის, 2000 ლარის 500 ლარამდე შემცირების მიზანშეწონილობა. არ გაითვალისწინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, ის რომ კლინიკის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რის გამოც იგი ნორმალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს თითქმის ორი წლით გამოეთიშა (ჰქონდა მუდმივი ფსიქოლოგიური სტრესი, პროტეზის მორგების უზუსტობის გამო უჭირდა საუბარი, ეშინოდა მისი ჩამოვარდნის, კბილების მიდამოში დაქვეითებული ჰქონდა ღეჭვითი ფუნქცია, ამის გამო ის ვერ ჩნდებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.). ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობა და ნერვული დაძაბულობა, ეს ის ფაქტორებია, რომელიც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს;

არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის დროს სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ამ საკითხში უზენაეს სასამართლოს დამკვიდრებული აქვს მყარი პრაქტიკა: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული“ იხ.სუსგ №ას-95-90-2013, 14.06.13ნ. ასევე შდრ. №ას-594-562-2015, 6.11.2015, №ას-797-940-2015, 10.09.2015

23. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი არაქონებრივი ზიანი, 2000 ლარი, დაუსაბუთებლად შეამცირა 500 ლარამდე.

24. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო

თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

25. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც მხარეებმა გასწიეს საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალი გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, მე-8, 411-ე, 408.3. და 257.3 მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:

1. 6. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ი-ოს“ 6. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის – 2000 ლარის გადახდა;
4. შპს „ი-ოს“ 6. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 163,77 ლარის, წარმომადგენლის მომსახურების ხარჯების – 289 ლარისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების – 73 ლარის გადახდა.
5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. პირგასამტებლო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-914-864-2015

4 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ქლიფრიშვილი,
6. ბაქაქური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-
მართლოში რ. ჭ-ის (შემდგომში – მოპასუხე, კასატორი) მიმართ
და მოითხოვა მოპასუხისათვის 08.10.2011წ. საკრედიტო ბარა-
თით სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალი-
ანების ძირი თანხის – 992,71 ლარის, სარგებლის – 147,94 ლარი-
სა და პირგასამტებლოს – 250,66 ლარის, ასევე 28.12.2012წ. გან-
ვადების ბარათით სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდი-
ნარე დავალიანების ძირი თანხის – 996,40 ლარის, სარგებლის –
686,07 ლარისა და პირგასამტებლოს – 1 926,22 ლარის (იხ: შემ-
ცირებული მოთხოვნა, 18.03.2015წ. სხდომის ოქმი) გადახდა.

2. მოპასუხის პოზიცია:

საკრედიტო დავალიანების ძირი თანხისა და სარგებლის და-
კისრების ნაწილში მოპასუხებ სარჩელი ცნო, ხოლო პირგასამ-
ტებლოს დაკისრების ნაწილში მოითხოვა მის დაკმაყოფილება-
ზე უარის თქმა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე- ბის სარეზოლუციის ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 მარტის გა-
დაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, მოპა-
სუხეს სესხის ძირითადი თანხების, საპროცენტო სარგებლისა
და პირგასამტებლოს სახით მოსარჩელის სასარგებლოდ დაე-
კისრა 3 023,12 ლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

პირგასამტებლოს შემცირების ნაწილში საქალაქო სასამარ-
თლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარ-

ჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი პირგასამტეხლოს გადახდევინების თაობაზე სრულად დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დამატებით დაეკისრა 1 976.88 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 8 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო ხელშექრულება, რომლის საფუძველზეც აპელანტმა მოპასუხეს გადასცა 1 000 ლარიანი საკრედიტო ბარათი, წლიურად 36% სარგებლის დარიცხვის პირობით. ვადაგადაცილების შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე: ერთჯერადი ფიქსირებული გადასახდელი – 20 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და 0,5%. მსესხებელს ყოველ თვეში უნდა დაეფარა ათვისებული თანხის სულ მცირე 10% დანგარიშების დღემდე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოს ჩათვლით. ამ კრედიტის ფარგლებში 2013 წლის 4 მარტის შემდეგ მოპასუხეს არანაირი შენატანი არ განუხორციელებია, რის გამოც 2014 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით მას დაერიცხა დავაღლიანება 1 391,31 ლარი, საიდანაც 992.71 ლარი იყო ძირი თანხა, 147.94 ლარი – საპროცენტო სარგებელი, ხოლო 250.66 ლარი – პირგასამტეხლო.

5.1.2. 2012 წლის 28 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო ხელშექრულება, რომლის საფუძველზეც აპელანტმა მოპასუხესის სახელზე გასცა 1 000 ლარიანი საკრედიტო (განვადების) ბარათი, წლიურად 42% სარგებლის დარიცხვის პირობით. მხარეები ვადაგადაცილების შემთხვევაში შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე: ერთჯერადი ფიქსირებული გადასახდელი – 20 ლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%. მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა შემდეგი წესით: თანხის გატანიდან 10 კალენდარული თვის განმავლობაში, ყოველი თვის 27 რიცხვში, უნდა გადაეხადა ნინა თვის ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით ათვისებული თანხა და დარიცხული სარგებელი, გადანაწილებული 10 თვეზე. მოპასუხემ დაარღვია ვალდებულება, რის გამოც,

2014 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, მას ერიცხვებოდა და-ვალიანება 4 972,07 ლარი, საიდანაც 996,4 ლარი იყო ძირი თან-ხა, 686,07 ლარი – საპროცენტო სარგებელი და 3 289,6 ლარი – პირგასამტებლო, თუმცა, საქმის განხილვის დროს, მოსარჩე-ლებ შეამცირა მოთხოვნა პირგასამტებლოს ნაწილში და მოით-ხოვა მხოლოდ 1 926,22 ლარის გადახდევინება.

5.1.3. მოპასუხე შესაგებლით არ შედაგებია პირგასამტებლოს დაანგარიშების წესისა და ოფენობას, მან მიუთითა, რომ პირგა-სამტებლოს გადახდა არ უნდა დაკისრებოდა, რადგან დაკარგა სამსახური და შეეძლო მხოლოდ ძირითადი თანხისა და საპრო-ცენტო სარგებლის გადახდა.

5.1.4. პალატის განმარტებით, სადაცოს წარმოადგენდა ის გა-რემოება, მოვალეს პირგასამტებლო ხელშეკრულებით შეთან-ხებული ოდენობით უნდა დაკისრებოდა თუ არა. სასამარ-თლომ, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, გან-მარტა, რომ პირგასამტებლო ვალდებულების შესრულების უზ-რუნველყოფის მექანიზმია, რომელიც ასრულებს როგორც ვალ-დებულების დარღვევის პრევენციის, ისე – დარღვევიდან გა-მოდინარე კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ერთგვარი კომპენსაციის ფუნქციას. პირგასამტებლოს ოდენობა, იმავე კო-დექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განისაზ-ლვრება ხელშეკრულების მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გა-მოვლენით და იგი შეიძლება აღემატებოდეს კიდეც კრედიტო-რის შესაძლო ზიანს.

5.1.5. გასაჩივრებულ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გა-დაწყვეტილება ეფუძნებოდა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლს, თუმცა მოპასუხე არ შედაგებია პირგასამტებლოს ოდე-ნობას, დაანგარიშების უსნორობის თვალსაზრისით, ანუ უდა-ვო იყო, რომ მოსარჩელემ პირგასამტებლოს თანხა სწორად და-ანგარიშა სესხის დაფარვის ვადაგადაცილებული დღეების გამ-რავლებით სესხის გადაუხდელი თანხის 0.5%-ზე და დამატე-ბული ერთჯერადი, ფიქსირებული გადასახდელი 20-20 ლარის ოდენობით.

5.1.6. მოპასუხეს სესხს საპროცენტო სარგებელი და პირგა-სამტებლო 2014 წლის 15 დეკემბრის შემდგომ აღარ დარიცხვია, რის შემდგომაც გასული იყო 7 თვე. რომელიმე მხარის მიერ სა-კასაციო საჩივრის ნარდგენის უფლების გამოყენების შემთხვე-ვაში, სამართალწარმოება შეიძლება კიდევ 6 თვით გახანგრძლი-ვებულიყო, რასაც საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ვადებიც ემატებოდა. მითითებული გარემოებებიდან გამომდი-ნარე, პალატამ ჩათვალა, რომ მიზანშეუნინელი იყო სამოქა-

ლაქო კოდექსის 420-ე მუხლზე დაყრდნობით პირგასამტებლოს შემცირება, რომელიც განსაზღვრულია მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით, ამავე კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და იგი, დროს გასვლასთან ერთად, არ იზრდებოდა. პალატის შეფასებით, პირგასამტებლოს შემცირების ამგვარი პრაქტიკა მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო არა-კეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლოდ გათავისუფლების, აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა წაქეზების საშუალება, დაერღვიათ ვალდებულება, მოსალოდნელი პირგასამტებლოს დაუსაბუთებლად შემცირების იმედით, რაც არ წაადგებოდა სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილური, პროგნზირებადი ხასიათით განხორციელებას.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

6.1. საკასაციო საჩივრების საფუძვლები:

6.1.1. კასატორმა მიუთითა მას და მოპასუხეს შორის დადებულ ხელშეკრულებებზე, მათი დარღვევის გამო წარმოშობილ დავალიანებაზე და განმარტა, რომ პირგასამტებლო შეუსაბამოდ არაგონივრული იყო, რაც გაითვალისწინა პირველი ინსტაციის სასამართლომ და მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა რა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები – არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა; არასწორად განმარტა კანონი.

6.1.2. სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა რა მოსარჩელის მოთხოვნა, განმარტა, რომ თითქოს ამგვარად დამკვიდრდებოდა სასამართლო პრაქტიკა, თუმცა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ საკითხზე უკვე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რაც მხედველობაში მიიღო საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას და სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა, როგორც მოვალის მატერიალური მდგომარეობა, ისე, მის მიერ ვალდებულების შესრულების მცდელობა და მოლაპარაკების წარმოება კრედიტორთან.

6.1.3. გაურკვეველია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოს მოპასუხე არ შედაგებია პირგასამტებლოს დაანგარიშების სისწორეს, საქმეში წარმოდგენილი შესაგებლის თანახმად, კასატორმა სარჩელი ძირი თანხისა და საპროცენტო სარ-

გებლის დაგალიანების ნაწილში ცნო, ხოლო პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-საჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტებლოს ოდენობის გონივრულობა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით კი, გა-საჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. 2011 წლის 8 ოქტომბერს მხარეებს შორის დაიდო საკურედიტო ბარათით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის საფუძვლზეც სს „თ-მა“ მსესხებლის სახელზე გასცა 1 000 ლარიანი საკურედიტო ბარათი, წლიურად 36% სარგებლის დარიცხვის პირობით. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტებლოს გადახდაზე, რომელიც წარმოადგენდა ფიქსირებულ ერთჯერად გადასახდელს – 20 ლარსა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%-ს. მსესხებელს ყოველ თვეში უნდა დაეფარა ათვისებული თანხის სულ მცირე 10%, დაანგარიშების დღემდე (ანუ – ყოველი კალენდარული თვის 3 რიცხვი) დარიცხული სარგებლისა და პირგასამტებლოს ჩათვლით.

1.1.2. 2013 წლის 4 მარტის შემდეგ მოპასუხეს რაიმე შენატანი ამ კრედიტის ფარგლებში არ განუხორციელებია, რის გამოც 2014 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით მას დაერიცხა დავალიანება 1 391,31 ლარის ოდენობით, საიდანაც 992,71 ლარი შეადგენდა ძირითად თანხას, 147,94 ლარი – საპროცენტო სარგებლის და 250.66 ლარი – პირგასამტებლოს.

1.1.3. 2012 წლის 28 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის თანხა – 1 000 ლარი, წლიური სარგებელი – 42%. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტებლოზე – ერთჯერადი ფიქსირებული გადასახდელი – 20 ლარი და 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღე-

ზე. მსესხებელს კრედიტი უნდა დაეფარა შემდეგი წესით: თან-ხის გატანიდან 10 კალენდარული თვის განმავლობაში, ყოველი თვის 27 რიცხვში, უნდა გადაეხადა წინა თვის ბოლო კალენდა-რული დღის ჩათვლით ათვისებული თანხა და დარიცხული სარ-გებელი, გადანაწილებული 10 თვეზე.

1.1.4. მოპასუხემ დაარღვია გალდებულება და 2014 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებამ შეადგინა 4 972,07 ლარი, საიდანაც 996,4 ლარი იყო ძირითადი თანხა, 686,07 ლარი – საპროცენტო სარგებელი და 3 289,6 ლარი – პირგასამტებლო. საბოლოოდ მოსარჩეულები ამ ხელშეკრულების ფარგლებში პირ-გასამტებლოს სახით მოითხოვა 1 926,22 ლარის მსესხებლისათ-ვის დაკისრება.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკი-ცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-საშენები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთე-ბულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასა-მართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მა-ტერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შე-ფასებებსა და დასკვნებს მოთხოვნილი ოდენობით პირგასამ-ტებლოს დაკისრების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი, შე-საბამისად, უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა სს „თ-ის“ სააპელა-ციო საჩივარი (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

1.4. საკასაციო პალატაზე იზიარებს რ. ჭ-ის მოსაზრებას სააპე-ლაციო სასამართლოს მიერ მატერიალური სამართლის ნორმის არასწორად განმარტების თაობაზე და აღნიშნავს შემდეგს: სა-მოქალაქო კოდექსი იცნობს მოთხოვნის უზრუნველყოფის სა-ნივთო და ვალდებულებით საშუალებებს, რომელთაგან პირ-ველს გირავნობა (სკ-ის 254-ე მუხლი) და იპოთეკა (სკ-ის 286-ე მუხლი), ხოლო მეორეს – პირგასამტებლო, ბე და მოვალის გა-რანტია (სკ-ის 416-ე მუხლი) განეკუთვნება. მითითებულთაგან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სწორედ პირ-გასამტებლო წარმოადგენს და იგი მხარეთა შეთანხმებით გან-საზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალებ უნდა გადაი-ხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად

შესრულებისათვის (სკ-ის 417-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პირგა-სამტეხლოს დანიშნულება ვალდებულების დარღვევის მინიმა-ლური ზიანის ანგარიშში ამ თანხის ჩათვლაა. ფუნქციური და-ნიშნულებით, მინიმალური ზიანი არ წარმოადგენს ფაქტობრი-ვად მიღებული ზიანის სრულ ანაზღაურებას, არამედ ესაა თან-ხა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის მინი-მალურ დაკამაყოფილებას, სწორედ ამითაა გამართლებული პირ-გასამტეხლოს სახელშეკრულებო ბუნება, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის სავალდებულოა შესაბამისი ფორმით შეთანხმების მიღწევა, რაც რეგულირებულია სამოქა-ლაქო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილით. განსხვავებით ზი-ანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რომელიც, სამოქალა-ქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ საჭიროებს მხარეთა ზინასწარი შეთანხმების არსებობას, პირ-გასამტეხლო ყოველთვის სახელშეკრულებო პირობად გვევლი-ნება. ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო პირობის ერთა-დერთი გამონაკლისია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას პროცენტზე შეთანხმება (სკ-ის 403-ე მუხლი), თუმცა, ეს შემთხვევა სახეზე არ გვაქვს.

1.5. შართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა პირგასამტეხ-ლოს ნამდვილობას მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვ-ლენის გზით მიღწეულ შეთანხმებას უკავშირებს, თუმცა, იგი არ წარმოდგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებ-ლის არსებობის პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შე-აფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობის თანხის თა-ნაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, კერძოდ, სამო-ქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შე-უძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შე-უსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ნორმის დასახელებული და-ნაწესი სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გა-მოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმურ სა-ფუძველს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარე-თა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხა-რისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შეს-რულების მიმართ და სხვა.

1.6. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სამოქალაქო კო-დექსის 420-ე მუხლის წინააღმდეგ, სააპელაციო პალატამ სარ-ჩელის საფუძვლიანობა დაუკავშირა იმგვარ გარემოებებს, რო-

გორიცაა პირგასამტებლოს ოდენობის შემცირებით კეთილსინ-დისიერი გადამხდელების წახალისება, რათა პირგასამტებლოს შემცირების იმედით მათ აღარ შეასრულონ ვალდებულება, რაც ხელს შეუშლის სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მითითებულ მსჯელობას თუნდაც იმ მიზეზით, რომ პირგასამტებლოს მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დარღვევისას წარმოიშობა, ხოლო კეთილსინდისიერი გადამხდელის შემთხვევაში არა თუ მისი შემცირების, გადახდის საჭიროებაც არ დგება დღის წესრიგში. ამასთანავე, ვინაიდან კასატორმა სადაცო გასადა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა შესაგებელში პირგასამტებლოს თაობაზე შეცილების არარსებობის შესახებ, საკასაციო პალატა ამ საკითხზეც გაამახვილებს ყურადღებას (სსკ-ის 404.1 მუხლი) და აღნიშნავს, რომ, მართალია, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში მოპასუხე მხოლოდ ზოგადი ხასიათის შედავებით – სამართლის ნორმაზე მითითებით შემოიფარგლა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ მაინც იმსჯელა პირგასამტებლოს ოდენობის შემცირებაზე, თუმცა ამ გარემოების თაობაზე სს „თ-ს“ სააპელაციო პრეტენზია არ წარუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა და გადაწყვეტილება დაემყარებინა ამ ფაქტზე.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა, შესაბამისად, სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, ყოველთვის სარგებლიან სესხს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს, როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს. ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებულია და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რაც შეეხება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების საკითხს, პალატა ამ დარღვევის თანაზომიერ, გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნევს 2011

წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე დარიცხულ პირგასამტებლოს – 250,66 ლარს და თვლის, რომ ამ ნაწილში ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა კანონშესაბამისია, ხოლო 2012 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტებლოს ნაწილში საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კასატორისათვის დასაკისრებელი პირგასამტებლო უნდა განისაზღვროს არა მოთხოვნილი ოდენობით, არამედ, 250 ლარით, რაც სავსებით უზრუნველყოფს მინიმალური ზიანის ანგარიშში ერედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შექება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „თ-ის“ მიერ პირგასამტებლოს ნაწილში მოგებული დავის პროპორციულად სააპელაციო სამართალნარმოების გამო გაღებული საპროცესო ხარჯიდან კასატორს უნდა დაეკისროს 12 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ ($150,66 + 150 \times 4\%$), ხოლო რ. ჭ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით საკასაციო საჩივარზე გადახდილი თანხიდან – 300 ლარიდან სს „თ-ს“ კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოგებული თანხის 5% – 86 ლარი. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით (86-12) სს „თ-ს“ რ. ჭ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში უნდა დაეკისროს 74 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. რ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების (სარე-ზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები) შეც-ვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. სს „თ-ის“ სარჩელი რ. ჭ-ის მიმართ საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ 2011 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში სრულად, ხოლო საბანკო კრედიტის 2012 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:

3.1. რ. ჭ-ეს (პ/№...) სს „თ-ის“ (ს/№...) სასარგებლოდ 2011 წლის 8 ოქტომბრისა და 2012 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პირგასამტებლოს სახით დამატებით დაეკისროს 300,66 (150,66 და 150) ლარის გადახდა.

4. სს „თ-ს“ (ს/№...) რ. ჭ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯიდან 74 ლა-რის გადახდა.

5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამთხევლო

გადაცევათილება საქართველოს სახალიფ

№ას-654-620-2015

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 12 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდეგში შემსყიდველი, სამინისტრო ან კასატორი) და შპს „3-ს“ (შემდეგში მიმწოდებელი ან საწარმო) შორის გაფორმდა №89 ხელშეკრულება (შემდეგში №89 ხელშეკრულება), რომლის საერთო ღირებულება განისაზღვრა 1 372 000 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, შემსყიდველის მოთხოვნიდან 45 კალენდარულ დღეში, მიერთოდებინა მისთვის მთლიანი საქონლის ღირებულების 10% [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში, სსკ, 477-ე მუხლი].

2. №89 ხელშეკრულებით სანარმოს საბურავები უნდა მიეწოდებინა სამინისტროსათვის. ხელშეკრულების მე-9 პუნქტით განისაზღვრა საქონლის მიწოდების პირობები და ვადები, ორ ეტაპად, კერძოდ: პირველი ეტაპი – პრაქტიკული ტესტირების ან/და ექსპერტიზის მიზნით, საქონლის საერთო რაოდენობის 10 % უნდა მიეწოდებინა მიმწოდებელს, შემსყიდველის მოთხოვნიდან, 45 კალენდარულ დღეში; ხოლო მეორე ეტაპი – საქონლის დარჩენილი რაოდენობა, შემსყიდველის მოთხოვნიდან 20 კალენდარულ დღეში (იხ. №89-ე ხელშეკრულების 9.1 ქვეპუნქტი).

3. შემსყიდველმა, 2013 წლის 21 მარტის №311/255 ნერილით, მიმწოდებელს მოსთხოვა №89 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო რაოდენობის არა უმეტეს 10 %-ის მიზნიდება, ალნიშნული მოთხოვნა იმავე წლის 25 მარტს ჩაპარდა საწარმოს.

4. №89 ხელშეკრულების შესაბამისად, პირველ ეტაპზე, გათ-

ვალისწინებული საქონლის საერთო რაოდენობის 10%, 188 ცალი საბურავი, სანარმომ 2013 წლის 19 ივნისს მიაწოდა შემსყიდვების.

5. შემსყიდვებულმა მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მიმწოდებელს ჯეროვნად, დათქმულ დროსა და დათქმული პირობებით არ შეუსრულებია;

6. სამინისტრომ 2013 წლის 12 დეკემბერს სარჩელი აღძრა მიმწოდებლის წინააღმდეგ და მოითხოვა, მისთვის წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული, პირგასამტებლოს 227 752 ლარის დაკისრება.

7. შემსყიდვებულმა, წარდგენილი შესაგებლით, არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ მას არ დაურღვევია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა, კერძოდ, წარდგენილი მტკიცებულებით ვერ დასტურდებდა, რომ სანარმოს მოთხოვნა ჩაპბარდა 2013 წლის 25 მარტს. სანარმოს მოსაზრებით, საფოსტო შეტყობინებით დადასტურებულია, რომ გზავნილი ჩაიბარა სანარმოს დირექტორის დამ – ს. ს-მა, რომელსაც სანარმოში არავითარი თანამდებობა არ ეკავა. სანარმოს დირექტორისათვის შეტყობინების შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით და, ამ ინფორმაციის მიღებიდან 2-3 დღეში, მიმწოდებელს ჩაერიცხა კიდეც საბურავების შესყიდვის თანხა, ხოლო შემსყიდველს საბურავები, მოთხოვნილი ოდენობით – 188 ცალი, სანარმომ მიაწოდა 2013 წლის 19 ივნისს, შეტყობინების მიღებიდან 45 დღიანი ვადის დაცვით. მიმწოდებლის მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ მას შემსყიდველის მოთხოვნა ჩაპბარდა 2013 წლის 25 მარტს და, ამის გათვალისწინებით, თუკი დაუშვებდა, რომ, საქონელი ვადის დარღვევით, 2013 წლის 19 ივნისს გადაეცა შემსყიდველს, ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტებლო, მიწოდების ვადის გადაცილებისთვის, ზედმეტად მაღალი იყო. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 372 000 ლარს. ამასთან, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი და მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება უნდა ყოფილიყო 137 200 ლარი (მთლიანი ღირებულების 10%) და 137 200 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების ვადაგადაცილებისათვის (მაქსიმუმ 40 დღისათვის), შემსყიდველმა სარჩელით მოითხოვა, პირგასამტებლოს სახით, 227 752 ლარის გადახდა, ანუ მისაწოდებელი საქონლის ღირებულების თითქმის ორმაგი ოდენობა. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ საქონლის ვადის დარღვევით მიწოდების დაშვების შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ, საქონელი გა-

დაეცა შემსყიდველს და მისი ღირებულება შეადგენდა 153 200 ლარს, შემსყიდველმა კი არაგონივრული თანხა მოითხოვა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილებით, შემსყიდველის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, სანარმოს, პირგასამტებლოს სახით, სარჩელით მოთხოვნილი 227 752 ლარიდან, დაეკისრა 4 100 ლარის გადახდა (41 დღე X 100 ლარი), ხოლო 223 652 ლარის ნაწილში, შემსყიდველის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

9. საქალაქო სასამართლოს, მე-8 პუნქტში მითითებული, გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით, სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გაასაჩივრა სამინისტრომ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, შემსყიდველის სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ. მე-8 პუნქტი), თავის მხრივ, შეგებებული სააპელაციო საჩივარი ნარადინა მიმწოდებელმა სანარმომ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება. კერძოდ, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში (4100 ლარის პირგასამტებლოს დაკისრება) და, ახალი გადაწყვეტილებით, შემსყიდველის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

11. სამინისტრომ საკუთარი პოზიცია დააფუძნა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ჩანაწერი უნდა გაგებულიყო იმგვარად, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო, პირველ ეტაპზე, შემსყიდველისთვის მიეწოდებინა თითოეული დასახელების საქონლის 10%, რათა ჩატარებულიყო ექსპერტიზა. სანარმომ ნარმოადგინა 2013 წლის 19 ივნისის დროებითი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც არ უნდა მისცემოდა მტკიცებულების ძალა, ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ცალსახად განსაზღვრავდა საქონლის ჩაბარების წესს. ამ აქტით გათვალისწინებულ საქონელზე საბოლოო მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2013 წლის 20 ივნისს, ხოლო დარჩენილი 3 დასახელების საქონელი დაუბრუნდა მიმწოდებელს, როგორც წუნდებული. შემსყიდველი, ასევე, მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად შეამცირა პირგასამტებლოს ოდენობა, ვინაიდან მხარეთა შორის არსებობდა წერილობითი შეთანხმება პირგასამტებლოს თაობაზე (იხ. აქტები)

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით, სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, ახალი გადაწყვეტილებით, შემსყიდველის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მის სასარგებლოდ, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტებლო – 11 234 ლარის ანაზღაურება; მიმწოდებლის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

13. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული და ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, №89 ხელშეკრულების მე-9 პუნქტის განმარტების თაობაზე და დაასკვნა, რომ მიმწოდებელს არ დაურღვევია ხელშეკრულების დანართი №1-ით შეთანხმებული საქონლის ყველა სახეობებიდან (თითოეული სახეობის საბურავიდან) ნაკრები სახით 10%-ის მიწოდების ვალდებულება. სასამართლომ, ასევე, გაიზიარა დადგენილი ფაქტი, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადა დაარღვია 41 კალენდარული დღით (2013 წლის 9 მაისიდან – 2013 წლის 19 ივნისამდე).

14. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 417-ე, 420-ე მუხლებით და განმარტა, რომ სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. პირგასამტებლოს შეუსაბამობა შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. პირგასამტებლოს „აშკარა შეუსაბამობის“ თაობაზე მტკიცებულებებს წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს.

15. სასამართლომ განმარტა, პირგასამტებლოს განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხასიათს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლება აქვს, დაიყვანოს პირგასამტებლო თანაზომიერების ფარგლებამდე. პირგასამტებლოს შემცირებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შეს-

რულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტებლოს ოდენობასთან, ასევე, კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი.

16. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვალდებულების დროული შესრულების მიმართ შემსყიდველს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა, ვინაიდან ზაფხულის პერიოდში, სამხედრო ტექნიკისათვის აუცილებელი იყო ზაფხულის საბურავებით ექსპლუატაცია. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში პირგასამტებლოს, როგორც ვალდებულების დარღვევის პრევენციული ზომის მნიშვნელობა, გაცილებით მაღალია, ვიდრე ფიზიკურ პირ კონტრაპენტთან (მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები, ერთი მხრივ, იყო სახელმწიფო, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი და მეორე მხრივ, – იურიდიული პირი), ვინაიდან ძლიერი და სუსტი მხარის კონტრაპირების დროს, მათ შორის უფლება-მოვალეობათა ბალანსი განაპირობებს პირგასამტებლოს სხვაგვარად განსაზღვრას – უფრო მეტად შემცირებას. მოცემულ შემთხვევაში, განსხვავებული ვითარება იყო, რადგან ერთმანეთის პირისპირ იყო ორი თანაბარი სუბიექტი, ამ დროს, სწორედ მოპასუხეს უნდა დაესაბუთებინა, მის მიერ გადასახდელი პირგასამტებლოს მკვეთრად შემცირების წინაპირობები. იმის გამო, რომ ამგვარი წინაპირობები არ დაუსაბუთებია მოპასუხეს, სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების მიღებისას და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საწარმოს, სამინისტროს სასარგებლოდ, დაეკისრა 11 234 ლარის გადახდა, რაც შეადგენს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესაბამისად, დარიცხული დღიური 0,2%-ის 0,02%-მდე შემცირებით, რამაც დღიურად შეადგინა 274 ლარი და გამრავლდა ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობაზე (274 X 41).

17. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, საკასაციო წესით, ნაწილობრივ გაასაჩივრა სამინისტრომ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ანუ ამ ეტაპზე მიმწოდებელს, კასატიორის სასარგებლოდ, დაკისრებული ჰქონდა 11 234 ლარის ანაზღაურება, სამინისტრომ, საკასაციო საჩივრით მოითხოვა საწარმოსათვის 216 518 ლარის დაკისრება.

18. კასატორი თავის პრეტენზიას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის წინაშე ნაკისრი ვალ-დებულების დარღვევის ფაქტი უდავოა. კასატორის განმარტებით, უსაფუძლო და დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა შეუსაბამიდ მაღალი პირგასამტებლოს შემცირების თაობაზე. ვინაიდან, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, სახელშეკრულებო ვალდებულებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტებლოს ოფენიბის ურთიერთთანაფარდობა.

19. კასატორის განმარტებით, მხარეები მოქმედებდნენ სსკ-ის 418-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით, ისინი, თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში, შეთანხმდნენ პირგასამტებლოს ოფენიბაზე. ამდენად, სასამართლომ, საქმის გარემოებების არასრულყოფილად გამოკვლევითა და სსკ-ის 420-ე მუხლის დაუსაბუთებლად გამოყენებით, მიიღო უსაფუძვლო გადაწყვეტილება, რის გამოც ის უნდა გაუქმდეს და შემსყიდველის სარჩევი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 26 ივნისის განჩინებით, წარმოებაში მიიღო სამინისტროს საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში-სსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე წლის 30 ივლისის განჩინებით, დასაშვებად ცნო საკასაციო საჩივარი იმ საფუძვლით, რომ დავა ესება, სასამართლოს ინიციატივით, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლოს შემცირების საკითხს, რაც სსკ-ის 420-ე მუხლის განმარტებას გულისხმობს, ამდენად, დავა მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამდენად, არსებობდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძვლელზე. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლომ მხარეები მოიწვია 17 დეკემბრის სხდომაზე საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვის ეტაპზე.

21. ზეპირ მოსმენაზე გამოცხადებულმა მხარეებმა შემდეგი არგუმენტები წარმოადგინეს:

21.1. საკასაციო საჩივრის ავტორი დაეთანხმა მის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ ის 83 ვადაგადაცილებულ დღეზე ანგარიშობს პირგასამტებლოს, რაც საკასაციო საქმისწარმოების ეტაპზე შეადგენს 216 518 ლარს.

21.2. მიმწოდებელი საწარმო არ დაეთანხმა შემსყიდველის

საკასაციო საჩივარს და განმარტა, რომ სანარმომ სამინისტროს 19 ივნისს მიაწოდა იმაზე მეტი საქონელი, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით, კერძოდ, პირველ ეტაპზე, სახელშეკრულებო ღირებულების 1 372 200 ლარის 10%-ზე, ანუ 137 200 ლარზე მეტი საქონელი – 188 ცალი საბურავი, რომლის ღირებულება რეალურად იყო 153 200 ლარი, ამასთან, საქონლის მიწოდების ვადაგადაცილება იყო არა 83 დღე, როგორც ამას კასატორი განმარტავს, არამედ 41 დღე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულების შემოწმებისა და საქმის შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

22. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ კვეპუნქტები მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იგი ეყრდნობა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეულ და შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებებს და, განსახილველ შემთხვევაში, მიაჩნია, რომ არ არსებობს საქმის ქვემდგომ სასამართლოში დაბრუნების სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

23. საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მე-20 პუნქტზე მითითებით განმარტავს, სსკ-ის 420-ე მუხლთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი გადაწყვეტილება/განჩინება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის საფუძვლების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება სასამართლოს კომპეტენციაა. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა (1 372 200 ლარი) და მხარეებს შორის შეთანხმებული პირგასამტებლოს (ერთ ვადაგადაცილებულ დღე-

ზე 0,2 % ანუ 2744 ლარი) გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ კა-სატორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტებლო – 216 518 ლარი შეუსაბამოდ მაღალია, თუმცა, აქვე აღნიშნავს, სააპელაციო სა-სამართლოს მიერ შემცირებული პირგასამტებლო არ არის, ხელ-შეკრულების საერთო ღირებულებისა და ვადაგადაცილების დღეების მიხედვით, დანესახებული ადეკვატური ჯარიმა. გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით და ახალი გადაწყვე-ტილების მიღებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს შეხედულე-ბით, პირგასამტებლოს შემცირებისას, გასათვალისწინებელია მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებ-ში, დათქმული პირგასამტებლო, როგორც ერთგვარი „სანქცია“, რომელიც უნდა ესადაგებოდეს კრედიტორისა და მოვალის ინ-ტერესებს, პირგასამტებლოს დანიშნულებასა და ფუნქციას. მი-თითებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლომ დაასკვნა, რომ 41 ვადაგადაცილებულ დღეზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტებლოს (2744 X 41) 112 504 ლარის დაკისრება მიმწოდებლისათვის შეუსაბამოდ მაღა-ლი და არაგონივრული იქნება, თუნდაც იმ შესრულებული ნაწი-ლის გათვალისწინებით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ (იხ. განჩინების 1-4, 13 პუნქტები). საკასაციო სასა-მართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია კასატორის სასარგებლიდ, მიმწოდებელს დაეკისროს 27 752 ლარის გადახდა, რაც შესას-რულებელი ვალდებულების დარღვევისათვის ის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტებლოა, რომელიც გამომდინარებს მხარეთა შეთანხმებიდან და შეესაბამება დაგვიანებით შესრულებელი ვალდებულებისათვის, პასუხის-მგებლობის სახით, დადგინდლ საზღაურის.

24. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად კასა-ტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ხოლო სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასა-მართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათა-ვისუფლებული იყო მოსარჩევე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯე-ტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პრო-პორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, შპს „პ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ უ ვ ი ლ ე ბ ი თ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შპს „პ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს პირგა-სამტებლის – 27 752 ლარის გადახდა;
5. შპს „პ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 2 000 ლარის გადახდა (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300 773 150);
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტებლო

განერინება

№ას-209-199-2016

8 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (შემდგომში – მო-
სარჩელე, აპრილი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლო-
ში შპს „ე-ის“ მიმართ (შემდგომში – მოპასუხე, მონინააღმდეგე
მხარე) პირგასამტებლოს – 10 000 ლარის დაკისრების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ მხარეთა შორის 2013 წლის
30 აპრილს დადებული №211 ხელშეკრულების თანახმად, მო-
პასუხებ იყისრა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში
მდებარე სამხედრო ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კვე-
ბით მომსახურების უზრუნველყოფა.

3. ხელშეკრულება მოქმედებდა 2013 წლის 1 მაისიდან 2013
წლის 15 ივნისამდე. 15.1. პუნქტით, მიმოდებლის მიერ მომსა-
ხურების არაჯეროვნად შესრულებისათვის გათვალისწინებუ-
ლი იყო პირგასამტებლო – 10 000 ლარი.

4. 2015 წლის 8 მაისს სამხედრო ნაწილმა სადილზე მიიღო 45
კგ პური. მომზადებული კერძისაგან განსხვავებით, პურის დღი-
ური ნორმა სამხედრო ნაწილს შეიძლება, მინოდებოდა ერთჯე-
რადად ან რამდენჯერმე.

5. მოსარჩელის მითითებით, 2013 წლის 16 მაისს სამხედრო
პოლიციის სამმართველოს უფროსის თავდაცვის სამინისტროს
ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლისადმი მი-
მართვაში აღნიშნულია, რომ 2013 წლის 8 მაისს მოპასუხებ სამ-
ხედრო ნაწილს სადილზე მიაწოდა 45 კგ პური, 61 კგ-ის ნაც-
ვლად. აღნიშნულზე 2013 წლის 5 სექტემბერს თავდაცვის სამი-
ნისტროს მუშაკებმა შეადგინეს აქტი მიმოდებლის მიერ მომ-
სახურების არაჯეროვნად შესრულების შესახებ და მიიღეს გა-

დაწყვეტილება მოპასუხისათვის პირგასამტებლოს დაკისრებაზე.

მოპასუხის მოზიცია:

6. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ხელშეკრულებისა და თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებიდან გამომდინარე, ერთ ჯარისაც ზე პურის დღიური ნორმა 700 გრამი, რომელიც 2013 წლის 8 მაისს მიაწოდეს სოფელ ხცისში დისლოცირებულ ნაწილს. საჭირო პურის ოდენობა დგინდებოდა სასადილოს მენეჯერისა და სამხედრო ნაწილის წარმომადგენლის მიერ სამხედრო მოსამსახურეთა ოდენობის, ასევე, სხვა საჭმელების კალორიულობის გათვალისწინებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2013 წლის 30 აპრილს მხარეებს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხებ იკისრა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში მდებარე სამხედრო ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კვებით მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება.

10. ხელშეკრულების 10.4.3. პუნქტის შესაბამისად, შემსყიდვები უცვლებამოსილი იყო, უარი ეთქვა მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებასა და ანაზღაურებაზე, თუ ხელშეკრულებაში ან/მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები იქნებოდა მიწოდებული.

11. ხელშეკრულების 15.1. პუნქტის თანახმად, მომსახურების არაჯეროვან შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაკისრებოდა პირგასამტებლო 10 000 ლარის ოდენობით.

12. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლისადმი 2013 წლის 16 მაისს გაგზავნილი წერილის თანახმად, 2013 წლის 8 მაისს მოპასუხებ სამხედრო ნაწილს სადილზე, 61

კგ-ის ნაცვლად, 45 კგ პური მიაწოდა, რის გამოც 44 სამხედრო მოსამსახურე პურის გარეშე დარჩა. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2013 წლის 5 სექტემბერს აპელანტი მხარის შესაბამისმა სტრუქტურამ შეადგინა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შესახებ აქტი და გადაწყდა მოპასუხისათვის პირგასამთებლოს დაკასრება.

13. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ხელ-შეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესახებ ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

14. საქმეში ნარმოდგენილი 2013 წლის 16 მაისის წერილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ 2015 წლის 8 მაისს სადილზე გათვალისწინებული 61 კგ პურიდან, სამხედრო ნაწილმა 45 კგ პური მიიღო. ამავე წერილის თანახმად, მოპასუხისაგან უფლებამოსილმა პირმა განაცხადა, რომ პურის რაოდენობის დათვლისას შეცდომა იქნა დაშვებული და სალამოს გახშამზე, დამატებით, პურის ის რაოდენობა გაიგზავნა, რაც დააკლდა.

15. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული წერილით დასტურდება გარემოება იმის შესახებ, რომ სამხედრო ნაწილმა 2015 წლის 8 მაისს სულ 61 კგ პური მიიღო.

16. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ზუსტად არ განსაზღვრავდა, დროის რა მონაკვეთში (რომელ საათზე) ევალებოდა შპს „ე.-ს“ მოსარჩელისათვის პურის მთლიანი დღის მარაგის (61 კურის) მიწოდება. მოპასუხე მხარის განმარტებით, მომზადებული კერძისაგან განსხვავებით, პურის დღიური ნორმა სამხედრო ნაწილს ერთჯერადად ან რამდენჯერმე მიეწოდებოდა.

17. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნულ გარემოებას მოსარჩელე მხარეც ადასტურებს, როდესაც განმარტავს, რომ პურის მიწოდება მთელი დღის განმავლობაში შეიძლება მომხდარიყო. ამდენად, მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დღიური ნორმის – 61 კგ პურის ერთდღროულად (ერთ ჯერზე) მიტანის პირდაპირი ვალდებულება არ ჰქონდა.

18. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიერვე ნარდგენილი მტკიცებულებით (2013 წლის 16 მაისის წერილით) დადასტურებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ სამხედრო ნაწილს მიაწოდა 45 კგ პური სადილზე, ხოლო 16 კგ პური – ვახშამზე, შესაბამისად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პურის ყოველ-

დღიური ნორმის მიწოდების ვალდებულების დარღვევაზე მითითება საფუძველს მოკლებულია.

19. სააპელაციო საჩივრის საფუძვლებთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების ფაქტის დასადასტურებლად, მოპასუხის თანამშრომლების დაკითხვის ოქმებზე მითითება ვერ გამოდგება, ვინაიდან აღნიშნული ოქმები მხოლოდ იმ გარემოებას ადასტურებს, რომ სადილზე შეცდომით 45 კგ პური იქნა მიტანილი, რასაც მოპასუხი ისედაც არ უარყოფს.

20. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს არ გამოუყენებია ხელშეკრულების 10.4.3. პუნქტით მინიჭებული უფლება, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები მომსახურება მიენიდებოდა, უარი განეცხადებინა მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებაზე და ანაზღაურებაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ 2013 წლის 8 მაისის მომსახურება მიიღო და აანაზღაურა კიდეც.

21. სააპელაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იმ ძირითადი დოკუმენტის შინაარსზე, რომელზეც მოსარჩელე (აპელანტი) აპელირებს. მითითებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შპს „ე-მა“ მასზე დაკისრებული ვალდებულება პურის დღიური ნორმის (61 კგ) მიწოდების თაობაზე ჯეროვნად შეასრულა, თუმცა, დარღვევა მდგომარეობდა იმაში, რომ კომპანიის თანამშრომელმა დაუდევრობით ხცის საველებაზე საკვებ მანქანას 45 კგ პური გაატანა.

22. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული დარღვევა მოთხოვნის სხვა საფუძველს წარმოადგენს. სასარჩელო მოთხოვნა კი აღნიშნულ საფუძველს არ ეფუძნება. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სხვადასხვა საფუძველს წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა და მოპასუხის თანამშრომლის შეცდომით განპირობებული დარღვევა, რა დროსაც, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია მოპასუხის თანამშრომლის ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა და ა. შ. ვინაიდან სარჩელი ამ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით წარმოდგენილი არ არის, ამიტომ შესაგებლით არც მითითებული ფაქტებია შეცილებული. შესაბამისად, დაუმვეველია სასამართლოს მხრიდან სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, სასამართლო

სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე იმ ფაქტებზე დაყრდნობით მსჯელობს, რაც სარჩელშია მოცემული. სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) მიხედვით, კი მოპასუხებ მასზე დაკისრებული ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, რაც წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დადასტურდა.

23. რაც შეეხება ფაქტს მასზედ, რომ სასადილოს თანამშრომელმა სოფელ ხცისში დისლოცირებულ საველე ბაზაზე წაკლები რაოდენობით პური გააგზავნა, მითითებული ფაქტები სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლადებში ასახული არ არის. მასში არ არსებობს მითითება, რომ მოსარჩელესთან ხელშეკრულება სასადილოს თანამშრომელმა დაარღვია, რომელიც ამავდროულად მოპასუხის თანამშრომელი იყო. არ არსებობს ასევე მითითება, თუ ვინ იყო საველე ბაზაზე პურის გააგზავნაზე ვალდებული სუბიექტი, ვინ განსაზღვრავდა გასაგზავნი პურის რაოდენობას, აღნიშნული რაოდენობის თაობაზე ეცნობა, თუ არა ზემოაღნიშნულ თანამშრომელს, პურის დათველა და საველე ბაზაზე გაგზავნა მისი უშუალო ვალდებულება იყო, თუ იმ დროისათვის მენეჯერის დავალებას ასრულებდა და ა. შ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სარჩელი წარმოდგენილი არ არის იმ ფაქტობრივ საფუძველზე დაყრდნობით, რომ მოპასუხისათვის პირვასამტებლოს დაკისრების წინაპირობაა მისი თანამშრომელის გადაცდომა, რამაც მისი მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება განაპირობა. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სარჩელის პირობებში მითითებულ ფაქტებზე მსჯელობით მოპასუხეს (მოწინააღმდეგე მხარეს) საპროცესო-სამართლებრივი დაცვის უფლებას წაართმევს, რაც დაუშვებელია.

24. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (შემდგომში სსკ), განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოშობილია მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

25. სსკ-ის 477-ე მუხლის, 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 417-ე მუხლისა და მე-400 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არაჯეროვანი, ანუ რაოდენობრივად ნაკლები პურის, ან/და დადგენილ დროში პურის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი საქმის მასალებით დადასტურებულად არ მიიჩნია, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

26. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

27. კასატორმა მიიჩნია, რომ არც ერთი ინსტანციის სასამართლოს სრულად არ გამოიყელებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რასაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოჰყევა.

28. მხარემ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხეს ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია. სასადილოს მენეჯერისა და მოპასუხის თანამშრომლის დაკითხვის ოქმებით და აღიარებით დასტურდება, რომ ხცისის საველებაზე არასაკმარისი რაოდენობის პროდუქტის მიზანა გამოწვეული იყო მათი ბრალეული ქმედებით.

29. კასატორმა მიიჩნია, რომ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების 10.4.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებლობის შესახებ. მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებას მაკონტროლირებელი მხარის მიერ მოჰყევა რეაგირება და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტკებლოს ანაზღაურება.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივრარი მიღებული იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამონება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

32. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 30 აპრილს მხარეებს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ იკისრა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში მდებარე სამხედრო ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კეპით მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება.

33. ხელშეკრულების 10.4.3. პუნქტის შესაბამისად, შემსყიდ-

ველი უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებასა და ანაზღაურებაზე, თუ ხელშეკრულებაში ან/მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები იქნებოდა მიწოდებული.

34. ხელშეკრულების 15.1. პუნქტის თანახმად, მომსახურების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს და-ეკისრებოდა პირგასამტკებლო 10 000 ლარის ოდენობით.

35. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლოსადმი 2013 წლის 16 მაისს გაგზავნილი წერილის თანახმად, 2013 წლის 8 მაისს მოპასუხებ სამხედრო ნაწილს სადილზე, 61 კგ-ის ნაცვლად, 45 კგ პური მიანოდა, რის გამოც 44 სამხედრო მოსამსახურე პურის გარეშე დარჩა. ალნიმნულთან დაკავშირებით, 2013 წლის 5 სექტემბერს აპელანტი მხარის შესაბამისმა სტრუქტურაშ შეადგინა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შესახებ აქტი და გადაწყდა მოპასუხისათვის პირგასამტებლოს დაკასრება.

36. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შესახებ ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებით არ დადასტურდა.

37. საქმეში ნარმოდგენილი 2013 წლის 16 მაისის წერილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ 2015 წლის 8 მაისს სადილზე გათვალისწინებული 61 კგ პურიდან, სამხედრო ნაწილმა 45 კგ პური მიიღო. ამავე წერილის თანახმად, მოპასუხისაგან უფლებამოსილმა პირმა განაცხადა, რომ პურის რაოდენობის დათვლისას დაშვებულ იქნა შეცდომა და საღამოს ვახშამზე, დამატებით, პურის ის რაოდენობა გაიგზავნა, რაც მანამდე დააკლდა.

38. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშული წერილით დასტურდება 2015 წლის 8 მაისს სამხედრო ნაწილისათვის სულ 61 კგ პურის მიწოდების ფაქტი.

39. ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე სადაცოდედის სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოპასუხეს მხარე-თა შორის არსებული ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა პირგასამტებლოს დაკისრების სამართლებრივი წინაპირობები.

40. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრი

ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვა-როვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) საა-პელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კა-ტებორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამარ-თლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება და-უსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობა-ზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნე-ბოდეს.

41. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზე-მოთ მითითებული საფუძვლით.

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „*pacta sunt servanda*-ს“ (ხელ-შეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იყისრა ვალდებულება, უნ-და შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებუ-ლი უფლება-მოვალეობები.

43. შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრუ-ლებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლო-ბისას წარმოიშობა ნანირმოები შესრულების (ზიანის ანაზღაუ-რება, პირგასამტებლო) ვალდებულება. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნანილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შეს-რულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზ-რუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ სა-შუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახუ-რებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებუ-ლი. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტებლო (სუსგ 25.05.2010 ნ. საქმე №ას-1220-1480-09).

44. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგა-

სამტებლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტებლონ წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

46. პირგასამტებლონ ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლონ ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: а) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; б) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობასა და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლონ ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტებლონ ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

47. პირგასამტებლონ დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

48. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტებლონ ირმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტებლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტებლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

49. პირგასამტებლონ მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტებლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სუსგ 6.05.2015წ. საქმე №ას-1158-1104-2014).

50. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტებ-

ლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა.

51. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კასატორს დასაშები და დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ გარემოების უარსაყოფად, რომ მოპასუხეს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია. მან სადავო პერიოდში მოსარჩელეს მიაწოდა იმ ოდენობის პროდუქტი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, დასაბუთებულია გასაჩინერებული განჩინების მსჯელობა, რომ პირგასამტებლის გადახდის მოვალეობა მოპასუხეს არ წარმოშობია, ვინაიდან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ზუსტად არ განსაზღვრავდა, დროის რა მონაკვეთში (რომელ საათზე) ევალებოდა მოპასუხეს მოსარჩელისათვის პურის მთლიანი დღის მარაგის (61 პურის) მიწოდება. მოპასუხეს განმარტებით, მომზადებული კერძისაგან განსხვავებით, პურის დღიური ნორმა სამხედრო ნაწილს ერთჯერადად ან რამდენჯერმე მიეწოდებოდა.

52. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მან გამოიყენა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 10.4.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოპასუხეს მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებას მაკონტროლებელი მხარის მიერ მოჰყვა რეაგირება და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტებლოს ანაზღაურება.

53. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელშეკრულების დასახელებული პუნქტი ადგენს შემსყიდველის უფლებამოსილებას, უარი თქვას მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებასა და ანაზღაურებაზე, თუ ხელშეკრულებაში ან/მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები იქნებოდა მიწოდებული. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, რომ სადავო მიწოდების დროს პროდუქციის დაზაკლისის აღმოჩენისას მოსარჩელეს შეეძლო, აღარ მიეღო დაგვიანებით წარმოდგენილი დანაკლისი და შემდგომ ედავა ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამო მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული მექანიზმის ამოქმედების შესახებ, რაც არ განუხორციელებია და მოპასუხეს მხრიდან დაგვიანებით შესრულებული მომსახურების მიღებაზე უარი არ უთქვამს.

54. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე,

რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

55. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სასამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით.

56. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

პირგასამთხევლო

გადაცევეფილება საქართველოს სახელით

№ას-1199-1127-2015

13 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინა-
რე თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასამართლო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

სს „ვ-იამ“ სარჩელი აღდრა სასამართლოში მოპასუხეების: ლ.
ფ-ის, ი. ბ-ის, თ. ფ-ის, ნ. შ-ისა და მ. გ-ის მიმართ, რომლითაც
მოითხოვა:

1. მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 15281,02 აშშ დოლა-
რის დაკისრება, საიდანაც ძირითადი დავალიანებაა 8385,19 აშშ
დოლარი, პროცენტი – 1553,16 აშშ დოლარი და პირგასამტეხ-
ლო – 5342,67 აშშ დოლარი.

2. დავალიანების გადახდევინების მიზნით, ქ. ბ., კ-ის ქ. №2-ში
(ს/კ: №...) მდებარე ი. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირე-
ბული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აუქ-
ციონზე რეალიზაცია. ასევე, დაგირავებული მოძრავი ნივთების,
კერძოდ, ქ. ბ., კ-ის ქ. №2-ში მდებარე საოჯახო ნივთებისა და ლ.
ფ-ის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის, რომლის მახასია-
თებლებია: სახელმწიფო ნომერი O..., გამოშვების წელი – 1998,
მოდელი – IVECO LD 240 E 38 FP, ფერი – მწვანე 6/8, ტიპი – სატ-
ვირობო ბორტიანი, საიდენტიფიკაციო ნომერი – W..., ტრანსპორ-
ტის სარეგისტრაციო მოწმობა – B..., რეალიზაცია.

3. უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციის შეუძლებლო-
ბის ან რეალიზაციით მიღებული თანხიდან დავალიანების სრუ-
ლად დაფარვის შეუძლებლობის პირობებში, გადახდევინების
მიეცევა მსესხებლის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონე-
ბაზე.

II. მოპასუხის პოზიცია

4. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მო- თითება

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით სს „ვ-იას“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

ა) მოპასუხეებს: ლ. ფ-ს, ნ. შ-ეს, თ. ფ-ს და მ. გ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ 10472.35 აშშ დოლარის (საიდანაც, ძირითადი თანხაა – 8385.19 აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი – 1553.16 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 534 აშშ დოლარი) გადახდა სს „ვ-იას“ სასარგებლოდ;

ბ) დავალიანების გადახდევინების მიზნით, დადგინდა ქ. ბ., კ-ის ქუჩა №2-ში, ს/კ: №0... მდებარე, ი. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, იპოთეკით დატვირთული, უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია.

ასევე, ქალაქ ბ-ი, კ-ის ქუჩა №2-ში მდებარე, ი. ბ-ის საკუთრებაში არსებული დაგირავებული მოძრავი ნივთების: საოჯახო ნივთების და ლ. ფ-ის საკუთრებაში რიცხული ავტომანქანის (მასასიათებლები: სახელმწიფო ნომერი O..., გამოშვების წელი – 1998, მოდელი – IVECO LD 240 E 38 FP, ფერი – მწვანე 6/8, ტიპი – სატვირთო ბორტიანი, საიდენტიფიკაციო ნომერი – W..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა – B...) რეალიზაცია.

მითითებული საგნების რეალიზაციის შეუძლებლობის, ან რეალიზაციიდან მიღებული თანხით დავალიანების სრულად დაუფარაობის შემთხვევაში, დადგინდა, დავალიანების გადახდევინება მსესხებლის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონებიდან.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

6. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ორივე მხარეებს. ლ- ფ-მა, ი. ბ-ემ, თ. ფ-მა, ნ. შ-ემ და მ. გ-ემ წარდგენილი სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დარიცხული პროცენტის – 1553,16 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 535 აშშ დოლარის ნაწილში. ხოლო სს „ვ-იამ“ კი, – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოპასუხეებისათვის პირგასამტებლოს – 4808.67 აშშ დოლარის დაკისრება.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით: ლ.

ფ-ის, ი. ბ-ის, ნ. შ-ის, ო. ფ-ის, მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8. სს „ვ-იას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სს „ვ-იას“ სარჩელი პირგასამტებლოს გადახდევინების თაობაზე დაკმაყოფილდა სრულად. ლ. ფ-ს, ნ. შ-ეს, ო. ფ-ს და მ. გ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ 4808.67 აშშ დოლარის გადახდა სს „ვ-იას“ სასარგებლოდ.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 2008 წლის 10 ივნისს სს „ვ-იამ“ გაუხსნა საკრედიტო ხაზი ლ. ფ-ს 50000 აშშ დოლარის ოდენობით, 5 წლის ვადით (იხ: გენერალური ხელშეკრულება საკრედიტო მომსახურებაზე).

– ამ ხელშეკრულების საფუძველზე, 2010 წლის 20 მაისს დაიდო №7618225105 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სს „ვ-იამ“ ლ. ფ-ს ასესხა 20650 აშშ დოლარი, 1826 დღის ვადით, წლიური 23% სარგებლის დარიცხვის პირობით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებულს, კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, დაერიცხებოდა ჯარიმა – 10 აშშ დოლარს დამატებული ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ამასთან, ხელშეკრულების 6.1.1 პუნქტის თანახმად, გამსესხებელი უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა დავალიანების (ძირი თანხის, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტებლოს) დაფარვა მსესხებლისაგან, თუ ეს უკანასკნელი არ დაფრიავდა ვადაში გრაფიკით გათვალისწინებულ თანხას, სულ მცირე, ორჯერ და ბანკის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში არ იქნებოდა დაფარული საკრედიტო დავალიანება.

– აღნიშნული საკრედიტო ვალდებულებები უზრუნველყოფილ იქნა:

ა) ი. ბ-ის კუთვნილი უძრავი ნივთის (მდებარე, ქალაქ ბ-ი, კიურის №2-ში, ს/კ: №0...) იპოთეკით დატვირთვით;

ბ) ლ. ფ-ის კუთვნილი ავტომანქანის (სატვირთო ბორტიანი IVECO LD 240 E 38 FP, სახელმწიფო ნომრით O..., გამოშვებული 1998 წელს, მწვანე (6/8) ფერის, ს/ნ: W..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა – B...) გირავნობით დატვირთვით;

გ) ი. ბ-ის კუთვნილი, ქალაქ ბ-ი, კ-ის ქურის №2-ში განთავსებული საოჯახო ნივთების გირავნობით დატვირთვით;

დ) მ. გ-ის, ნ. შ-ის და თ. ფ-ის მიერ ნაკისრი სოლიდარული თავდებობებით; თითოეული თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 44410.51 აშშ დოლარის ფარგლებში.

– ლ. ფ-მა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები, რისი სამართლებრივი შედეგების შესახებაც სს „ვ-იამ“ განახორციელა მსესხებლის, თავდებებისა და იპოთეკის (გირავნობის) საგნის მესაკუთრე პირთა ინფორმირება, შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნა-ჩაბარებით და ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის დაწესების სახით. დამატებით ვადაშიც ვალდებულებები ლ. ფ-ს არ შეუსრულებია, რის შედეგადაც მსესხებლის დავალიანება სს „ვ-იას“ მიმართ, სარჩელის შემოტანის დროისათვის, შეადგენდა 15281.02 აშშ დოლარს, საიდანაც ძირი დავალიანებაა – 8385.19 აშშ დოლარი, დარიცებული პროცენტი – 1553.16 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 5342.67 აშშ დოლარი (იხ: ლ. ფ-ის გადახდების ისტორია).

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თანხების დაანგარიშების წესს მოპასუხები არ შედაგებიან: მათი პრეტენზია მიმართული იყო 2010 წლის 20 მაისს განხორციელებული რესტრუქტურიზაციის მიმართ. თუმცა, მოპასუხე მხარეებს არ მოუთხოვათ 2010 წლის 20 მაისის საკრედიტო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რაიმე საფუძვლით.

12. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელი ეფუძნებოდა 2010 წლის 20 მაისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტის გამცემმა – სს „ვ-იამ“ გასცა მსესხებელზე – ლ. ფ-ზე სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

13. სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას; შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

14. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბანკო კრედიტის გამცემმა სწორედ ამ წესის დაცვით შეწყვიტა ლ. ფ-თან საკრედიტო ურთიერთობა და მოითხოვა დავალიანების სრულად დაფარვა. იმ პირობებში, როცა მოპასუხე მხარე არ ეცილებოდა დავალიანების დაანგარიშების წესს. ასევე, არ მიუთითებდა საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სამართლებრივი სამუალებების (გირავნობა, იპოთეკა, სოლიდარული თავდებობები) გამოყენების დაუშვებლობაზე, ამ ნაწილში, სა-

აპელაციო სასამართლო სრულად იზიარებდა საქალაქო სასა-
მართლოს დასკვნეს.

15. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქ-
მეში ასევე სადაცო იყო ის გარემოება უნდა გადაეხადა თუ არა
მოვალეს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით შეთანხმებული
ოდენობით. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ
იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით, რომ-
ლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით
განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გა-
დაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად
შესრულებისათვის. 418-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,
პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების
მხარეთა მიერ წების თავისუფალი გამოვლენით და იგი შეიძლე-
ბა აღმატებოდეს კრედიტორის შესაძლო ზიანს.

მოცემულ შემთხვევაში, საბანკო კრედიტის თანხას საპრო-
ცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო სარჩელის აღძრის შემ-
დგომ აღარ ერიცხებოდა; სარჩელის აღძრის შემდეგ კი, გასუ-
ლი იყო ერთი წელი. წინამდებარე სამართლწარმოება, თუ რო-
მელიმე მხარე გამოიყენებდა საკასაციო საჩივრის წარდგენის
უფლებას, შეიძლება კიდევ 6 თვით გახანგრძლივებულიყო, რა-
საც ემატებოდა საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ვა-
დებიც.

ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, საა-
პელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეუწონელი იყო სა-
მოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე დაყრდნობით პირგასამ-
ტეხლოს შემცირება, რომელიც განსაზღვრულია მხარეთა თა-
ვისუფალი წების გამოვლენით, იმავე კოდექსის 418-ე მუხლის
პირველი ნაწილის შესაბამისად და იგი, დროის გასვლასთან ერ-
თად, არ იზრდება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ-
გვარი პრაქტიკა შეიძლება იქცეს არაკეთილსინდისიერ მოვა-
ლეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გათავისუფლების,
აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა წაქეზების საშუალებად,
დაარღვიონ ვალდებულება, მოსალოდნელი პირგასამტეხლოს
დაუსაბუთებლად შემცირების იმედით; ეს კი არ წაადგება სა-
ხელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილური,
პროგნოზირებადი ხასიათით განხორციელებას.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასა-
ციო საჩივრარი წარადგინეს ლ. ფ-მა, ი. ბ-ემ, თ. ფ-მა, ნ. შ-ემ და მ.
გ-ემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილე-
ბის გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

17. კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ განზრას აარიდა თავი 20.06.2008წ.-ის სესხის იმ ხელშეკრულებაზე მსჯელობას, რომლის საფუძველზეც დაიტვირთა ლ. ფ-ის სიძის – ი. ბ-ის საცხოვრებელი ბინა, ხოლო სესხის თანხად განისაზღვრა 20,500 აშშ დოლარი. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მსესხებელს გადახდილი ჰქონდა 10 863 აშშ დოლარი. მოგვიანებით, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. საბოლოოდ, მოხდა სესხის რესტრუქტურიზაცია და 25.05.2010წ.-ს გაფორმდა მეორე სესხის ხელშეკრულება განსხვავებული პირობებით. მსესხებელს პირველი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაერიცხა ყველა ჯარიმა თუ საურავი და ბანკმა იგი დააპრუნა 20.06.2008წ.-ის საწყის მდგომარეობაში, ისე, რომ ბანკს მისთვის რაიმე შეღავათი არ გაუწევია.

კასატორები მიუთითებენ, რომ თავად მსესხებელი გამოცხადდა ბანკში ჯერ კიდევ, 14.12.2013წ.-ს, მიუთითა თავის გადახდისუნარობაზე და მოთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა.

ამდენად, კასატორებს მიაჩინიათ, რომ ბანკის მითითება თითქოს ორჯერ გაეგზავნა და ჩაბარდა შეტყობინება მსესხებელს როდე მიუთითებს მსესხებლის არაკეთილსანდიდიერებაზე. გარდა ამისა, კასატორები მიუთითებენ, რომ თუ ბანკმა გამოიყენა ხელშეკრულების შეწყვეტის სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლით დადგენილი წესი, მაშინ ხელშეკრულება უნდა შეეწყვიტა 2014 წლის თებერვლის თვეში. ბანკმა კი, სარჩელი წარადგინა 2014 წლის ოქტომბერში.

კასატორები მიუთითებენ, რომ ბანკის მიერ წარმოდგენილი დავალიანების ისტორიაში არაა გაშიფრული თუ რა წესით და რა პერიოდისათვის იქნა დარიცხული პირგასამტებლო. სასამართლოში წარმოდგენილი არ არის 5 428,78 აშშ დოლარის გაანგარიშების წესი.

სამოტივაციო ნაწილი:

VII. საკასაციო პალატის დასკვნები:

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 27 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

19. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუ-

თება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

20. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი დაკისრებული პირაგასამტებლოს ოდენობის კანონიერებას შეეხება.

გასამტებლობის გადახდების საფუძველი პირგასამტებლოს გადახდების თაობაზე დაკმაყოფილდა სრულად. ლ. ფ-ს, ნ. შ-ეს, თ. ფ-ს და მ. გ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ 4,808.67 აშშ დოლარის გადახდა სს „ვ-იას“ სასარგებლოდ. პირგასამტებლოს სრულად დაკისრების ხანილში, სააპელაციო სასამართლის მიერ დადგენილია დავის სწორად გადაწყვეტი-სათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 2008 წლის 10 ივნისს სს „ვ-იას“, როგორც „ბანკის“ მიერ ლ. ფ-ისათვის, როგორც „მსესხებლისათვის“ გახსნილი საკრედიტო ხაზის ფარგლებში, მხარეებს შორის, 2010 წლის 20 მაისს დაიდო №7618225105 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ბანკმა მსესხებელს ასესხა 20,650 აშშ დოლარი, 1826 დღის ვადით, წლიურა 23% სარგებლის დარიცხვის პირობით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებელს, კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, დაერიცხებოდა ჯარიმა – 10 აშშ დოლარს დამატებული ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

– მსესხებელმა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები.

– საბოლოოდ, მსესხებლის დავალიანებამ სარჩელის წარდგენის დროისათვის შეადგინა 15,281.02 აშშ დოლარი, საიდანაც ძირითადი თანხა იყო – 8,385.19 აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი – 1,553.16 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 5,342.67 აშშ დოლარი.

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

22. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე, რასაც საკასაციო პალატა იზიარებს და პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევს პირგასამტებლოს სამართლებრივ ბუნებას, მისი ოდენობის განსაზღვრისა და დაკისრების მიზანშეწონილობის შესწავლის თვალსაზრით.

23. პალატა განმარტავს, რომ პირგასამტებლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმომადა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზე დამოკიდებული. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება დამუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტებლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან.

პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: а) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცალოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტებლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტებლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტებლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტებლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებუ-

ლების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამ-ტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შე-დეგად.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანო-ნისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს და ამ კუთ-ხით, მისი კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარე-თა შეთანხმებით). განსახილველი შემთხვევის მიმართ გამოყე-ნებული უნდა იქნეს 418-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულებით პირგასამტეხლოს განსაზღვრას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოდგენს მხარეთა აბსოლუტურ უფ-ლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხ-ლი). სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გა-მოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ სა-ფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერ-თგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც უმთავრესია, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრი-ვი გარემოების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტუ-რი და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრი-ვი მდგომარობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედი-ტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მი-მართ და ა.შ.

24. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სამოქალაქო კოდექ-სის 420-ე მუხლის ნინააღმდეგ, საპელაციო პალატამ ბანკის სარჩელის საფუძვლიანობა დაუკავშირა იმგვარ გარემოებებს, როგორიცაა პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებით კეთილ-სინდისიერი გადამხდელების ნახალისება, რათა პირგასამტეხ-ლოს შემცირების იმედით მათ აღარ შეასრულონ ვალდებულე-ბა, რაც, პალატის მოსაზრებით, ხელს შეუშლის სტაბილურ სა-მოქალაქო ბრუნვას და არ წაადგება სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის პროგნოზირებადი ხასიათით განხორცი-ელებას.

25. წინამდებარე სამართალწარმოების გახანგრძლივების შემთხვევაში, საბანკო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარ-

გებელისა და პირგასამტებლოს გადახდის აღსრულების ვადების გაჭიანურებაზე და ზოგადად, სხვა არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გათავისუფლების, აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა წაქეზების საშუალებებზე დეკლარირებული სახის მსჯელობაში (იხ., გასაჩივრებული გადაწყვეტილების პ: III. 4-6), საკასაციო პალატის მოსაზრებით, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის როლს, ისე, სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის სრულფასოვან განხორციელებას, ვინაიდნან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, მოითხოვს ყოველ კონკრეტულ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას და არა ზოგადი ხასიათის პრევენციების გატარებას.

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტებლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტებლოს ოდენობასთან. პირგასამტებლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტებლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ 28.12.2012წ. საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ.-ის საქმე №ას-1200-1145-2013).

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

28. შესაბამისად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თა-

ნახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სარგებლიან სესხს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯერვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს, როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს. რაც შექება პირგასამტებლოს ოდენობის გონივრულობას, საკასაციო პალატა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, დარღვევის თანაზომიერ, გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნევს 2008 წლის 20 მაისის საბანკო კრედიტის №7618225105 ხელშეკრულებაზე დარიცხული პირგასამტებლოდან – 1534 აშშ დოლარს, რომელიც საკასაციო პალატის მოსაზრებით, კანონშესაბამისია და სავსებით უზრუნველყოფს მინიმალური ზიანის ანგარიში კრედიტორის ინტერესების დაქმაყოფილებას (იხ., სუსგ 04.12.2015წ. №ას-914-864-2015).

29. გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიაზე, რომელიც შეეხება სესხის რესტრუქტურიზაციას, ბანკის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლით დადგენილი წესის დარღვევას და დავალიანების ოდენობისა და მისი დარიცხვის გაშიფრას, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმით დადგენილია გასაჩივრების პროცესუალური ფარგლები და დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, საკასაციო საჩივრის წარდგენა კანონით დადგენილი წესით, დასაშვებია გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის მიმართ, რომელიც საპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო. წარმოდგენილი საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.03.2015წ.-ის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისრათ 10,472.35 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც, ძირითადი თანხაა – 8,385.19 აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი – 1,553.16 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 534 აშშ დოლარი, ლ. ფ-ის, ი. ბ-ის, თ. ფ-ის, ნ. შ-ის, მ. გ-ის მიერ გასაჩივრდა მხოლოდ პროცენტისა და პირგასამტებლოს ნაწილში და ამავე ნაწილში შეეხო მას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი იმსჯე-

ლოს სესხის ძირითადი თანხის დაანგარიშებისა და დარიცხვის კანონიერებაზე.

30. პროცენტის, რომელიც თავისი ბუნებით სარგებელს წარმოადგენს, დარიცხვის კანონიერებასთან მიმართებით კი, კასატორების მიერ წარმოადგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. შესაბამისად, ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

VIII. სასამართლო ხარჯი

31. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლის აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

32. მოცემულ შემთხვევაში, ბანკის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან მოპასუხებმა უნდა აანაზღაურონ 547 ლარი.

ხოლო, ვინაიდან, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია პირგასამტებლოს – (4808.67 – 1534) 3,274.67 აშშ დოლარის ნაწილში, ამ ნაწილში, ნინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 163.73 ლარი მოწინააღმდეგე მხარემ უნდა აუნაზღაუროს კასატორებს.

ამ მოთხოვნათა გაქვითვის შედეგად, კასატორებმა უნდა გადაუხადოს მოწინააღმდეგე მხარეს 383.27 ლარი.

33. ამასთან, კასატორებმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი 1553.16 აშშ დოლარის 5% – 77.65 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, შემდეგი საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება გასაჩივ-

რებულია მთლიანად. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარი იურიდიული შედეგის გათვალისწინებით კი საკასაციო საჩივრის ღირებულებას შეადგენს კასატორებისათვის დაკისრებული არამხოლოდ პირგასამტებლო, არამედ სესხზე დარიცხული პროცენტიც (სარგებელი). კასატორების მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია მხოლოდ პირგასამტებლოს ნაწილში, რომელიც შეადგენს 240 აშშ დოლარის ეკვივალენტს – 574 ლარს. პროცენტის (სარგებლის) ნაწილში კი, სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, კასატორების მიერ დამატებით გადასახდელია 1553.16 აშშ დოლარის 5% – 77.65 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ვინაიდან ამ ნაწილში, საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა :

1. ლ. ფ-ის, ი. ბ-ის, თ. ფ-ის, ნ. შ-ის, მ. გ-ის საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ვ-იას“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ლ. ფ-ს, ნ. შ-ეს, თ. ფ-ს და მ. გ-ეს სს „ვ-იას“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ პროცენტი – 1,553.16 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 1,534 აშშ დოლარი.
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება სს „ვ-იას“ სასარგებლოდ ლ. ფ-ისათვის, ნ. შ-ისათვის, თ. ფ-ისათვის და მ. გ-ისათვის ძირითადი დავალიანების 8,385.19 აშშ დოლარის სოლიდარულად დაეკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად.
6. საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდევინება განხორციელდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2 პუნქტის შესაბამისად;
7. სს „ვ-იას“ სარჩელი დანარჩენ ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;

8. ლ. ფ-ს, ი. ბ-ეს, თ. ფ-ს, ნ. შ-ეს, მ. გ-ეს დაეკისროს სს „ვ-იას“ სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 383.27 ლარი;

9. ლ. ფ-ს, ი. ბ-ეს, თ. ფ-ს, ნ. შ-ეს, მ. გ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 77.65 აშშ დო-ლარის ეკვივალენტი ლარი. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

10. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

4. პანელისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობაზე

საზიანო საგნის განკარგვის წესი

განრიცხვა

№ას-148-138-2015

27 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა:** პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გ-ის სარეგისტრაციო სამსახურში, ერთი მხრივ, მ. (შემდეგში მოსარჩელეს) და ა. ე-ებსა და, მეორე მხრივ, ნ. ე-ს (შემდეგში მოპასუხეს) შორის 2011 წლის 18 ნოემბერს გაფორმდა ჩუქების ორი ხელშეკრულება, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ, გ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ქ-ი მდებარე უძრავ ქონებაზე. აღნიშნული ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხის სახელზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის – შემდეგში სსკ-ის – 524-ე, 525.2-ე მუხლები).

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გ-ის სარეგისტრაციო სამსახურში, ერთი მხრივ, მ. (შემდეგში მოსარჩელეს) და ა. ე-ებსა და, მეორე მხრივ, თ. ა-ს (შემდეგში მოპასუხეს) შორის 2011 წლის 28 ნოემბერს გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, გ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ქ-ი მდებარე უძრავ ქონებაზე. აღნიშნული ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხის სახელზე (სსკ-ის – 524-ე, 525.2-ე მუხლები).

3. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 7 ივნისის დასკვნის თანახმად, ა. ე-ს აღენიშნება თავის ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობა, მკვეთრად გამოხატული ცვლილებებით. ამ უკანასკნელს არ შეუძლია, შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშველობა და განაგოს იგი (ქმე-

დუუნარობა).

4. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 7 ივლისის დასკვნის თანახმად, 2012 წლის 18 და 28 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმებისას, ან გარდაცვლილი ა. ე-ი დაავადებული იყო თავის ტყინის დისფუნქციით გამოწვეული ფსიქიკური აძლილობით, მკვეთრად გამოხატული ცვლილებებით ფსიქიკის მხრივ და არ შეეძლო, შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი.

5. ა. ე-ი გარდაცვალა 2012 წლის 3 ივლისს. სადავო ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, 01.11.2012 წელს, სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. ე-მა. ეს უკანასკნელი გარდაცვალა 2013 წლის 16 იანვარს. გ-ის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი შვილი – კ. ე-ი (მემდეგში მოსარჩელის უფლებამონაცვლე).

6. მოსარჩელის განმარტებით, მისი მეუღლე (ა. ე-ი) სადავო ჩუქების ხელშეკრულებების დადების დროს იყო ქმედუუნარო, ხოლო თავად მოსარჩელეს მოტყუებით დაადებინეს ეს ხელშეკრულებები. მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოხსენებული გარემოებები სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

7. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელე არ მოუტყუებიათ, ხოლო მოსარჩელის მეუღლე კი ქმედუნარიანი იყო. მათ თავისუფლად გამოხატეს საკუთარი ნება და სადავო ქონება აჩქევს მოპასუხებებს. აქედან გამომდინარე, მოპასუხები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

8. გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით:

- სარჩელი დაკმაყოფილდა;
- ბათილად იქნა ცნობილი №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 2011 წლის 18 ნოემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულება;
- ბათილად იქნა ცნობილი №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 2011 წლის 18 ნოემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულება;
- ბათილად იქნა ცნობილი №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 2011 წლის 28 ნოემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

9. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 58-ე

მუხლზე და მიიჩნია, რომ სადაცო ჩუქების ხელშეკრულებების დადების დროს გაწუქებული უძრავი ქონების ერთ-ერთი თანამესაკუთრის – მოსარჩელის მეუღლის ქმედუუნარობა, რაც დასტურდებოდა ექსპერტიზის დასკვნით, ამ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

10. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, სადაცო ხელშეკრულებების დადებისას, იგი მოატყუეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მოპასუხებმა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ სადაცო ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმებისას მოსარჩელის მეუღლეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო, გაეცხობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის, სსკ-ის 58-ე მუხლის შესაბამისად, საკმარის საფუძველს წარმოადგენდა ამ ხელშეკრულებების გასაბათილებლად.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს მოპასუხებმა.

15. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ისევე, როგორც გ-ის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, უკანონო და დაუსაბუთებელია. სასამართლომ საქმე სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ შეისწავლა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ვალდებულება მას ეკისრებოდა;

– სადაცო გარიგებების დადებისას, მოსარჩელე და მისი მეუღლე ქმედუნარიანები იყვნენ, სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული გარიგების დადებასთან დაკავშირებული ქმედებების მნიშვნელობა, კერძოდ, ყველა საჯარო დოკუმენტი და განცხადება მოსარჩელის მეუღლემ პირადად გამოითხოვა საჯარო რეგსტრიდან, იგი ფსიქიურად დაავადებული რომ ყოფილიყო (როგორც ეს ექსპერტიზამ დასკვნა და ორივე ინსტანციის სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა), აღნიშნული ფაქტი საჯარო რეგსტრის თანამშრომლებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ;

– მართალია, მოსარჩელის მეუღლემ 2008 წლის ომის დროს ტრავმა მიიღო, თუმცა ის არასდროს ყოფილა ფსიქიკურად და-ავადებული და ამ მიზეზით არსად უმკურნალია. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა, მიკერძოებული და არაობიერტურია. საქმის განხილვისას, კასატორებმა წარადგინეს დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ცალსახადაა მითითებული, რომ სადაც გარიგებების დადგინდის მომენტში, ან გარდაცვლილი მოსარჩელის მეუღლის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენა შეუძლებელია. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გორის რაიონულ სასამართლოში, საქმის განხილვისას, არ დაკმაყოფილდა მოპასუხეთა შუამ-დგომლობა, მოწმედ დაკითხულიყვნენ დასკვნის წარმდგენი ექ-სპერტები. სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი დამოუკი-დებელი ექსპერტის დასკვნა, სასამართლომ საქმეს მტკიცე-ბულებად არ დაურთო, რის გამოც დაირღვა მოპასუხეთა ინტე-რესეპტი.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 11 თებერვლის განჩინებით ნ. ე-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო ამავე სასამართლოს 2015 წლის 12 მარტის განჩინებით თ. ა-ის საკასა-ციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინებით ნ. ე-ის საკასა-ციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

19. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში აღმრუ-ლია აღიარებითი სარჩელი, კერძოდ, მოსარჩელ მოითხოვს 2012 წლის 18 ნოემბერს დადგებული ჩუქების ხელშეკრულებე-ბის ბათილად ცნობას.

20. სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არ-სებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ

მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

21. მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია, აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიკისა და სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღძვრა.

22. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნანარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, გარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უნიდებენ. მი-

კუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დაცის საგანის თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე №ას-937-887-2015).

23. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, სარჩელის მიხედვით, მდგომარეობს სადაც ქონებაზე მისი უფლების აღდგენაში, ანუ ამ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნებაში. სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, სადაც ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობით, რამდენადაა შესაძლებელი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მიღწევა, ანუ სადაც ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ გამოურკვევია, მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელის აღდვრა. როგორც აღინიშნა, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი სადაც ქონების საკუთრებაში დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ ეს ქონება ბათილი გარიგების საფუძველზე განიკარგა. ბათილი გარიგების საფუძვლზე გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი (სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ ამისათვის აუცილებელია მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელის აღდვრა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ითქვა, სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ რატომ არაა შესაძლებელი მიკუთვნებითი სარჩელის აღდვრა და ასეთი სარჩელის არარსებობის პირობებში, რამდენად მიიღწევა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მხოლოდ აღიარებითი სარჩელით, კერძოდ, სადაც გარიგებების ბათილად ცნობით.

24. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული აღიარებითი სარჩელის დაშვების წინაპირობების არსებობის შემთხვევაშიც, ამ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნაწილობრივ დაუსაბუთებელია.

25. გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ სადაც ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმებისას მოსარჩელის მეუღლეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო, გაეცნო-

ბიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელ-მძღვანელა მისთვის, სსკ-ის 58-ე მუხლის შესაბამისად, საკმა-რის საფუძველს წარმოადგენდა ამ ხელშეკრულებების მთლია-ნად გასაბათილებლად.

26. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნის მართებულობის შესამოწმებლად საკასაციო სასამართლო ყუ-რადლებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ, როგორც სადაცო ჩუ-ქების ხელშეკრულებებით, ასევე, საჯარო რეესტრიდან ამონა-ნერით, ირკვევა, რომ მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ მოპასუ-ხეს აჩუქეს მათ თანასაკუთრებაში არსებული ორი უძრავი ნივ-თი.

27. საზიარო საგნის განკარგვის წესს ადგენს სსკ-ის 959-ე მუხლი, რომლის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია გან-კარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად.

28. მითითებული ნირმის მიხედვით, შესაძლებელია როგორც საზიარო საგნის წილის, ისე მთლიანად საზიარო საგნის განკარ-გვა. საზიარო საგნის მთლიანად განკარგვისათვის საჭიროა ყვე-ლა მოწილის თანხმობა, ხოლო წილის განკარგვისას სხვა მოწი-ლეთა თანხმობა საჭიროა არაა. საზიარო საგნის მთლიანად გან-კარგვისას, ყველა მოწილის თანხმობის დაწესება მიზნად ისა-ხავს საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა ინტერესების დაცვას, ვინაიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე მოწილის მიერ საზიარო საგ-ნის მთლიანად განკარგვა იწვევს იმ მოწილეთა წილების გან-კარგვასაც, რომელთაც ამის თანხმობა არ მიუციათ. ასეთი თან-ხმობის გარეშე საზიარო საგნის განკარგვა კანონსაწინააღმდე-გოდ უნდა მივიჩნიოთ, რაც შესაძლებელია ამ გარიგების ბათი-ლობის საფუძველი გახდეს (სსკ-ის 54-ე მუხლი – „ბათილია გა-რიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკ-რძალვებს ...“). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ერთ-ერ-თი მოწილის თანხმობის არარსებობა გამოიწვევს არა მთლია-ნად ამ გარიგების, არამედ მისი იმ ნაწილის ბათილობას, რომე-ლიც ამ კონკრეტული მოწილის წილს ეხება (იხ. სუსგ, 31.03.2009, საქმეზე ნეას-997-1196-08 და სუსგ, 13.03.2006, საქმეზე ნეას-761-1053-2005).

29. მოცემულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით ირკვევა, რომ მოსარჩელისა და მისი მეუღლის წილე-ბი სადაცო საზიარო ქონებაში სპეციალური შეთანხმებით გან-საზღვრული არ ყოფილა. ასეთ დროს თანამესაკუთრეთა წილე-ბის დასადგენად გამოიყენება სსკ-ის 954-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დად-

გენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. ამდე-ნად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესა და მის მეუღლეს სადაც ქონებაში ეკუთვნოდათ თანაბარი წილები. ცხადია, თითოეულ მათგანს შეეძლო საკუთარი წილის განკარგვა მეორე მოწილის თანხმობის გარეშე. მართალია, მათ საზიარო საგანი ერთობლივად გააჩუქრეს, მაგრამ, ფაქტობრივად, თითოეულმა თავისი წილი განკარგა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მოწილის ნების ნაკლი გავლენას ვერ მოახდენს მეორე მოწილის ნების ნამდვილობაზე, ანუ ერთი მოწილის ნების გამოვლენის ისეთი ხარვეზი, რომელიც ზოგადად გარიგების ბათილობის საფუძველია, ავტომატურად არ გამოიწვევს საზიარო საგანზე დადებული გარიგების მთლიანად გაბათილებას.

30. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სადაც ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძვლად მიუთითებდა მისი გარდაცვლილი მეუღლის ქმედუუნარობის, ასევე, მისი მოტყუების ფაქტებზე, ანუ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მისი მეუღლის მიერ გამოვლენილი ნება ბათილი იყო, რადგან ამ უკანასკნელს გარიგების დადების დროს არ შეეძლო, შეეგნო თავის მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი, ხოლო თავად მისი ნება ბათილი იყო, რადგან იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს.

31. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შემდეგ მოსაზრებას, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დასტურდება ის გარემოება, რომ სადაც გარიგებების დადების დროს მოსარჩელის მეუღლეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის.

32. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშვნული ფაქტობრივი გარემოება სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ვინაიდან კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის – შემდეგში სსკ-ის – 407-ე მუხლის მეორე ნაწილი).

33. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ექსპერტიზის დასკვნები, რომელიც დაეყრდნო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, მიკერძოებული და არაობიერქურია. გარდა იმისა, რომ კასატორი არ აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატა ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნების მიკერძოებულობა და არაობიერქურობა, მას

ამ გარემოებათა დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. რაც შეეხება კასატორის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი აპელანტს ამ მტკიცებულების მიღებაზე, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებდა სსსკ-ის 380-ე მუხლით გათვალისწინებული ახალი მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოში დაშვების წინაპირობებს. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თავად ამ დასკვნის შინაარსს, რომლის შიხედვით, ექსპერტიზისათვის წარდგენილი მასალებით შეუძლებელია ან გარდაცვლილი მოსარჩელის მეუღლის ფსიქიური მდგომარეობის დადგენა სადაც გარიგებების დადებისას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნა დასაშვები რომც ყოფილიყო, იგი ვერ გააქარწყლებდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ 2012 წლის 7 ივნისისა და 2014 წლის 7 ივნისის დასკვნებით დადგენილ იმ გარემოებას, რომ სადაც გარიგებების დადებისას მოსარჩელის მეუღლეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელ-მძღვანელა მისთვის.

34. ზემოაღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, სსკ-ის 58-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ბათილია მოსარჩელის მეუღლის მიერ სადაც ქონების ჩუქებისას გამოვლენილი ნება, მაგრამ არა ჩუქების ხელშეკრულების მთელ საგანზე, არამედ მხოლოდ მისი იმ ნაწილზე, რომელიც საზიარო საგანში ამ უკანასკნელის წილს შეესაბამება.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იურიდიულად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც, ზემოხსენებული საფუძვლით, გაბათილდა სადაც ჩუქების ხელშეკრულებები მოსარჩელის წილზე. როგორც ზემოთ ითქვა, თავად მოსარჩელე მისი ნების გამოვლენას ბათილად მიიჩნევდა იმ საფუძვლით, რომ იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს. მოსარჩელის მიერ მითითებულ ამ გარემოებაზე სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და არ დაუდგენია, მოატყუეს თუ არა მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი სა-

ფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხ-ლის „ე¹“ ქვეპუნქტი).

36. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასა-მართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, უნდა გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების 22-ე და 34-ე პუნქტებში მითითებუ-ლი გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვე-ტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საა-პელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპრო-ცესო ნორმების ისეთი დარღვევებითაა დადგენილი, რომ ამ დარ-ღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკ-ვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწი-ნებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვე-პუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლია-ნობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალი-ზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუ-თების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შე-საძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანო-ნიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტი-სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთ-ხე წარმოდგენილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯე-ბი, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარ-ჩელის აღძერიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ გა-ნაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გადაწ-ყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

39. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. ე-ის სააპელაციო სა-ჩივარი და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ივნისის გადაწ-ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1. და 1.2. პუნქტები;
3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გა-უქმებულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნ-დეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება

გადაწყვეტილება საძართველოს სახელით

№ას-1205-1150-2013

11 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ქლიერიშვილი,
ნ. ბაქაეური

დავის საგანი: ძირითად სარჩელში – საზიარო საგნით სარ-გებლობის ხელშეშლის აღკვეთა; შეგებებულ სარჩელში – საზი-არო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ს-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. კ-ის მიმართ ქ. ქუ-თაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №5-ში მდებარე საერთო საკუთრების ეზოში უკანონოდ გავლებული ეზოს გამყოფი ბე-ტონის ე.წ „ბორდიულისა“ და მასზე დამაგრებული მყარი სა-საზღვრო მიზნის აღების დაგალდებულების, ასევე, თანასაკუთ-რებაში არსებული მინის ნაკვეთით სარგებლობასა და ფლობაში ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

ლ. კ-მა სარჩელი არ ცნო, ამასთან, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ი. ს-იას მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №5-ში მდებარე მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმებისა და წილის ნატურით მიკუთვნების მოთხოვნით.

ი. ს-მ შეგებებული სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ი. ს-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. კ-ს დაევალა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №5-ში მდებარე საერთო სარგებლობის ეზოში გავლებული ბეტონის საძირკველზე აგებული ლითონის კონსტრუქციის დობის აღება (მოშლა), მასვე დაევალა, არ შეეძალა ხელი ი. ს-თვის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობასა და ფლობაში. ამავე გადაწყვეტილებით ლ. კ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა ლ. კ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებისა და საპროცესო ხარჯების დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილების მე-2 და მე-4 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ს-ს სარჩელი მიჯნის მოშლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ძირითად სარჩელთან დაკავშირებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ს-ს საკუთრებაში იყო ქ. ქუთაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილი, ხოლო 1/2 ეკუთვნოდა ლ. კ-ს;

საცხოვრებელი სახლის საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი შეადგენდა 399.00 კვ. მეტრს;

ლ. კ-მა თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაავლო ბეტონის ე.ნ „ბორდიული“ და მასზე ააგო ლითონის მესერი (ლობე);

2005 წლის 2 დეკემბრის სანოტარო აქტით ლ. კ-მა მოსარჩელის პაპის – შ. ს-გან შეიძინა სადაც სახლის 1/2. ნასყიდობის

ხელშეკრულება 2005 წლის 7 დეკემბერს აღირიცხა საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო დარჩენილ 1/2-ზე დარჩაშ. ს-ს საკუთრების, ხოლო მიწის ფართზე – თანასაკუთრების უფლება;

2011 წლის 6 იანვრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე ი. ს-მ შ. ს-ს ნარმომადგენელ ც. ს-გან შეიძინა შ. ს-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (რომლის მახასიათებლებია: ზონა: ქუთაისი – 03, სექტორი: მუზეუმი – 04, კვარტალი – 26, ნაკვეთი – 141, მისამართი: ქ. ქუთაისი, ... შესახვევი 1, №5. ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 399,00 კვ.მ, ნაკვეთის ნომერი: 03.04.01. 288. შენობა – ნაგებობების საერთო ფართი: 152,89 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი: 123,40 კვ.მ, დამხმარე ფართი: 29,49 კვ.მ, სამეურნეო ფართი: 136,99 კვ.მ, საზაფხულო ფართი: 26,06 კვ.მ) და 2011 წლის 6 ოქტომბერს ვე ი. ს-მ განცხადებით მიმართა ქ. ქუთაისის მერს საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე უნდართვოდ აგებული ღობის აღების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე, რის პასუხადაც განმცხადებელს განუმარტეს, სადაც საკითხის გადასაწყვეტად, მიემართა სასამართლოსათვის;

2011 წლის 28 ოქტომბერს ც. ს-მ სანოტარო ბიუროში წარადგინა განცხადება და მოითხოვა მასზე ხელის მოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. განცხადების თანახმად, ც. ს-ია აცხადებდა, რომ მის მეუღლესთან – შ. ს-სთან ერთად 2011 წლამდე ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №5-ში, რომლის 1/2 ირიცხებოდა მისი მეუღლის საკუთრებად. სახლის მეორე 1/2-ში თანამესაკუთრედ ცხოვრობდა და დაღესაც ცხოვრობს ლ. კ-ი 2005 წელს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მათ ააშენეს თანასაკუთრებაში არსებულ ეზოში გამყოფი ღობე, რომელიც დღემდე არსებობს. განმცხადებელმა და მისმა მეუღლემ აღნიშნული უძრავი ქონება 2011 წლის 6 იანვარს არსებული სახით, მათ შორის საზიარო ღობით, რომელიც ააშენეს ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით, მათმა ოჯახმა და ლ. კ-მა, მიჰყიდეს შვილიშვილი ი. ს-ს;

პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხული ა. კ-სა და ნ. თ-ის ჩვენებებზე, ასევე ც. ს-ს 2011 წლის 28 ოქტომბრის განცხადებაზე და გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკენა, რომ 2005 წელს, როდესაც ლ. კ-მა სახლის 1/2 იყიდა, მხარეები შეთანხმდნენ შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ გამყოფი მიჯნის გავლებაზე,

რომელიც ამ უკანასკნელმა სახლის შეძენიდან 2 წლის შემდეგ აღმართა. სწორედ ასეთი მიჯნა არსებობდა მაშინ, როცა ც. და შ. ს-მა მათ საკუთრებაში არსებული სახლის 1/2 მიჰყიდეს ი. ს-იას.

პალატამ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განმარტა, რომ საკუთრება აბსოლუტური უფლებაა, ყოველი მესამე პირი ვალდებულია, თავი შეიკავოს სხვისი საკუთრების დარღვევისაგან. თუ არ ექნება ადგილი აღნიშნულ დარღვევას, მესაკუთრე შეძლებს ნივთთან თავისუფალი ურთიერთობის განხორციელებას. მესაკუთრის მოქმედებით ასევე არ უნდა ილახებოდეს მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები. სამოქალაქო კოდექსი მესაკუთრეს უფლებას აძლევს, მოსთხოვოს დამრღვევს ხელშეშლის აღკვეთა. თუ ამ მოსთხოვნას ეს უკანასკნელი არაფრად ჩააგდებს და ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს უფლება აქვს, სასამართლო წესით მოითხოვოს უკანონო მოქმედების აღკვეთა.

მოცემულ შემთხვევაში, სადაც არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ი. ს-მ სახლი შეიძინა საზიარო ღობით, რომელიც ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით ააშენეს ც. და შ. ს-ის ოჯახმა და ლ. კ-მა.

სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის ესა თუ ის უფლება, მაშინ ეს უფლება საზიაროა. საზიარო უფლებები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნებიან იმდენად, რამდენადაც ამ უფლების მოწილეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობებიც კანონით წესრიგდება. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება შესაძლებელია გადაიდეს სხვა პირზე, მაგალითად მემკვიდრეზე, წილის შეძენზე და სხვა. ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლის მიმართაც გამოიყენება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, რომელიც მოწილეებმა განსაზღვრეს. მოცემულ შემთხვევაში, ი. ს-ს მიერ სახლის შეძენამდე, საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი უკვე განსაზღვრული იყო, ამასთან, იგი წარმოადგენდა ც. და შ. ს-ების უფლებამონაცვლეს და მასზე საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი გადადიოდა იმ სახით, როგორც იგი სახლის გაყიდვამდე არსებულ მესაკუთრეებს შორის არსებობდა, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ ი. ს-ს მოთხოვნა მიჯნის აღების თაობაზე, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3, მე-4, 103-ე და 105-ე მუხლების თანახმად, იყო უსაფუძვლო.

საზიარო უფლების გაუქმებისა და ქონების ნატურით გაყოფის მოთხოვნის ნაწილში წარდგენილი სააპელაციო საჩივარი პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია. ამ თვალსაზრისით სასამართლომ მიუთითა მხარეთა შორის დადგებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №.... დაკვირვებულ და გაუნაშენიანებული ფართიდან ლ. კ-ის ფაქტობრივ ფლობაში არსებული მინის ნაკვეთის ფართი შეადგენდა 199,9 კვ. მეტრს. ფაქტობრივი მდგომარეობით, მხარეთა თანასაკუთრების მინის საერთო, განაშენიანებულ და გაუნაშენიანებული ფართიდან ლ. კ-ის ფაქტობრივ ფლობაში არსებული მინის ნაკვეთის ფართი შეადგენდა 224,5 კვ. მეტრს. ლ. კ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 137,3 კვ.მ განაშენიანებული და 87,2 კვ.მ გაუნაშენიანებული ფართი გამოყოფილი იყო საზიარო ფართიდან ბეტონის საძირკველზე აგებული ლითონის კონსტრუქციის ორბითა და საცხოვრებელი სახლის საერთო საზიარო კედლით; ბ) ლ. კ-ის მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის ნაწილის საზიარო ფართიდან გამოყოფა და გამიჯვნა ამჟამად არსებული მდგომარეობითა და ტექნიკური პარამეტრებით, საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო; გ) ქ. ქუთაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №ნ-ში მდებარე საერთო საკუთრების ეზოს სადაცო საზიარო მინის ნაკვეთის ნატურით გაყიფა, ისე, რომ საზიარო მინის ნაკვეთი დაყოფილიყო ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, ტექნიკურად შეუძლებელი იყო; დ) ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით – მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის (საზიარო ეზოს) გამიჯვნით, ი. ს-ს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მსგავსად ლ. კ-სა, ესარგებლა დამოუკიდებელი სამანქანო შესასვლელით.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ საერთო საკუთრება შეიძლება არსებობდეს ორი სახით: ნილადი და საზიარო. ნილადი საკუთრების თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული ნილი საერთო საკუთრებაში, რომლის განკარგვაც მას შეუძლია. თანაზიარი საკუთრებისას თითოეული მესაკუთრის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე. თუ ნილადი საკუთრებისას ქონებაში მესაკუთრის ნილი წინასწარაა ცნობილი იდეალური წილის სახით, თანასაკუთრებისას – ეს წილი კონკრეტულად განისაზ-

ღვრება ქონების გაყოფის შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის ესა თუ ის უფლება, მაშინ ეს უფლება საზიაროა. საზიარო უფლებები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნებიან იმდენად, რამდენადაც საზიარო უფლების მოწილებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონითვე წესრიგდება.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლზე, 955-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 958-ე, 963-ე მუხლებზე და გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №.... დასკვნის თანახმად, რადგანაც ლ. კ-ის კუთვნილი წილის გამოყოფა მისი ლირებულების შემცირების გარეშე იყო შეუძლებელი, შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ამასთან, საქმის მასალებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების თანახმად, არ დგინდებოდა მხარეთა შეთანხმება (კანონით დადგენილი წესით) მინის ნაკვეთზე თანასაკუთრების გაუქმებისა და ინდივიდუალური საკუთრების წარმოშობის თაობაზე.

საპრელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-მ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

საპრელაციო სასამართლომ დაარღვია კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გარანტირებული საკუთრების უფლება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ი. ს-ს, როგორც მესაკუთრის უფლების შელახვა და მოპასუხის მხრიდან უფლების პოროტად გამოყენების ფაქტი, გადაუხვია თანასწორობის პრინციპს და გადაწყვეტილებით უპირატესი სარგებლობისა და საკუთრების უფლება მიანიჭა მოპასუხეს კასატორის უფლებების და საკუთრების შელახვის ხარჯზე. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ვითომდა ღობის აშენებაზე თანხმობა მისცეს ყოფილმა მესაკუთრეებმა, შესაბამისად, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი.

მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულია, რომ სახლის ერთპიროვნული მესაკუთრე იყო შ. ს-ია, ხელწერილი კი დაწერა და ჩვენება მისცა ც. ს-მ. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოწილება მისცა კანონის მიზანის სასამართლომ დაარღვია კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გარანტირებული საკუთრების უფლება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ი. ს-ს, როგორც მესაკუთრის უფლების შელახვა და მოპასუხის მხრიდან უფლების პოროტად გამოყენების ფაქტი, გადაუხვია თანასწორობის პრინციპს და გადაწყვეტილებით უპირატესი სარგებლობისა და საკუთრების უფლება მიანიჭა მოპასუხეს კასატორის უფლებების და საკუთრების შელახვის ხარჯზე. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ვითომდა ღობის აშენებაზე თანხმობა მისცეს ყოფილმა მესაკუთრეებმა, შესაბამისად, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი.

მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულია, რომ სახლის ერთპიროვნული მესაკუთრე იყო შ. ს-ია, ხელწერილი კი დაწერა და ჩვენება მისცა ც. ს-მ. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოწილება მისცა კანონის მიზანის სასამართლომ დაარღვია კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გარანტირებული საკუთრების უფლება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ი. ს-ს, როგორც მესაკუთრის უფლების შელახვა და მოპასუხის მხრიდან უფლების პოროტად გამოყენების ფაქტი, გადაუხვია თანასწორობის პრინციპს და გადაწყვეტილებით უპირატესი სარგებლობისა და საკუთრების უფლება მიანიჭა მოპასუხეს კასატორის უფლებების და საკუთრების შელახვის ხარჯზე. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ვითომდა ღობის აშენებაზე თანხმობა მისცეს ყოფილმა მესაკუთრეებმა, შესაბამისად, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი.

მის ხელწერილითა და ახსნა-განმარტებებით არ დგინდება, რომ მესაკუთრემ მას მისცა ლობის აშენების უფლება. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მათივე განმარტებით, მოხდა არა უპრალოდ სასაზღვრო მიჯნის აღმართვა, არამედ საკუთრების ხელყოფა, რადგან მოპასუხე მოწმესთან ერთად ადასტურებს, რომ თანასაკუთრებაში არსებული ნაკვეთით მხოლოდ მას უნდა ესარგებლა ერთპიროვნულად. იმ შემთხვევაში, თუ მართლა შედგა მხარეთა შორის ამგვარი გარიგება, სახეზე უნდა გვქონდეს ერთ-ერთი: ა) წილის შემცირება; ბ) ნაწილი ნაკვეთის გასხვისება; გ) აღნაგობა; დ) უზუფრუქტი. ნებისმიერი მათგანის არსებობის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სავალდებულო იყო გარიგების ნერილობითი ფორმით დადგება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 234-ე და 243-ე მუხლებისა. ნინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, კასატორი კეთილსინდისიურ შემძნენად და მესაკუთრედ მიიჩნევა.

დავის გადაწყვეტილისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა იცოდა კასატორის დედამ, იგი არ არის სასამართლოში მიმდინარე დავის მონაწილე, ისე, როგორც ც. ს-ია ნასყიდობის მომენტში მესაკუთრეს ი. ს-თვის არ უცნობებია ნივთის ნაკლის შესახებ. სადაც გარემოება ნივთის ნაკლს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში კასატორი ქონებას არ შეიძენდა, ამასთანავე, ასეთი გარიგება საჯარო რეესტრში აღირიცხება, რათა ყველა პირის, მათ შორის ახალი შემძნების უფლება იყოს დაცული. საწინააღმდეგოს დაშვებისას ნებისმიერი პირი მიუთითებს ქონების ამგვარი პირობით გასხვისებაზე, რაც, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებას, ისე საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობას ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება 958-ე მუხლზე მითითებას, ამ ნორმაში საუბარია ქონების მართვასა და სარგებლობაზე და არა გამიჯვნასა და/ან ნილის შემცირებაზე. მოპასუხის ქმედებით აშკარაა, რომ ადგილი აქვს ი. ს-ს, როგორც მესაკუთრის უფლების შეზღუდვას. ამ ნანილში საქალაქო სასამართლომ სწორად იმსჯელა და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 953-ე-956-ე მუხლებზე.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი. ს-ია, როგორც მესაკუთრე, ვერ სარგებლობს თავისი უფლებით. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ეს არ ნიშნავს ამ გარემოების სამუდამოდ სავალდებულო ძალის ქონას.

საქალაქო სასამართლო დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას

და დაასაბუთა კიდეც მისი გამოყენების წინაპირობები, ხოლო სააპელაციო სასამართლომ იგივე დასკვნა ნაწილობრივ, მხოლოდ გამიჯვნის ნაწილში გაიზიარდა. სასამართლო, მართალია, არ იყო ვალდებული, აუცილებლად გაეზიარებინა იგი, მაგრამ უნდა ემსჯელა და დაესაბუთებინა, თუ რატომ არ გაიზიარა დასკვნის სხვა ნაწილი. ამ დასკვნით მტკიცდებოდა, რომ ირლევეა კასატორის უფლება და საკუთრების ღირებულება მცირდება არა მარტო გამიჯვნით, არამედ არსებული მდგომარეობითაც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩინობა ლ. კ-მაც, მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თანასაკუთრებად რიცხული საკარმილად მინის ნაკვეთი ჯერ კიდევ უფლებამონაცვლებამდე მხარეთა შორის გამიჯნული და გაყოფილი იყო ურთიერთშეთანხმებით დადგენილი წესით. როგორც ლ. კ-ი, ისე ი. ს-ია სარგებლობდა თავის წილი ფართით. აღნიშნული გარემოების დადგენილად მიიჩნევის პირობებში, სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, ქონების ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმებაზე ეთქვა უარი.

სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 954-ე და 958-ე მუხლები. პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ს-ე სახლი შეიძინა იმგვარად, რომ საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი განსაზღვრული იყო. ი. ს-ია ც. და შ. ს-ების უფლებამონაცვლეა და მასზე საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი გადადის იმდაგვარად, როგორც სახლის გაყიდვამდე არსებობდა. პალატამ კანონის ზემოაღნიშნული, სწორად განმარტებული დეფინიცია, არასწორად მიუსადავა განსახილველ შემთხვევას. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლით, რომლის ძალითაც თითოეულ მონილეს თანაბარი წილი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკუთვნის, თუ სპეციალური შეთანხმებით სხვა რამ არაა დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში კი, საზიარო მინის ნაკვეთის მართვისა და სარგებლობის წესი დადგენილი იყო თანასაკუთრების მონილე მხარეების მიერ და რომ არა საზიარო მინის ფართით სარგებლობის შეთანხმებული პირობა, ც. და შ. ს-ებსა და ლ. კ-ს შორის 2005 წლის 2 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც პირველი ინსტანციის, ისე

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რითაც უხეშად დაარღვია ლ. კ-ის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

სააპელაციო პალატამ, საზიარო ქონების ნატურით გაყოფას-თან დაკავშირებით, ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, კერძოდ, არ გაითვალისწინა ის, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ეხებოდა დავის საგანს, რომ-ლით სარგებლობისა და გამოყენების წესი მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრეს ი. ს-ზე საკუთრების უფლების გადაცემამდე სასამართლოს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა უძრავ ქონებაზე ფორმალურად არსებული საზიარო უფლების გაუქმებაზე უარის თქმის გზით არ დაექმაყოფილებინა შეგებებული სარჩელი.

სრულიად უადგილოა სასამართლოს მხრიდან საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მოშველიება, რადგან იგი წყვეტს საინჟინრო-ტექნიკურ და არა სამართლებრივ საკითხებს, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, ისედაც გადაწყვეტილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა სასამართლოს მტკიცება, რომ მოსარჩელეს საშუალება არ ჰქონდა, მსგავსად ლ. კ-ისა, ესარგებლა სამანქანო შესასვლელით.

სააპელაციო პალატამ, დავის საგნის მარეგულირებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 954-ე, 958-ე მუხლები) არასწორი (მოპასუხის კანონიერი ინტერესების საზიანო) განმარტებით, ლ. კ-ს, ფაქტობრივად, გაუუქმა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლება, რომლის თანახმადაც თითოეულ მონილეს შეუძლა ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, რაც ხანდაზმულობასაც კი არ ექვემდებარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ს-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანია ძირითად სარჩელში ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა, შეგებებულ სარჩელში კი საერთო საკუთრების მიწის ფართზე, ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება.

ძირითადი სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებში მითითებუ-

ლია, რომ მხარეები წარმოადგენენ ქ. ქუთაისში ... ქუჩა, პირველი შეს. №5-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი 399 კვ.მ. და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლი) თანამესაკუთრეებს 1/2-1/2 წილებში. ლ. კ-მა თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კანონდარღვევით ააგო ლითონის ლობე, რითაც ი. ს-ს ხელი ეშლება საერთო საარგებლობის ეზოთი საარგებლობაში. ამასთან, მოსარჩელეს არ მიუცია მოპასუხისტების თანხმობა წილადი საკუთრებით სხვაგვარი სარგებლობის თაობაზე. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ მოპასუხებ განმარტა, რომ თანასაკუთრების უფლება შეიძინა 2005 წლის 2 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით იმ პირობით, რომ ლ. კ-ს აუცილებლად ექნებოდა მყარად გამიჯნული დამოუკიდებელი სამანქანო და საფეხმავლო შესასვლელი, სხვა შემთხვევაში გარიგება ვერ შედგებოდა. ამ პირობის დაცვით მოხდა გამყვიდველთან (შ. ს-ია) თანასაკუთრებაში არსებული ეზოს სარგებლობის წესზე შეთანხმება და ეზოს გამიჯვნა. შესაბამისად, ი. ს-ს, როგორც შ. ს-ს უფლებამონაცვლის (ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე) მიერ წინა მესაკუთრესთან შეთანხმებული სარგებლობის წესის გადახედვა არამართლზომიერია.

შეგებებული სარჩელით ლ. კ-მა მოითხოვა საერთო საკუთრების მიწის ფართობის მის მიერ გამოყოფილ და გამიჯნულ წილზე საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით (ისე, რომ გამიჯნული ნაწილი აღირიცხოს ლ. კ-ის საკუთრებად), ამასთან, სარჩელის ფაქტობრივ დასაბუთებაში მიუთითა იმ გარემოებებზე, რომლებიც აღნიშნული ჰქონდა ძირითად სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებია სამოქალაქო კოდექსის 172.2 და 955.2 მუხლები, ხოლო შეგებებული სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებია 961.1 და 963-ე მუხლები. მოცემული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს ერთის მხრივ უნდა დაედგინა ეშლებოდა თუ არა ხელი ი. ს-ს ლ. კ-ის მხრიდან უძრავი ნივთით სარგებლობაში, ამასთან, ი. ს-ს, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ხომ არ უნდა ეთმინა სარგებლობაში ხელშეშლა, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელი იყო თუ არა საზიარო საგნის დაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ლირებულების შემცირების გარეშე.

მხარეთა შორის სადაც არ არის ის გარემოება, რომ ისინი წარმოადგენენ საზიარო საგნის თანამესაკუთრეებს წილადი სა-

კუთრების სახით – 1/2 – 1/2.

საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ ექსპერტის დასკვნის საფუძველზე დადგენილია შემდეგი: ა) საზიარო უფლების მინის ნაკვეთის საერთო ფართში თანამესაკუთრეთა კუთვნილი 1/2 წილი შეადგენს 199,9 კვ.მ-ს. ფაქტობრივი მდგომარეობით, მხარეთა თანასაკუთრების მინის საერთო, განაშენიანებულ და გაუნაშენიანებელი ფართიდან ლ. კ-ის ფაქტიურ ფლობაში არსებული მინის ნაკვეთის ფართია 224,5 კვ.მ. განაშენიანებული ფართი 137,3 კვ.მ. და გაუნაშენიანებელი ფართი 87,2 კვ.მ. ლ. კ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართი გამოყოფილია საზიარო ფართიდან ბეტონის საძირკველზე აგებული ლითონის კონსტრუქციის ღობით და საცხოვრებელი სახლის საერთო საზიარო კედლით; ბ) ლ. კ-ის მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის ნაწილს, საზიარო ფართიდან, გამოყოფა და გამიჯვნა ამჟამად არსებული მდგომარეობითა და ტექნიკური პარამეტრებით საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია; გ) ქ. ქუთასიში, ... პირველი შესახ. №5-ში მდებარე საერთო საკუთრების ეზოს სადავო საზიარო მინის ნაკვეთის ნატურით გაყოფა, ისე რომ საზიარო მინის ნაკვეთი დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად, ღირებულების შემცირების გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია; დ) ფაქტიურად არსებული მდგომარეობით, მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის (საზიარო ეზოს) გამიჯვნით ი. ს-ს არ აქვს შესაძლებლობა მსგავსად ლ. კ-სა ისარგებლოს დამოუკიდებელი სამანქანო შესასვლელით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 961.1 და 963-ე მუხლებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის (საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით) დადგომისათვის აუცილებელია შემდეგი ორი პირობის კუმულატიურად არსებობა: ა) შესაძლებელი უნდა იყოს საზიარო საგნის დაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად; ბ) ამგვარი დაყოფის შედეგად არ უნდა შემცირდეს ნივთის ღირებულება. ამ უკანასკნელ პირობაში იგულისხმება ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი არ უნდა ნაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის. ამდენად, ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. მაგალითად ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან განსახილ-

ველი დავის საგანია სამანქანო გზა, რომელიც ისე არ გაიყოფა, რომ გამოყოფილი ნაწილი კვლავ სამანქანო გზად დარჩეს, სარჩელი უსაფუძვლოა (იხ. სუსტ, №ას-881-1112-04, 23 ივნისი, 2005 წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორ ლ. კ-ს ამ კუთხით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებზე დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ ნარმოუდგენია. მით უფრო უსაფუძვლოა მისი მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმებისა და ნივთის იმგვარად გაყოფის შესახებ, როგორც მხარები ფაქტობრივად ფლობენ საზიარო საგანს, რადგან თანამესაკუთრები არათანაბარ და არასამართლიან მდგომარებაში აღმოჩნდებიან.

რაც შეეხება ლ. კ-ის პრეტენზიას, რომ მან ქონება ფაქტობრივად იმ სახით შეიძინა, როგორითაც დღეს ფლობს, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან (2005 წლის 2 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება). როგორც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება კასატორის მიერ გაულერებულ დათვებას არ შეიცავს, ხოლო სასამართლოს ამ დასკვნის მიმართ ლ. კ-ს საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ პრეტენზიას არ შეიცავს. შეუძლებელია უძრავ ნივთზე არსებულ საკუთრების უფლებაში ცვლილება განხორციელდეს ზეპირი გარიგებით, ვისაიდან კანონით ამისათვის აუცილებელია სანივთო-სამართლებრივი გარიგების დადება ამ გარიგების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სკ-ის 183-ე მუხლი).

ძირითადი სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წელს, როდესაც ლ. კ-მა სახლის 1/2 ნაწილი იყიდა, შ. ს-ს ოჯახს შეუთანხმდა გამყოფი მიჯნის (ლობის) გავლებაზე. ლობება გააკეთა ლ. კ-მა სახლის ყიდვითან ორ წლის შემდეგ და ამ სახით არსებობდა ი. ს-ს მიერ ქონების შეძნის დროსაც. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანამესაკუთრებაში, შ. ს-სა და ლ. კ-ს შორის არსებობდა შეთანხმება თახასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია შეთანხმების მოქმედების ვადა, რაც გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეთანხმება განუსაზღვრელი ვადით დაიდო. საკასაციო პალატის ამ რწმენას კიდევ უფრო აძლიერებს ლ. კ-ის განმარტება, რომლის მიხედვითაც, რომ არა სარგებლობის ამგვარ წესზე შეთანხმება, სხვა შემთხვევაში გარიგება ვერ დაიდებოდა. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორ ი. ს-ს პო-

ზიციას იმის თაობაზე, რომ უძრავი ნივთით სარგებლობის წეს-ზე შეთანხმება მოითხოვდა წერილობითი ფორმის დაცვას და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ვინაიდან სამოქალაქო კო-დექსის არცერთი ნორმა, მათ შორის არც სპეციალური ნორმები (სკ-ის 953-ე-968-ე მუხლები) ამგვარ დანაწესს არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავის თავისებურებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების დაცვის საკითხი, უნდა გადაწყვდეს არა მხოლოდ სამოქალაქო კო-დექსის სანივთო-სამართლებრივი ნორმებით (სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები), არამედ ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმებითაც (სკ-ის 955-ე და 961-ე მუხლები). განსახილველი დავის თავისებურებას კი განაპირობებს ის ფაქტი, რომ მხარეები წარმოადგენენ საზიარო საგნის თანამესაკუთრეებს, რომ-ლებმაც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში დაადგინეს საზიარო საგნით სარგებლობის წესი.

ზოგადი წესის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, თითოეულ მონილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მონილეთა სარგებლობას (სკ-ის 955.2 მუხლი). ვინაიდან საკუთრების შინაარსი მოიცავს ქონებით (ნივთით) ფლობას, სარგებლობას და განკარგავს (სკ-ის 170.1 მუხლი), საკუთრების შინაარსის რაიმე ფორმით დარღვევა ან მასში მესაკუთრის წების სანინაალმდეგოდ ჩარევა დაცულია კანონით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშელელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

ვინაიდან ძირითადი სარჩელის მოპასუხე თავს იცავს მხარეთა შორის სარგებლობის შეთანხმებაზე მითითებით, ანუ მან სასამართლოს ფაქტიურად წარუდგინა სამართლებრივი შესაგებელი, ამ ფარგლებში მნიშვნელოვანია განიმარტოს და შემოწმდეს სამოქალაქო კოდექსის 957-ე და 958-ე მუხლების შემადგენლობა.

სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გა-

მოითვლება წილთა მიხედვით. მითითებული ნორმის დათქმა გულისხმობს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებას, რომელიც ემყარება სამართლიან შეხედულებებს, ემსახურება მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებას და გამომდინარეობს საზიარო საგნის თავისებურებიდან. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება. ამდენად, საზიარო საგნის თანამესაკუთრების მიერ საზიარო საგნით სარგებლობაზე შეთანხმება, მათ შორის იმგვარი შეთანხმება, რომლითაც რომელიმე მოწილემ უარი თქვა თავისი წილის პროპორციულ სარგებლობაზე, წარმოადგენს გარიგების იმ სახეს, რომლითაც თანამესაკუთრებმა განკარგეს თავიანთი უფლებები (უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლება) და ნების ავტონომიის პრინციპის გათვალისწინებით შეიძლება თავიანთი თავი. უფრო მეტიც, კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად, ამგვარი შეთანხმება ვრცელდება უფლებამონაცვლებზეც.

ისმის კითხვა: შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ თანასაკუთრებით სარგებლობის ისეთ წესზე, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუდება საკუთრებით სარგებლობა (განუსაზღვრელი ვადით შეთანხმება)?

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა ერთი შეხედვით მარტივია თუკი ვიხელმძღვანელებთ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეები თავად განსაზღვრავენ იმას, თუ რა სახის და რა შინაარსის გარიგება დადონ. თუმცა, ნებისმიერი გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს ბათილია (სკ-ის 54-ე მუხლი).

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპონა საკუთრების უფლება. ამ ნორმის ზემოთ მოყვანილ განმარტებასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ყურადსაღებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულნილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“. აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო

ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ე.ი კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, რომ პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით. ამ მხრივ ყურადსალებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (AFFAIRE SPORRONG ET LÖNNROTH c. SUEDE), რომლის თანახმად, საკუთრების უფლების შეზღუდვებით არ უნდა იქნეს უგულებელყოლი საკუთრების უფლების არსი. ამით საკუთრების უფლება ხდება პირობითი და გაუქმებადი“. (იხ. სუსგ ნეას-439-415-2013, 30 ოქტომბერი, 2013 წ).

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შ. ს-ს და ლ. კ-ს შორის ამ უკანასკნელის მიერ ქონების შეძენისას შედგა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე; ი. ს-ია უძრავი ნივთის შეძენით გახდა ამ შეთანხმებაში შ. ს-ს უფლებამონაცვლე, ვინაიდან შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, უფრო მეტიც, ლ. კ-ი თვლის, რომ სარგებლობის არსებული პირობით შეიძინა სადავო ნივთი, რაც მან ვერ დაადასტურა, სარგებლობის არსებულ წესზე შეთანხმება ბათილია, რადგან იგი აუქმებს საკუთრების სუბსტანციას და უსამართლოდ ზღუდავს მოსარჩელე ი. ს-ს ინტერესებს. შესაბამისად, ადგილი აქვს ლ. კ-ის მხრიდან ი. ს-ს სარგებლობის უფლებაში უსაფუძვლო ხელშესლას, რის გამოც ი. ს-ს სარჩელი საფუძვლიანია სამოქალაქო კოდექსის 172.2 და 955.2 მუხლების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზე არაა საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონისმიერი საფუძვლები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება დაგაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო საგნით სარგებლობის ხელშესლის აღკვეთაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით უნდა დაკმაყოფილდეს ი. ს-ს სარჩელი, ხოლო ლ. კ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ს-იამ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პირველსა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადაიხადა 420 ლარი (120 + 300), ექსპერტიზის ჩატარებისათვის მანვე გადაიხადა 250 ლარი, ხოლო იურიდული მომსახურებისათვის – 500 ლარი. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა ი. ს-ს სარჩელი, ხოლო ლ. კ-ს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ასევე ექსპერტიზის ჩატარებისათვის განეულ ხარჯი სრულად, ხოლო იურიდიული მომსახურების ხარჯიდან, დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით (სსსკ 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი), 160 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა :

- ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ი. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

3. საზიარო საგნით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:

3.1. ი. ს-ს სარჩელი ლ. კ-ის მიმართ ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

3.2. ლ. კ-ს დაევალოს ქ. ქუთაისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის №5-ში მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ ეზოში (ს/№...) გავლებული ბეჭრის ე.წ „ბორდიულისა“ და მასზე დამაგრებული მყარი სასაზღვრო მიჯნის აღება, ასევე აეკრძალოს ი. ს-თვის საზიარო საგნით სარგებლობის უკანონო ხელშეშლა.

4. წილის ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმდებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

5. ლ. კ-ს (პ/№.....) ი. ს-იას (პ/№.....) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასა და იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯის – 830 ლარის ანაზღაურება.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება

განჩინება

№ას-1175-1105-2015

12 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

1. ტყიბულის რაიონის სოფელ მ-აში მდებარე 192.04 კვ.მ შენობის (საკადასტრო კოდი ...) თანამესაკუთრები არიან ე. ტ-ე (შემდეგში: მოსარჩელე, პირველი თანამესაკუთრე, აპელანტი,

კასატორი; 15/100 ნაწილი) და 6. ს-ა (შემდეგში: მოპასუხე, მეორე თანამესაკუთრე მოწინააღმდეგე; 85/100 ნაწილი);

2. პირველმა მესაკუთრემ 2015 წლის 15 იანვარს სარჩელი აღძრა მეორე თანამესაკუთრის წინააღმდეგ და მოითხოვა უძრავი ქონებიდან რეალური წილის გამოყოფა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 961-ე, 963-ე მუხლები).

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი უძრავი ქონებიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

4. სასამართლომ წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ გარემოებასთან ერთად დადგენილად მიიჩნია, რომ საზიარო უფლების გაუქმება და ქონების ნატურით გაყოფა, მისი ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელია. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 961-ე, 963-ე მუხლები და განმარტა, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სადაც ფართი წარმოადგენს მხარეთა საერთო საკუთრებას, მისი ნატურით გაყოფისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საზიარო უფლების მოწესრიგებელი ნორმები.

5. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელი ადგენს ქონების ნატურით გაყოფისათვის ორ წინაპირობას: ნივთი უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად და ნივთი უნდა გაიყოს მისი ღირებულების შემცირების გარეშე. ამდენად, საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია თუ ნივთი (მინის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა) შესაძლებელია გაიყოს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ნაწილად, მათი ღირებულების (საგნობრივი დანიშნულების) შემცირების გარეშე, ამ დროს მხედველობაში მიიღება ცალკეული ნაწილების დანიშნულება საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, მისა მდგომარეობა და განლაგება.

6. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საზიარო უფლება ეხება შენობა-ნაგებობას, სადაც განთავსებულია რესტორანი. შენობის პირველ სართულზე მდებარე დარბაზში 28.806 კვ.მ-ის გამოყოფა მოსარჩელის საკუთრებაში (იმერეთის, რაჭა-ლეჩეუმის, ქვემო სვანეთის და გურიის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის 2014 წლის 30 ივლისის №135 ექსპერტიზის დასკვნის, შემდეგში ექსპერტიზის დასკვნის, შესაბამისად), ამ დარბაზშის გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს და ფაქტობრივად ფუნქციას უკარგავს მას. ამასთან, მოსარჩელისათვის გამოყოფილ ნაწილს არ ექნება სველი ნერტილები, მეორე შესასვლელის მოსაწყობად საჭირო იქნება

სარეკონსტრუქციო სამუშაოები და თავისთავად საგანს აღარ ექნება ის დანიშნულება, რაც ჰქონდა გაყოფამდე.

7. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

8. პირველი თანამესაკუთრის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მცდარია დასკვნა მისი შესახებ, რომ სადავო ქონების რეალური გაყოფა, მისი ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელი იყო. ამასთან, სასამართლო სხდომაზე, ექსპერტიზის დასკვნის ავტორს, არ განუცხადებია, რომ გაყოფის შედეგად, საზიარო ქონებაში იჯარით განთავსებული რესტორანი დაკარგავდა და ფუნქციას.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განჩინებით პირველი თანამესაკუთრის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (იხ. ამ განჩინების 4-6 ქვეპუნქტები) და დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საზიარო ქონებიდან რეალური ნილის გამოყოფა შესაძლებელია, რასაც არ მოჰყება არცერთი მხარის ფინანსური დაზარალება. ამავე დასკვნაზე თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზით, მოსარჩელის კუთვნილი 28.81 კვ.მ გამოყოფილია შენობის პირველ სართულზე, დასკვნა მიმზადებულია პირველი თანამესაკუთრის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, საჯარო რეესტრის ამონაზერისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე. აღნიშნული მტკიცებულების საპირისპიროდ, მოპასუხის მიერ, პირველი ინსტანციის სასამართლოში, წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 23 ოქტომბრის №006038214 დასკვნის (შემდეგში ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა) თანახმად, საზიარო ქონება, ფართების ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების ობიექტს, კერძოდ რესტორანს. ობიექტის (როგორც მინის, ასევე მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის) დაყოფა წილების შესაბამისად ისე, რომ გამოყოფილ ერთგვაროვან ნაწილებს არ შეუმცირდეს საბაზრო ღირებულება და ფუნქციური დანიშნულება, ტექნიკურად შეუძლებელია. დასკვნა მომზადებულია ადგილზე დათვალიერების

შედეგად მიღებული მონაცემების, წარდგენილი მასალებისა და მოქმედი ტექნიკური ნორმების ურთიერთშედარების მეთოდით.

11. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასა-მართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება და სარწმუნო მტკი-ცებულებად მიიჩნია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერ-ტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (იხ. განჩინების მე-10 პუნ-ქტი), რადგან დასკვნა, რომელზეც აპელირებდა მოსარჩელე (იხ. განჩინების მე-6 პუნქტი), დაეყრდნო საჯარო რეესტრის ამო-ნანერსა და საკადასტრო აზომვით ნახაზებს, მაშინ, როცა მო-პასუხის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზა მომზადდა მა-სალებისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად მიღებული მო-ნაცემების გათვალისწინებით, ასევე, დასკვნის გაცემისას, ექ-სპერტმა გაითვალისწინა სადაც მობიექტის ტექნიკური ნორ-მები, შენობის ფუნქციური დანიშნულება დ ა.შ.

12. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც მობიექტის საკადას-ტრო აზომვითი ნახაზის თანახმად, პირველ სართულზე მოსარ-ჩელისათვის 28.8 კვ.მ.-ის გამოყოფის შემთხვევაში, მოპასუხეს დარჩება 21,84 კვ.მ. ანუ დარბაზი, სადაც ეხლა რესტორანი ფუნ-ქციონირებს, რომელიც ერთადერთი დარბაზია ამ შენობაში, მი-სი ფართი შემცირდება 21,84 კვ.მ-მდე და დაკარგავს დარბაზის ფუნქციას, იგი ჩვეულებრივ ე.წ. „კუპედ“ გადაიქცევა და აღარ იქნება შესაძლებელი შედარებით ხალხმრავალი წვეულებების გა-მართვა (გასაჩივრებული განჩინების 4.10 და 4.11 ქვეპუნქტები).

13. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მოცემული დავის გა-დაწყვეტისას, ისიც ნიშანდობლივია, რომ მოსარჩელემ შენო-ბის 15/100 ნილი, 2014 წელს, სწორედ ამ ფაქტობრივი მდგომა-რეობით შეიძინა და მას იმხანად პრეტენზიები არ ჰქონია.

14. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვა-ნელა სსკ-ის 961-ე, 963-ე მუხლებით და დასკვნა, რომ კონ-კრეტულ შემთხვევაში, საზიარო უფლების გაუქმება, ქონების ნატურით გაყოფით, მისი ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელია.

15. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტი-ლება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

16. საკასაციო განაცხადი შემდეგ პრეტენზიებზეა დამყა-რებული:

16.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორ ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნო, უგულველყო კასატორის კერძო საკუთრების უფლება;

16.2. მოპასუხემ სადავო შენობა-ნაგებობიდან, მოსარჩელის კუთვნილი წილი იჯარით გადასცა მოიჯარეს რომელმაც ამ შენობაში რესტორანი მოაწყო. ქონება იჯარით გაიცა მოსარჩელის თანხმობის გარეშე და მას რაიმე ფინანსური კომპენსაცია, კუთვნილი ქონების გამოყენების გამო, არ მიუღია;

16.3. გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ თანამე-საკუთრე-მოსარჩელის ინტერესებს ფაქტიურად დაუპირისპირა მოიჯარის ბიზნეს ინტერესები და დავა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაშინ, როდესაც დავა თანამესა-კუთრეთა ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმებას ეხება და ამასთან კავშირი არ ჰქონდა მოიჯარის ბიზნეს ინტერესებს, ამ უკანასკნელის მიერ შენობაში მოწყობილი რესტორნის ფუნქცი-ონირებას.

16.4. გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერსა და საკადას-ტრო აზომვით ნახაზებს ეფუძნებოდა, ხოლო მოპასუხის ინი-ციატივით წარმოდგენილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ასახავდა ადგილზე დათვალიერების შედეგებსაც და, მხოლოდ ამ ფაქტზე დაყრდნობით, მიანიჭა სასამართლომ უპი-რატესობა მოწინააღმდეგის მტკიცებულებას. პირველი ინსტან-ციის სასამართლოში ექსპერტმა ფიცის ქვეშ, განაცხადა, რომ მან ჩაატარა ადგილზე დათვალიერება.

16.5. მცდარია გასაჩივრებული განჩინების 4.11. პუნქტში ასა-ხული სასამართლოსეული მსჯელობა და დასკვნა (იხ. ამ განჩი-ნების მე-13 პუნქტი), მოპასუხის პოზიციის იმ ნაწილში, რომ რესტორნის დარბაზის გაყოფისას, ირღვევა მისი ფუნქციონა-ლური დანიშნულება; კების დარბაზის ზომა, ამ ობიექტის ტექ-ნილოგიური მოწყობის საკითხია და არა ფუნქციონალური დარ-ღვევა.

16.6. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ქვემდგომ სა-სამართლოში მოპასუხის მხარეზე მოწვეული ექსპერტის გან-მარტება, რომ მოსარჩელის მიერ შეთავაზებული გაყოფისას, რესტორნის ფუნქციონალური დანიშნულება არ ირღვეოდა, ვი-ნაიდან პირველი თანამესაკუთრისათვის გამოყოფილ ფართში არ მდებარეობდა რესტორნის ფუნქციონირებისთვის აუცილე-ბელი სამზარეულო, არც სველი წერტილი, არც შესასვლელი.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატამ 2016 წლის 6 იანვრის განჩინებით საკასაციო სა-ჩივარი წარმოებაში მიიღო, საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის (შემეგში სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, და-

საშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩევის საკასაციო საჩივარი არ აქმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეტეთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ხორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

19. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

20. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-332-309-2010 28.10.2010 წ.; №ას-67-65-2014, 31.07.2014 წ.; №ას-954-904-2015, 11.12.2015).

21. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების

პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასა-ციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედ-ვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცე-სო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქ-მის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დამტყიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-ბები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენ-ზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყო-ფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვა-როვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. საკასა-ციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შე-უძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქ-მება. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექ-სი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას, საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გა-ყიდვის გზით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

24. დასახელებული ნორმა, ორ აუცილებელ პირობაზე უთი-თებს, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგ-ნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნა-წილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორ-მით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარ-გოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაცო ობიექტის გაყოფა, თა-ნამესაკუთრეთა ნილების შესაბამისად, შეუძლებელია ობიექ-ტის ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლის გარეშე, შესა-

ბამისად, გამორიცხულია მისი ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა დირექტულების შეუმცირებლად (იხ. ამ განჩინების 12-14 პუნქტები). „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ თანასაკუთრების გაყოფა მის მიერ მოთხოვნილი წესით შესაძლებელია, მოსარჩევეს ეკისრებოდა. ნატურით გამიჯვნის მოთხოვნისას, სადაცობის შემთხვევაში, სასამართლო, 963-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამონმებს გაყოფის შედეგად მიღებული საგნების ერთგვაროვნებას, რაც გაყოფის შედეგად მიღებული საგნების (მიზის ნაკვეთების) ფუნქციური დანიშნულების და მისი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას, ასევე ინფრასტრუქტურულ მოწყობასაც ითვალისწინებს“ (სუსგ №ას-661-628-20145; 30.09.2015). განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების მიხედვით, ზემოხსენებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, არ არსებობს საზიარო უფლების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რადგან მოსარჩევებმ, მისი წილი ტვირთის მტკიცების ფარგლებში, ვერ შეძლო დამაჯერებული მტკიცებულების ნარმოდგენა, რომ სადაცონ შენობა, მისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, თანამესაკუთრეთა შორის წილების გამოყოფის შემთხვევაში, იმგვარად გაიყოფოდა, რომ თითოეულ მათგანს დარჩებოდა ერთგვაროვანი ნაწილი, მისი ლირებულების შემცირების გარეშე. აღნიშნული დასაბუთებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიებს გადაწყვეტილების უკანონობაზე საჩივარში მითითებული საფუძვლებით (იხ. ამ განჩინების მე-17 პუნქტი), ვინაიდან მას არ წარუდგენია სასამართლოსათვის სარჩმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომლითაც, საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობას დაადასტურებდა.

25. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რაც გამორიცხავს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას.

26. სსსე-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ტ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. ე. ტ-ეს(პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... და ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ზ. 6-ის (პ/ნ ...) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის (საგადასახადო დავალება №..., გადახდის თარიღი 2015 წლის 14 ნოემბერი და საგადასახადო დავალება №..., გადახდის თარიღი 2015 წლის 26 დეკემბერი), 70% – 210 ლარი;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება

განჩინება

№ას-1343-1381-2014

25 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ჯ-ემ სარჩელი აღდრა სასამართლოში ნ. ჯ-ის მიმართ საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:
2. მოსარჩელე ქ. ქობულეთში დ. ა-ის გამზ. №...-ში საკუთრების უფლებით ფლობდა 2088 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის, საერთო ფართით 204.5 კვ.მ.-ის 11/15 ნაწილს, იდეალური წილის სახით. მას სურდა უძრავი ქონებიდან, კერძოდ, მინის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა ნაგებობიდან რეალური წილის გამოყოფა. მ. ჯ-ის განცხადებით, საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივად გამიჯნული იყო, ხოლო მინის ნაკვეთი ნაწილობრივ. ამრიგად, ფართის რეალურად გამოყოფა შესაძლებელი იყო და არ ამცირებდა მოპასუხე ნ. ჯ-ის კუთვნი-

ლი წილის, 4/15 ნაწილის საბაზრო ღირებულებას. აღნიშნული სახით მინის ნაკვეთის გამოყოფა არ უზღდავდა მოწინააღმდეგე მხარეს უფლებას, თავისუფლად ესარგებლა კუთვნილი საცხოვრებელი ფართითა და მინის ნაკვეთით.

3. მ. ჯ-ემ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების რეალურად გამიჯვნამდე მას ხელი ეშლებოდა კუთვნილი წილით (მინის ნაკვეთით) სარგებლობასა და განკარგვაში, ვინაიდან 2088 კვ.მ. მინის ნაკვეთიდან მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 600 კვ.მ. მინის ნაკვეთი უნდა გაესხვისებინა, რის გამოც მოხდა გამოყოფა მთლიანი 2088 კვ. მეტრიდან და საჯარო რეესტრში ცალეკ დარეგისტრირება და, შესაბამისად, თანასაკუთრება 4/15 ნაწილში გადაყვა, მაგრამ შემდგომ თანამესაკუთრებ უარი განაცხადა მოწერა ხელი ხელშეკრულებაზე იმ მოტივით, რომ მან მოითხოვა იმაზე მეტი მინის ნაკვეთი, რომლის მესაკუთრედაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. აქედან გამომდინარე, საკუთარი ქონებით სარგებლობაში ხელი რომ არ შეშლოდა, მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს დავის გადასაწყვეტად.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე არასწორად იყო რეგისტრირებული ქ.ში, ა-ის გამზ. №....ში მდებარე უძრავი ქონების, 2088 კვ.მ. მინის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის 204.5 კვ.მ-ის 11/15 წილის მესაკუთრედ. როგორც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობით დგინდება, მან მიიღო სამკვიდრო მოწმობა ან გარდაცვლილი ს. ჯ-ის სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც იყო მოსარჩელის მამა. მამკვიდრებელი ს. ჯ-ე იყო ნ. ჯ-ის ან გარდაცვლილი მეუღლის, თ. ჯ-ის მამაც. ს. ჯ-მ ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე შვილს თ. ჯ-ეს აჩუქა სახლითმფლობელობის 4/15 ნაწილი.

5. მოპასუხის მტკიცებით თ. ჯ-ეს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა ან გარდაცვლილი ს. ჯ-ან სამკვიდრო ქონება, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ თ. ჯ-ე დაბადებიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ქ.ში ა-ის გამზ. №....ში და ფლობდა უძრავ ქონებას. თ. ჯ-ის გარდაცვალების შემდეგ მისი სამკვიდრო მიიღო ნ. ჯ-ემ.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ მიიჩნია, რომ რეალური წილის გაყოფა უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, რომ სახლმფლობელობის 11/15 წილიდან ნახევარი ეკუთვნიდა თ. ჯ-ეს, რომელსაც ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა სამკვიდრო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ თ. ჯ-ის სამკვიდრო მიიღო ნ. ჯ-ემ. ამდენად რეალური გაყოფისას ნ. ჯ-ის წილში გათვალისწინებული უნდა იქნას მამკვიდრებლის ს.

ჯ-ის სამკვიდრო ქონებიდან ფაქტობრივი ფლობით მიღებული ქონებაც.

7. 6. ჯ-ემ შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა 1995 წლის 5 მაისს მ. ჯ-ის სახელზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობიდან (ან გარდაცვლილი) თ. ჯ-ის საკუთრების და ს. ჯ-ის სამკვიდრო ქონებიდან თ. ჯ-ის სამკვიდრო წილის ამორიცვა, შესაბამისი ცვლილებების შეტანა საჯარო რეესტრის მონაცემებში.

8. მოპასუხებ შეგებებული სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქ. ...-ში ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მ. ჯ-სა და ნ. ჯ-ის საერთო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე და საცხოვრებელ სახლზე საზიარო უფლება რეალური გაყოფით, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 24 ნოემბრის №4194-08-04 ექსპერტის დასკვნისა და აღნიშნულ დასკვნაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს; ნ. ჯ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ჯ-ემ და ნ. ჯ-ემ.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 აპრილის განჩინებით მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. ჯ-ის შეგებებული სარჩელი დარჩა უცვლელი; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქ. ...-ში, ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მ. ჯ-სა და ნ. ჯ-ის საერთო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე და საცხოვრებელ სახლზე საზიარო უფლება რეალური გაყოფით, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექ-

სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 24 ნოემბრის №4194-08-4 ექსპერტიზის დასკვნისა და აღნიშნულ დასკვნაზე თან-დართული ნახაზის შესაბამისად; მ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილ-და ნაწილობრივ; მ. ჯ-სა და ნ. ჯ-ეს ინდივიდუალურად მიეკუთ-ვნათ ქ.ში ა-ის გამზ. №....ში მდებარე უძრავი ქონების (საკა-დასტრო კოდი №...) ის ნაწილი, რომელსაც ისინი ფლობდნენ; ნ. ჯ-ეს მიეკუთვნა ქ.ში ა-ის გამზ. №....ში მდებარე სახლიდან (საკადასტრო კოდი №...) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიო-ნალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 თებერ-ვლის დასკვნის დანართის მიხედვით სახლში არსებული – 8,95 კვ.მ., 8,35 კვ.მ., 25,15 კვ.მ., 16,12 კვ.მ. ფართის ოთახები, მიმ-დებარედ არსებული სველი წერტილი, ოთახებთან დამაკავში-რებელი 4,77 კვ.მ. ფართი და კიბის უჯრედები; ნ. ჯ-ეს მიეკუთ-ვნა ქ.ში ა-ის გამზ. №....ში მდებარე სახლიდან (საკადასტრო კოდი №...) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექ-სპერტიზის დეპარტამენტის 2011 წლის 24 ნოემბრის დასკვნის დანართის შესაბამისად, აღმავალი ხაზით დაშტრიხული მინის ნაკვეთები თეთრი ფონით მონიშნული ნაკვეთის კუთხემდე (კუთხე, რომელსაც ქმნის 5,7 და 13,35 მ. მოხაკვეთები) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარ-ტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის დანართის მი-ხედვით დალმავალი ხაზით დაშტრიხული ნაკვეთი (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15), ოღონდ ზემოხსენებული კუთხიდან (ამ ნახაზის მიხედვით, კუთხე, რომელსაც ქმნის 5,72 და 13,34 მ. მონაკვეთები) დაახლ. 13 მ. სიგრძეზე; მ. ჯ-ეს მიეკუთვნა ქ.-ში ა-ის გამზ. №....ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) ის ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნა ნ. ჯ-ეს.

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მ. ჯ-მ შეიტანა საკადასტრო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საზია-რო უფლების გაუქმება და ქონების გაყოფა ფაქტობრივი მფლო-ბელობისა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების მიხედვით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით და ფარგლებში.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით მ. ჯ-ის საკა-დასტრო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ქუთაი-სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების მე-7 და მე-8 პუნქტები და აღნიშნულ ნაწილებში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე პალატას.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით 6. ჯის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მ. ჯ.-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქ.-ში, ა-ის გამზ. №....-ში მდებარე მ. ჯ.-ისა და ნ. ჯ.-ის საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლება რეალური გაყოფით, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 24 ნოემბრის №4194-08-04 ექსპერტიზის დასკვნისა და აღნიშნულ დასკვნაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად; მ. ჯ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნ. ჯ.-ეს მიეკუთვნა ქ.-ში, ა-ის გამზ. №....-ში მდებარე მიწის ნაკვეთიდან (კოდი №...) სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დასკვნის დანართის შესაბამისად, აღმავალი ხაზით დაშტრიხული მიწის ნაკვეთებზე თეთრი ფონით მონიშნული ნაკვეთის კუთხემდე (კუთხე, რომელსაც ქმნის 5,7 და 13,35 მ. მონაკვეთები) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 24 ნოემბრის დასკვნის დანართის შესაბამისად, აღმავალი ხაზით დაშტრიხული მიწის ნაკვეთი თეთრი ფონით მონიშნული ნაკვეთის კუთხემდე (კუთხე, რომელსაც ქმნის 5,7 და 13,35 მ. მონაკვეთები) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის დანართის მიხედვით დაღმავალი ხაზით დაშტრიხული ნაკვეთი (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15), ოღონდ, ზემოხსენებული კუთხიდან (ამ ნახაზის მიხედვით, კუთხე, რომელსაც ქმნის 5,72 და 13, 34 მ. მონაკვეთები) 13 მ. სიგრძეზე; მ. ჯ.-ეს მიეკუთვნა ქ.-ში, ა-ის გამზ. №....-ში მდებარე მიწის ნაკვეთიდან (კოდი №...) სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის დანართის შესაბამისად, დაღმავალი ხაზით დაშტრიხული ნაკვეთის (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15) იმ ნაწილისა, რომელიც გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით მიეკუთვნა ნ. ჯ.-ეს.

16. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

17. ქ.-ში, ა-ის გამზ. №....-ში მდებარე სახლის გამოყოფილი ნაწილები ეკუთვნით მ. ჯ.-სა და ნ. ჯ.-ეს.

18. საცხოვრებელი სახლის გარდა, მხარეებს სახლის მიმდე-

ბარედ ეკუთვნით 2088 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის ნაწილი მათ მრავალი წელია გამიჯნული აქვთ და ინდივიდუალურად სარგებლობენ.

19. გარდა ამისა, მხარეები ინდივიდუალურად სარგებლობენ სახლის გვერდით და წინ მდებარე მონაკვეთებით, თუმცა ისანი ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის.

20. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 6. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ერთხელ უკვე განიხილა და 2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა იგი.

21. ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაასაჩივრა მ. ჯ-ემ. საქართველოს უზენაში სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის განჩინებით გაუქმდა გადაწყვეტილების მე-7 და მე-8 პუნქტები და, აღნიშნულ ნაწილში, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

22. შესაბამისად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, 6. ჯ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და საცხოვრებელი სახლის გაყოფის ნაწილში, კანონიერ ძალაშია შესული. ამიტომ, ამჯერად სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო მხოლოდ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმება.

23. 2014 წლის 24 ივლისის განჩინებაში საქართველოს უზენაში სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიუთითა გამოეკვლია, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სადაცო მიწის ნაკვეთზე თანასაკუთრების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

24. უზენაში სასამართლომ განმარტა, რომ „განსახილვები ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად, იმისთვის, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი მივიღოთ. განსახილველ დავასთან მიმართებით, როგორც

პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგნებმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც გაყოფამდე ასრულებდა, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის”.

25. სააპელაციო პალატის აზრით, როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური მნიშვნელობით „ერთგვაროვანი“ ნიშნავს ერთნაირს, თანაბარს.

26. ამიტომ, საკასაციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე შხარეებს მიწის ნაკვეთი უნდა მიეკუთვნოთ თანაბრად და, თან ისე, რომ გამოყოფილმა ნაკვეთებმა არ უნდა დაკარგოს თავისი ფუნქცია და მნიშნელობა.

27. პალატამ დაადგინა, რომ სადავო ნაკვეთების საერთო ფართია 2088 კვ.მ. ამის შესაბამისად, თითოეულ მხარეს აქედან ეკუთვნის 2088/2=1044 კვ.მ. ფართი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის შესაბამისად, ამ წესით მიწის ნაკვეთის გაყოფა სავსებით შესაძლებელია.

28. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ აქვე აღნიშნა ისიც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ეს სადავო ნაკვეთიდან 1044 კვ.მ. ფართი არ მიეკუთვნებია. ამ გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა დაახლ. 200 კვ.მ.-ით ნაკლები ფართი და, ამის შესაბამისად, ეს ფართი მეტად მიეკუთვნა მ. ჯ-ეს.

29. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ჯ-ეს არ გაუსაჩივრებია, იგი გაასაჩივრა მხოლოდ მ. ჯ-ემ და საკასაციო სასამართლომაც სწორედ მისი საჩივრი დააკმაყოფილა.

30. ამის გამო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ის გადაწყვეტილების ე.ნ. საუარესოდ შებრუნება დაუშვებელია. ე.ი. მას არ უნდა მიეკუთვნოს იმაზე ნაკლები ფართი, რაც ერთხელ უკვე მიაკუთვნა სასამართლომ და მოწინააღმდეგე შხარე ამას დაეთანხმა.

31. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მიწის ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო ისე, როგორც იგი გაიყო სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით. პალატამ აღნიშნა, რომ მხარეები სადავო ნაკვეთით სწორედ ამგვარად სარგებლობენ უკვე მრავალი წელია. ეს კი ნიშნავს, რომ გაყოფის შედეგად მიწის ნაკვეთს არ წაერთმევა ის დანიშნულება და ფუნქცია, რასაც იგი მესაკუთრისათვის გაყოფამდე ასრულებდა.

32. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახლის გვერდით და წინ მდებარე მონაკვეთები ერთმანეთისაგან გამიჯნუ-

ლი არ არის, თუმცა მხარეები ამ ნაკვეთებით დავის დაწყებამ-დე ინდივიდუალურად სარგებლობდნენ. ამას ამტკიცებს ისიც, რომ მ. ჯ-ე მთლიანად ფლობს სახლის ფასადის მხარეს მდება-რე ოთახებს. სახლის გვერდითა მონაკვეთს იგი უკავშირდება ორი ოთახით (სისიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამარ-თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დას-კვნის დანართის მიხედვით 17,37 და 7,13 კვ.მ. ფართის ოთახე-ბი), თუმცა ოთახებში ამ მონაკვეთთან დამაკავშირებელი ღიო-ბები ამოქმოლილა. 6. ჯ-ეს კი, თავის მხრივ, სახლის ფასადის მხარეს გასასვლელი საერთოდ არა აქვს და დავით აღმაშენებ-ლის გამზირს იგი უკავშირდება მხოლოდ სახლის გვერდით არ-სებული მონაკვეთით.

33. ამის გათვალისწინებით პალატამ დაადგინა, რომ 6. ჯ-ე სარგებლობს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექ-სპერტიზის დეპარტამენტის 2011 წლის 24 ნოემბრის დასკვნის დანართის შესაბამისად, აღმავალი ხაზით დაშტრიხული მიწის ნაკვეთებით თეთრი ფონით მონიშნული ნაკვეთის კუთხემდე (კუთხე, რომელსაც ქმნის 5,7 და 13,35 მ. მონაკვეთები) და სისიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარ-ტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის დანართის მი-წედვით დალმავალი ხაზით დაშტრიხული ნაკვეთით (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15), ოღონდ, ზემოხსენებული კუთხიდან (ამ ნახაზის მიხედვით, კუთხე, რომელსაც ქმნის 5,72 და 13,34 მ. მონაკვეთები) 13 მ. სიგრძეზე. მიწის ნაკვეთის დანარჩენი ნა-ნილით კი სარგებლობს მ. ჯ-ე. ამის გამო, სააპელაციო სასამარ-თლოს აზრით, თითოეულ მხარეს უნდა მიეკუთვნოს ის ქონება, რომელსაც იგი ფლობს.

34. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მ. ჯ-ემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მიოთხოვა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღე-ბით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

35. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითე-ბები და მიიღო იგივე გადაწყვეტილება, რაც უზენაესმა სასა-მართლომ ერთხელ უკვე გააუქმა და საქმე დააბრუნა ქუთაისის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

36. უზენაესი სასამართლოს მითითებით, ქუთაისის სააპე-ლაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ რამდენად იყო შე-

საძლებელი მიწის ნაკვეთზე თანასაკუთრების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

37. კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული ნორმა და უზენაესი სასამართლოს მითითებები.

38. სააპელაციო სასამართლომ საზიარო ქონების გაუქმებისას და გაყოფისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად. კასატორის განმარტებით, აღნიშნული მუხლის გამოყენება მართებული იყო მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გათვალისწინებით: 1) თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად. ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც გაყოფამდე ასრულებდა, ე.ი. არ უნდა წაერთოსა ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისთვის.

39. როგორც სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლშია მითითებული, საკუთრებად ითვლება კანონის ამოქმედებისას სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნის საპირისპიროდ ნ. ჯ-ეს მიაკუთვნა სახლის გვერდით მ. ჯ-ის ოთახების მიმდებარედ მ. ჯ-ის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი, ხოლო მ. ჯ-ეს მიაკუთვნა სახლის უკან ნ. ჯ-ის ეზოსთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც ნ. ჯ-ის სარგებლობაში და მფლობელობაშია.

40. კასატორის აზით, სასამართლო აღნიშნული სამართლებრივი ნორმის გამოყენებით მიწის ნაკვეთის მიკუთვნებისას საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმაციიდან გამომდინარე უნდა მოქცეულიყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მხარეების ნილების ფარგლებში, ანუ მ. ჯ-ეს რეგისტრირებული აქვს საერთო ქონების 11/15 ნაწილი, რაც შეადგენს 1744.9 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, ხოლო ნ. ჯ-ეს სამკვიდრო მოწმობით მიღებული აქვს საცხოვრებელი სახლის და მიწის ნაკვეთის 4/15 ნაწილი, რაც შეადგენს 555.8 კვ.მ.-ს. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ეს მიაკუთვნა მის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულზე მეტი მიწის ნაკვეთი, დაახლოებით

700-800 კვ.მ., ხოლო მ. ჯ-ეს რეგისტრირებულზე ნაკლები – 1500-1600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ისე, რომ მ. ჯ-ის სახელზე რეგისტრირებული ჩანაწერები ნ. ჯ-ის მიერ არასოდეს გამხდარა სადაც, არ გაუქმებულა და დღესაც ძალაშია.

41. ამდენად, კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა როგორც სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, ასევე აღნიშნულ სამართლებრივ ნორმასთან მიმართებაში საქმის ფაქტობრივი გარემოებები (მხარეების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების მდებარეობა). სასამართლომ სიტყვა „ერთგვაროვანი“ აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, არასწორად გაიგო და განმარტა, რომ იგი თანაბარს ნიშნავს და შესაბამისად, მიწის ნაკვეთიც მხარეებს შორის თანაბრად უნდა გაიყოს, მაშინ როდესაც უზენაეს სასამართლო მიუთითებდა, რომ სასამართლომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას უნდა იხელდოვანელოს საჯარო რეესტრის ჩანაწერებით და სწორედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით დაყოს მიწის ნაკვეთები ერთგვაროვან ნაწილებად, მისი ღირებულების შემცირების, ფუნქციის და დანიშნულების დაკარგვის გარეშე.

42. სასამართლოს უნდა ემსჯელა, რეესტრში რეგისტრირებული წილების გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელი იყო მიწის ნაკვეთების ერთგვაროვანი (წილების პროპორციულად) დაყოფა, მისი ღირებულების შემცირების გარეშე ისე, რომ არ შეცვლილიყო მისი ფუნქციური დანიშნულება. მ. ჯ-ის საკუთრება უძრავ ქონებაზე და ნ. ჯ-ის მიერ სამკვიდრო მოწმობით მიღებული უძრავი ქონება წილობრივად ერთმანეთისგან გამიჯნულია, გასაყოფად მხოლოდ წილობრივად მიღებული უძრავი ქონება ნატურის სახით, რაზეც უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები. სასამართლომ აღნიშნული ნორმა მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და აქედან გამომდინარე დაასკვნა, რომ უძრავი ქონება უნდა დაეყო ერთგვაროვან ნაწილებად, წილობრივი მონაცემების გათვალისწინებით, მისი ღირებულების შემცირების გარეშე, რასაც არ ითვალისწინებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნა.

43. ამდენად, კასატორის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რაც იძლევა გადაწყვეტილების უპირობო გაუქმების საფუძველს.

44. კასატორის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილებაში

ბუნდოვნადაა მითითებული სახლის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის მიკუთვნების საკითხი. კერძოდ, 2013 წლის 11 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნაში დაღმავალი ხაზით დაშტრიხული მიწის ნაკვეთი მიეკუთვნა ნ. ჯ-ეს, რაც გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან დაღმავალი ხაზით დაშტრიხულია სახლის ის ნაწილი, რომელიც მ. ჯ-ეს მიეკუთვნა და მის მიმდებარედ, წინ მდებარე მიწის ნაკვეთი, ხოლო რაც შეეხება გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთს, აქაც გაურკვევლობაა, ვინაიდან აღნიშნული ნაკვეთის სიგანე ნ. ჯ-ის კუთვნილ სახლთან არის 2.9 მეტრი, ხოლო შემდგომ მ. ჯ-ის კუთვნილი სახლის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის სიგანე არის 4.8 მეტრი, რაც გამოწვეულია იმით რომ აივანი და კიბე დროებით მონგრეულია და ექსპერტიზის დასკვნით, აქაც დაშტრიხულია მთლიანად მიწის ნაკვეთი. მართალია, მითითებულია, რომ სიგანე შეადგენს 2.9 მეტრს, მაგრამ ვიზუალურად დაშტრიხვა სახლამდეა გაკეთებული, მაშინ როდესაც სახლამდე 4.8 მეტრია.

45. კასატორის მითითებით, მიწის ნაკვეთის მიკუთვნებისას სასამართლოს მიერ გამოყენებულია აგრეთვე 2011 წლის 24 ნოემბრის დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ აღმავალი ხაზებით დაშტრიხული მიწის ნაკვეთი მიეკუთვნა ნ. ჯ-ეს მართალია, აღნიშნული დასკვნაში დაშტრიხული არ არის მ. ჯ-ეს მიკუთვნებული სახლის და მის წინ მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილი, მაგრამ აქაც გაუგებრადაა მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთის მიკუთვნება, რადგან არ არის მითითებული მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის სიგანე 2.9 მეტრი და ვიზუალურად დაშტრიხვა სახლის კედლამდეა, რომლის სიგანე მ. ჯ-ის კუთვნილი სახლის ნაწილიდან 4.8 მეტრია. აღნიშნული 4.8 მეტრიდან 2.9 მეტრი ნ. ჯ-ა მიკუთვნებული, ხოლო დარჩენილ ნაწილზე აივანი და კიბე იყო რომელიც დღეისათვის დანგრეულია.

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული ფორმით რომ შევიდეს ძალაში მისი აღსრულება დამატებითი დავების გარეშე შეუძლებელი იქნება.

47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სა-

მოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

49. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, მ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივრი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

50. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გაუქმება, თუ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება საქმის ზემდგომი წესით განხილვისას შეუძლებელია, თავის მხრივ, ასეთ ვითარებაში, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს დავა, რის გამოც საქმე განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს (სსსკ 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

51. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა თაობაზეც კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარადგინა. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო უურადღებას გაამახვილებს შემდეგ ზე:

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რა მ. ჯ-ის საკასაციო საჩივრი, სააპელაციო პალატას წინამდებარე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა, რათა მას გამოეკვლია რამდენად იყო შესაძლებელი მხარეთა თანასაკუთრების გაუქმება ნაცურით გაყოფით ისე, რომ უძრავი ნივთი გაყოფილიყო ერთგვაროვან ნაწილებად მათი ღირებულების შემცირების გარეშე.

53. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „დაუშვებელია საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ისპობა საკუთრების სუბსტანცია. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველ საკითხს წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 და მე-8 ნაწილები) და საზიარო უფლების გაუქმება, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად შესაძლებელია მიწის ნაკვეთზე თანასაკუთრების გაუქმება ნაცურით გაყოფის გზით საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

54. საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის განმარტებასთან დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე (№ას-332-309-2010 28.10.2010 წ.) და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი მივიღოთ. განსახილველ დავასთან მიმართებით, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც გაყოფამდე ასრულებდა, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის.

55. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მითითებები და 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება დაამყარა იმავე მოტივებს, რაც საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული მსჯელობისას უსაფუძლოდ ჩათვალა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური მნიშვნელობით „ერთგვაროვანი“ ნიშნავს ერთნაირს, თანაბარს. ამიტომ, მოდავე მხარეებს მიწის ნაკვეთი უნდა მიეკუთვნოთ თანაბრად და, თან ისე, რომ გამოყოფილმა ნაკვეთებმა არ უნდა დაკარგოს თავისი ფუნქცია და მნიშვნელობა.

56. სააპელაციო სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნით და მიიჩნია, რომ ამ წესით მიწის ნაკვეთის გაყოფა საესებით შესაძლებელია. შესაბამისად, პალატამ დასკვნა, რომ მიწის ნაკვეთი უნდა გაიყოს ისე, როგორც იგი გაიყო სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით.

57. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს ამ მსჯელობას და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა როგორც სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, ასევე აღნიშნულ სამართლებრივ ნორმასთან მიმართებაში საქმის ფაქტობრივი გარემოებები (მხარეების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთების მდებარეობა). სასამართლომ სიტყვა „ერთგვაროვანი“ აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, არასწორად გაიგო და განმარტა, რომ იგი თანაბარს ნიშნავს და შესაბამისად, მინის ნაკვეთიც მხარეებს შორის თანაბრად უნდა გაიყოს, მაშინ როდესაც უზენაესი სასამართლო მიუთითებდა, რომ სასამართლომ მინის ნაკვეთის გამიჯვნისას უნდა იხელდვანელოს საჯარო რეესტრის ჩანაწერებით და სწორედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით დაყოს მინის ნაკვეთები ერთგვაროვან ნაწილებად, მისი ღირებულების შემცირების, ფუნქციის და დანიშნულების დაკარგვის გარეშე.

58. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მცდარი შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

59. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაც საკითხს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ნ. ჯ-ეს მიეკუთვნა ქ. ქობულეთში, დ. ა-ის გამზირი №...-ში მდებარე მინის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი №...) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2011 წლის 24 ნოემბრის დასკვნის დანართის შესაბამისად, აღმავალი ხაზით დამტრიხული მინის ნაკვეთები თეთრი ფონით მონიშნული ნაკვეთის კუთხემდე (კუთხე, რომელსაც ქმნის 5,7 და 13,35 მ. მონაცევები) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის დანართის მიხედვით დაღმავალი ხაზით დამტრიხული ნაკვეთი (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15), ოლონდ, ზემოხსენებული კუთხიდან (ამ ხახაზის მიხედვით, კუთხე, რომელსაც ქმნის 5,72 და 13,34 მ. მონაცევეთები) დაახლოებით 13 მ სიგრძეზე. ასევე სადაც გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მ. ჯ-ეს მიეკუთვნა ქ. ქობულეთში, დ. ა-ის გამზირი №...-ში მდებარე მინის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი №...) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2011 წლის 24 ნოემბრის

დასკვნის დანართის შესაბამისად, დაღმავალი ხაზით დაშტრიხული მიწის ნაკვეთები, გარდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 ოქტემბრის დასკვნის დანართის შესაბამისად, დაღმავალი ხაზით დაშტრიხული ნაკვეთის (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15) იმ ნაწილისა, რომელიც გადაწყვეტილებით მიეკუთვნა ნ. ჯ-ეს.

60. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი საკითხი ეხება საზიარო საკუთრების გაუქმებას. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. ქობულეთში, დ. ა-ის გამზირი №...-ში მდებარე სახლი ეკუთვნოდა ს. ჯ-ეს; 1989 წლის 15 ივნისს ს. ჯ-ემ სახლის 4/15 ნაწილი აჩუქა შვილს, თ. ჯ-ეს; ს. ჯ-ე გარდაიცვალა 1990 წლის 7 ნოემბრს და მისი სამკვიდრო, სახლის 11/15 ნაწილი მიიღო შვილმა, მ. ჯ-ემ; 2010 წლის 15 ნოემბრს გარდაიცვალა თ. ჯ-ე, ნ. ჯ-ე არის თ. ჯ-ის მეუღლე და მემკვიდრე და თ. ჯ-ის სამკვიდრო მას მიღებული აქვს; საცხოვრებელი სახლის გარდა, მხარეებს ეკუთვნით რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომელიც მათ მრავალი წელია გამიჯნული აქვთ და ინდივიდუალურად სარგებლობენ. გარდა ამისა, მხარეები ინდივიდუალურად სარგებლობენ სახლის გვერდით და წინ მდებარე მონაკვეთებით, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. ამრიგად, მოცემული საქმის დავის საგანია მხარეთა საზიარო უფლების გაუქმება.

61. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან ნ. ჯ-ე სარგებლობს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2011 წლის 24 ნოემბრის დასკვნის დანართის შესაბამისად, აღმავალი ხაზით დაშტრიხული მიწის ნაკვეთებით თეთრი ფონით მონიშნული ნაკვეთის კუთხემდე (კუთხე, რომელსაც ქმნის 5,7 და 13,35 მ. მონაკვეთები) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის 11 თებერვლის დასკვნის დანართის მიხედვით დაღმავალი ხაზით დაშტრიხული ნაკვეთით (ნაკვეთის ზომა: 9,27; 24,7; 15,15), ოღონდ, ზემოხსენებული კუთხიდან (ამ ნახაზის მიხედვით, კუთხე, რომელსაც ქმნის 5,72 და 13,34 მ. მონაკვეთები) 13 მ. სიგრძეზე, მიწის ნაკვეთის დანარჩენი ნაწილით კი სარგებლობს მ. ჯ-ე, ამის გამო, თითოეულ მხარეს უნდა მიეკუთვნოს ის ქონება, რომელსაც იგი ფლობს.

62. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ

საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლებ-რიცი მდგომარეობისაგან განსხვავებით მხარეთა ფაქტობრივი მფლობელობა გავლენას ვერ მოახდენს ამ ქონების საკუთრე-ბის რეზიმზე. დაუშვებელია საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე გავლენა მოახდინოს მხარეთა შო-რის ამ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივა მფლობელობაში.

63. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღ-ნიშნა, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილი კრძალავს თანაზიარი საკუთრების უფლების სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებას, რომლითაც გაუქმე-ბის მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წეს-ბის საწინააღმდეგოდ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხუ-ლია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსადები მიზეზის არსებობისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთ-ხოვნილი. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემ-თხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ მეზობლები 30 წლის ნინ შე-თანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე, ზემოაღნიშნული ნორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონი არ ითვალისწინებდა საცხოვრებელი სახლის მშენებლო-ბისათვის სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მი-ნის ნაკვეთის მფლობელის მიერ სხვა პირის მფლობელობაში სა-მუდამოდ გადაცემას. მიწა არგასახვისებადი იყო, შესაბამისად, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღ-მდეგო გადაცემის ხელშეკრულება იყო ბათილი. მოქმედ სამარ-თლებრივ სივრცეში ნარმოშობილი ურთიერთობების შემთხვე-ვაშიც, კანონი ითვალისწინებს, რომ პატივსადები მიზეზის არ-სებობისას გაუქმებულ იქნეს სამუდამოდ განსაზღვრული თა-ნასაკუთრებაში არსებული ნივთის სარგებლობის შეთანხმება. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია“.

64. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასა-ციო სასამართლო ასკვნის, რომ დაუშვებელია საკუთრების უფ-ლების ისეთი შეზღუდვა, რომლითაც ისპობა საკუთრების სუბ-სტანცია. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვე-ვაში განსახილველ საკითხს ნარმოადგენს გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც გადაწყდა მიწის ნაკ-ვეთის გაყოფა და საზიარო უფლების გაუქმება, საკასაციო პა-ლატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნ-დეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოიკვლი-ოს, თუ რამდენად შესაძლებელია მიწის ნაკვეთზე თანასაკუთ-

რების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით და მხარეთა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილობრივი საკუთრების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან (და არა თანაბარ) ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

65. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატისათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაპრუნების შესახებ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუპრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

66. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განსხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდევრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განახილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. უსაფუძვლო გამდიდრება

განრიცხვა

№ას-536-509-2015

24 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „მ-ის“ დირექტორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის საიჯარო ქირის – 10,000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის – 12,600 ლარის გადახდის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2000 წლის 26 ივნისის ქ. თბილისის პრემიერის №384 განკარგულებისა და 2000 წლის 9 ივნისის ქ. თბილისის მინის მართვისა და განკარგვის კომისიის №14 ოქმის საფუძველზე, შპს „ა. პ-მა“, შემდგომში შპს „მ-მა“ (რომელმაც სახელწოდება შეიცვალა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 14.11.2005წ.-ის ბრძანების საფუძველზე) ქ. თბილისში, გ-ის ქ. №25-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე 10 000 ლარად შეიძინა იჯარის უფლება 15 წლის ვადით. აღნიშნული თანხის გადახდისა და ქ. თბილისის მერიის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტის წარდგენის მიუხედავად, ქ. თბილისის მერიამ მოსარჩელესთან იჯარის ხელშეკრულება არ გააფორმა. მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის პრემიერის №384 განკარგულება დღემდე ძალაშია, თუმცა მოპასუხე არ ასრულებს ნაკისრ ვალებულებას იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებულია დააბრუნოს მოსარჩელის მიერ გადახდილი იჯარის თანხა, ხოლო რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, მოსარჩელემ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავლის თანხის ოდენობა გამოთვლილია საქართველოს საპანკონიური პროცენტიდან, რომლის მინიმალური ოდენობა არის 9%, რაც მთლიანობაში შეადგენს 14 წლის სარგებელს – 12,600 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და საქმეზე წარმოდგენილი შესაგებლით სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ 10,000 ლარის გადახდის ფაქტი და აღნიშნა, რომ სალაროს შემოსავლის ორდერით არ დასტურდებოდა თანხის გადახდის მიზნობრიობა და გადახდის ვადა. მოპასუხის განმარტებით, მხარეთა შორის არ არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად მოპასუხის მიმართ ვალდებულების წარმოშობის რაიმე სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოება სახეზე არ იყო.

ასევე, მოპასუხემ მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე და განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელის მხრიდან 10,000 ლარის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, კერძოდ, მოპასუხემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 129-ე-130-ე მუხლებზე, რომლის თანახმად მოთხოვნის უფლება წარმოიშვა 2000 წლის აგვისტოში, მაშინ როცა ხელშეკრულება უნდა დადებულიყო. მოპასუხემ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევდით, რომ სახეზე იყო უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლები, სასარჩელო მოთხოვნა მაინც ხანდაზმულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა 10 წელს შეადგნდა, მოცემულ შემთხვევაში კი, 10 წელიც გასული იყო.

მოპასუხემ ასევე მიუთითა მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უსაფუძვლობაზე და აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა, როგორიცაა ზიანის არსებობის ფაქტი და მოპასუხის ქმედების არამართლზომიერი შედეგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „მის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე ქ. თბილისის მერიას მოსარჩელე შპს „მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დაგალიანების – 10 000 ლარის და ზიანის – 3990 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის განჩინებით ქ. თბილისის მე

რიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „მ-მა“ შეასრულა 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულებით და 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენილებით განსაზღვრული პირობები, კერძოდ, მოცემულ საქმეზე დადგენილი იქნა, რომ თბილისის პრემიერის 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულებითა და 2000 წლის 9 ივნისის ქ. თბილისის მიწის მართვის და განკარგვის კომისიის №14 ოქმით აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა სს „ა. პ-ი“ (შემდგომში შპს „მ-ი“). მოსარჩელეს 15 წლით იჯარის ვადით გადაეცა №122 მიწის ნაკვეთის ფართობი – 5000 კვ.მ, გლდანის რაონის, მ-ის, ძველი ბაზრის მიმდებარედ ფრინველების ბაზრობის მოსაწყობად. ამავე ოქმით სს „ა. პ-ს“ (შემდგომში შპს „მ-ი“) დაევალა ორი თვის ვადაში ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის კონკურსისა და აუქციონის სპეციალურ ანგარიშზე შეეტანა აუქციონის შედეგებით ნაკისრი თანხა 10 000 ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2007 წლის 27 აგვისტოს მიღებულ იქნა №18.19.621 დადგენილება „რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. მითითებული №18.19.621 დადგენილების მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალაში უნდა დარჩენილიყო თბილისის პრემიერის 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულება.

ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ და რომელთა ნაწილშიც არ გაუქმდებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, უნდა გაფორმდებოდათ სათანადო ხელშეკრულებები 2007 წლის 1 დეკემბრამდე პირობების შესრულების შემთხვევაში.

ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2008 წლის 3 აპრილს მიღებულ იქნა №05.27.212 დადგენილება „რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების, მთლიანად ან ნაწილობრივ ბათოლად ცნობის, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებაში ცვლილე-

ბებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული დადგენილების მიხედვით დადგინდა, რომ რიგი დადგენილებებით და განკარგულებებით (მათ შორის, თბილისის პრემიერის 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულებით) გათვალისწინებულ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ და რომელთა ნაწილშიც არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, გაუფორმდებოდათ სათანადო ხელშეკრულებები ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, 2009 წლის 1 იანვრამდე შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში: ა) წარმოადგინონ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქდაგეგმარებითი დასკვნა; ბ) წარმოადგინონ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები; გ) წარმოადგინონ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ შპს „მ-მა“ არ შეასრულა ზემოთ დასახელებული პირობები, რომლებიც ეხებოდა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენასა და თანხის გადახდას და შპს „მ-ის“ მიერ 10 000 ლარის გადახდის ფაქტის დასადასტურებლად მიუთითა სალაროს შემოსავლის ორდერებზე, რომელთა მიხედვითაც დგინდებოდა, რომ სს „ა. +“-ის მიერ შეტანილია ბეს თანხა აუქციონში მონაწილეობისათვის 1000 ლარის ოდენობით. ასევე, აუქციონის საბოლოო თანხა 9000 ლარის ოდენობით. ორდერების მიხედვით თანხის მიმღებად მითითებულია „მიწის მართვის დეპარტამენტის სუბანგარიში“.

ამდენად დადგენილ იქნა, რომ შპს „მ-მა“ გადაიხადა მოპასუხის მიერ განსაზღვრული თანხა – 10 000 ლარი. ასევე, დადგენილ იქნა, რომ თანხის მიმღები სწორედ ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო იყო. ასევე, ორდერში მითითებული იყო, რომ თანხა განკუთვნილი იყო აუქციონისათვის და მას იხდიდა სწორედ აუქციონში გამარჯვებული მხარე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში როდესაც მოსარჩელე მხარემ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირ-

თის ფარგლებში წარმოადგინა თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, აღნიშნულის საპირისპიროდ, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი ახსნა-განმარტება ვერ გახდებოდა ამ გარემოების გაბათილების საფუძველი.

ასევე, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩევეს მერიაშ ხელშეკრულების გასაფორმებლად მოსთხოვა 2009 წლის 1 იანვრამდე დამატებით შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა: ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქდაგეგმარებითი დასკვნა; ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები; გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი.

საქმეში წარმოდგენილი განცხადებით დადგენილ იქნა, რომ მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში – 2009 წლის 1 იანვრამდე, მოსარჩევე მხარე 2008 წლის 4 დეკემბერს მიმართა ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურს და განუმარტა, რომ წარუდგენს 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენილებით, იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად მოთხოვნილ საჭირო დოკუმენტაციას. ამავე განცხადების შესაბამისად დადგენილ იქნა, რომ მოსარჩევე დანართის სახით უთითებს მის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, საქმეში წარმოდგენილ განცხადებას არ ერთვის დანართი, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით, მან წარადგინა თბილისის მერიაში, თუმცა განცხადება გატარებულია რეგისტრაციაში და მოპასუხებს არ დაუდგენია ხარვეზი არასრულყოფილი დოკუმენტაციის შევსების მოთხოვნით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე მოქმედებდა პრეზუმუცია, რომ მოსარჩევემ წამდვილად წარადგინა განცხადებაში მითითებული დოკუმენტები სრულყოფილა. ამ პრეზუმუციის გამაქარწყლებელი მტკიცება კი, მოპასუხება მხარეს რაიმე სათანადო მტკიცებულების წარდგენით, არ განუხხორციელებია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „მ-სა“ და ქ. თბილისის მერიას შორის იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის სფეციფიკიდან გამომდინა-

რე, საქმე გვაქვს იმგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რა დროსაც ხელშეკრულების წერილობით ფორმას აქვს სავალ-დებულო ხასიათი. შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობის დადასტურება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, რაც არცერთ მხარეს არ წარმოუდგენია. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივად შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით და დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სახელშეკრულებო ურთიერთობა. შესაბამისად, განსახილველი ურთიერთობის მიმართ გამოიყენებოდა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები. შესაბამისად, საქმის განმხილველმა სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. მუხლის მიზნებიდან გამომდინარე კი, კრედიტორად გამოდის პირი, რომელის ხარჯზეც სხვამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიძინა ან დაზოგა ქონება. მოვალე კი, ის პირია, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიძინა ან დაზოგა ქონება და შესაბამისად, უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის წარმოშობის მიზნისათვის შპს „მ-მა“ გადარიცხა თანხები, თუმცა მოგვიანებით, აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობა არ შედგა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. ნორ-

მის დანაწესით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომზე-კრე-დიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეზე დაგენილი ფაქტობრივი გარემოებები და უსაფუძვლო გამდიდრების მოტივით სწორად დაკისრა ქ. თბილისის მერიას მიღებული თანხის 10 000 ლარის შპს „მ-სათვის“ უკან დაბრუნება.

ხოლო რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარზიანს, ამ ნაწილში, სარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მიუღებელი შემოსავლის სახით დაეკისრა 10 000 ლარის წლიური 7%, ჯამში 3990 ლარი. ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით და აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის უმთავრესია არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი რეალიზაციისას დაზარებულს უნდა აუნაზღაურდეს ის სარგებელი, რომელიც მიმღებმა ვერ მიიღო მეურნეობის არასათანადოდ გაძლილის გამო და ამაში მიმღებს მიუძღვის ბრალი. კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში იქნა მიღებული ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ამდენად, ყურადღება იქნა გამახვილებული მიმღების ანუ, უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის შესაძლებლობებზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს გარემოება, როდესაც ქონების მიმღებს მისი ნორმალური სამეურნეო გაძლოლის შემთხვევაში შეეძლო მიეღო სარგებელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით. ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მატარებელია დაზარალებული, რომელმაც უნდა დაადასტუროს მიმღების ბრალი მიღებული ქონების არასათანადოდ გაძლოლისა და ამს შედეგად მოგების მიუღებლობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრალის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მის ბრუნვაუნარიანობასთან და „საშუალო“ მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან ანუ ამ ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს „საშუალო“ მესაკუთრის მიერ მისმა სათა-

ნადო სამეურნეო გაძლილამ მას მოუტანოს სარგებელი. „საშუალო“ მესაკუთრეში ივარაუდება მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია მიიღოს ამ ქონებიდან სარგებელი თავისი პირადი და განსაკუთრებული თვისებების გარეშე. სარგებელი, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ამ ქონების ჩვეულებრივი მოხმარების შედეგად, მაგრამ განსხვავებული შემთხვევა გვაქს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს.

კანონის ნორმა იმპერატიულად მოითხოვს, რომ ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. აღნიშნული იმპერატიულობა დაკავშირებულია ამ (ფულის) ქონების თავისებურებებთან, რაც უნდა განვასხვავოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობების ობიექტებისაგან, კერძოდ, როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ ფულად საშუალებებზე (ფულზე) მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც ნიშნავს იმას, რომ ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკონომიკური, შესაძლებელია, გაცვლილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რომლებიც ატარებენ სასყიდლიან ხასიათს ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ ქონების უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს როგორიცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლილის შედეგად. ზუსტად ამ ქმედების შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რაც უნდა მიღებულიყო ფულადი სახსრებით სათანადო გაძლილის გზით, წარმოადგენს მიყენებულ ზიანს (იხ. სუსგ 20.06.2007წ. საქმის წას-24-379-07).

ამრიგად, განსახილველი ნორმა განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი საერთო მიზნისაგან. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება მი-

უღებელი ქონების ანაზღაურება.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში არსებობდა ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელი იყო სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისათვის და ამ ნაწილშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 3990 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება იყო დასაბუთებული.

შპს „მ-ის“ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მოპასუხის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩევეს მოთხოვნა წარმოშვა 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულების გამოცემიდან 2 თვის ვადაში და ამოენურა ამ დროიდან 3 წელში, უმართებული იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილ იქნა, რომ თბილისის პრემიერის 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულებითა და 2000 წლის 9 ივნისის ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის №14 ოქმით აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩევე და 15 წლით იჯარის ვადით გადაეცა მიწის ფართობი.

ქ. თბილისის მთავრობს 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით და შემდგომ 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენილებით განხორციელდა უკვე გამოცემული განკარგულებების კანონიერების შესწავლის საკითხი და ამ განხილვების შედეგად ძალაში დარჩა 2000 წლის 26 ივნისის ქ. თბილისის პრემიერის №384 განკარგულება. ამასთან, განისაზღვრა, რომ რიგი პირობების დაცვის შემთხვევაში, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ და რომელთა ნაწილშიც არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა გაფორმებოდათ სათანადო ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად ჯერ 2007 წლის 1 დეკემბრამდე, შემდგომ 2009 წლის 1 იანვრამდე.

საქმის მასალებით ასევე დადგინდა, რომ მოსარჩევე მხარე მონაწილეობდა ამ პროცესებში და შესაბამისად დაინტერესებული იყო სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით, კერძოდ, მან გადაიხადა აუქციონისათვის განკუთვნილი თანხები, ასევე მოთხოვნის შესაბამისად წარადგინა დამატებითი დოკუმენტაცია ხელშეკრულების გასაფორმებლად (იხ. ფაქტობრივი გარემოება 4.1). ამდენად, დგინდება, რომ მას ხელშეკრულების გაფორმების მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მო-

სარჩელისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათველა უნდა დაწყებულიყო 2009 წლის 1 იანვრიდან, მოპასუხე მხარის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილი ვადის ამონურვის შემდეგ. მოსარჩელე მხარეს უნდა გასჩენოდა გონივრული, ლოგიკური მოლოდინი მასზე, რომ მოპასუხე მხარე არ აპირებდა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას.

რაც შეეხება აპელანტის განმარტებას, რომ განსახილველ ურთიერთობაზე უნდა გავრცელებულიყო სახელშეკრულებო მოთხოვნის 3-წლიანი ვადა, სააპელაციო სასამართლომ არც ეს არგუმენტი გაიზიარა, რადგანაც ამ შემთხვევაში, გადაცემული თანხის დაბრუნების ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენდა არა ხელშეკრულება, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების წესები. ამდენად, ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა ყოფილიყო ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობებისათვის, რომელიც არ ითვალისწინებენ სპეციალურ ვადას, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო მოპასუხის მიერ ბოლო დადგენილებით განსაზღვრული ვადის ამონურვის შემდგომ – 2009 წლის 1 იანვარიდან. სარჩელი კი, სასამართლოს წარედგინა 2014 წლის 23 ივნისს. ამდენად, იგი არ იყო ხანდაზმული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და მოთხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის საკასაციო პრეტენზია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ გაუმართლებლად არ გაითვალისწინა ქ. თბილისის მერიის მითითება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. კასატორის განმარტებით, სადავო ურთიერთობა შეეხებოდა უძრავ ნივთთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას, შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის დენაც უნდა დაწყებულიყო მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან – 2000 წლიდან და უნდა დამთავრებულიყო 2006 წელს. შპს „მ-მა“ სასამართლოს მიმართა 2014 წელს, მაშინ

როცა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, რამაც მოთხოვნის ხანდაზმულობა გამოიწვია. კასატორის განმარტებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ 2007 წლის 27 აგვისტოს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე-979-ე მუხლები მხარეთა შორის სამართალურთიერთობის დაწყების ფაქტის დასადგენად. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დადებულა და მათ შორის ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით, რასაც კასატორი არ ეთანხმება და განმარტავს, რომ ქ. თბილისის პრემიერის 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულება და ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის №14 ოქმი თავისი არსით არის წინარე ხელშეკრულება, შესაბამისად მხარეთა შორის არსებობდა წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობა.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 3 990 ლარის დაკისრების თაობაზე, რადგან მიუღებელი შემოსავლის ფაქტის არსებობა დაზარალებულმა უნდა დაადასტუროს, რაც საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ მომხდარა. კასატორის განმარტებით, შპს „მ-მა“ ვერ დაადასტურა, რომ მას შეეძლო სარგებლის მიღება, რაც ქ. თბილისის მერიის ბრალეული მოქმედებით ვერ მიიღო. ასევე, დაუსაბუთებელია სასამართლოს შეფასება თბილისის მერიის მიერ სარგებლის მიღებასთან ან მეურნეობის არასწორ გაძლიერასთან დაკავშირებით. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საერთოდ არ უნდა ემსჯელა ზიანის ფაქტზე, რადგან თანხის დაბრუნების ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე იყო წარმოშობილი და არ გამომდინარეობდა დელიქტიდან. კასატორის განმარტებით, კონდიქციურ ვალდებულებაში მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება უსაფუძლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების და არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის ფარგლებში.

კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიუღებელი შემოსავლის ოდენობის ათვლა არასწორად დაიწყო, 2009 წლის 1 იანვრიდან სარჩელის წარდგენის დღემდე – 2014 წლის 23 ივლისამდე. კასატორი მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე-981-ე მუხლების თანახმად ვადის ათვლა სარჩელის წარდგენის დღიდან უნდა დაწყებულიყო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არას-

წორად განმარტა საკითხი როგორც ხანდაზმულობასთან, ასე-ვე უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტთან დაკავშირებით. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერის საფუძველზე, მიიჩნია, რომ შპს „მ-მა“ თანხა გადახადა, რაც არ არის გამართლებული, რადგან აღნიშნული დოკუმენტი თანხის გადახდის დანიშნულების იდენტიფიკაციისა და გადახდის შესრულების თარიღის დადგენის საშუალებას არ იძლევა. კასატორის განმარტებით, სასამართლომ გაუმართლებლად არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადება, შპს „მ-ის“ ბრალეული ქმედების გამო, არ მოხდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 29 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადაცოდაა გამხდარი შპს „მ-ის“ მხრიდან 26.06.2000წ.-ის №384 განკარგულებითა და 03.04.2008წ.-ის №05.27.212 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესრულება, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე იღებს თავის თავზე როგორც ფაქტების გადმოცემის, ისე მათი დამტკიცება-დასაბუთების ტვირთს. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესიდან, რომლის პირველი წანილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა შო-

რის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემობანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე შპს „მ-მა“ 2009 წლის 1 იანვრამდე არ შეასრულა დადგენილი პირობები ეკისრებოდა კასატორს (აპელანტს), რომელმაც სადავო გარემოების დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარმოდგენა ვერ შეძლო, რის გამოც მის მიზართ მართლზომიერად დადგა არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „მ-ს“ უნდა წარმოდგინა: ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქდაგეგმარებითი დასკვნა; ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მინის ნაკვეთის საზღვრები; გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მინის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი.

დადგენილია, რომ შპს „მ-მა“ გადაიხადა 10 000 ლარი, რომლის დასადასტურებლად წარმოადგინა სალაროს შემოსავლის ორდერები. კასატორის პრეტენზია, რომ წარმოდგენილი ორდერებით არ ირკვევა თანხის გადახდის მიზნობრიობა, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, რადგან, წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „მ-მა“ გადაიხადა მოპასუხის მიერ განსაზღვრული თანხა – 10 000 ლარი, ასევე დადგენილ იქნა, რომ თანხის მიმღები სწორედ ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო იყო. ასევე, ორდერში მითითებულია, რომ თანხა განკუთვნილი იყო აუქციონისათვის და მას იხდიდა სწორედ აუქციონში გამარჯვებული მხარე.

რაც შეეხება დოკუმენტაციის წარდგენის ნაწილში ვალდებულების შესრულებას, დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში – 2009 წლის 1 იანვრამდე, მოსარჩელე მხარემ 2008 წლის 4 დეკემბერს მიმართა ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურს და განუმარტა, რომ წარუდგენს 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენილებით, იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად მოთხოვნილ საჭირო დოკუმენტაციას. ამავე განცხადების შესაბამისად დგინდება, რომ მოსარჩელე დანართის სახით უთითებს მის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას. ის გარემოება, რომ განმცხდებელს არასრულყო-

ფილი დოკუმენტაციის წარდგენისათვის არ დაუდგინდა ხარვეზი, წარმოადგენს ვარაუდის საფუძველს, რომ შპს „მ-მა“ ნამდვილად წარადგინა განცხადებაში მითითებული დოკუმენტები სრულყოფილად.

ამასთან, დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება არ გაფორმებულა. შესაბამისად, სადაც ურთიერთობის მოსანერიგებლად, საქმის განმხილველმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმებით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: а) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმის მიზნიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძვლელს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონანილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედების მართლზომიერებას, თუ შართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძვლი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შედავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შედავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის წარმოშობის მიზნისათვის შპს „მ-მა“ გადარიცხა თანხები, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობა არ შედგა. უდავო გარემოებაა, რომ ქ. თბილისის მერიას მიღებული თანხა 10 000 ლარი შპს „მ-ისათვის“ არ დაუბრუნებია. შესაბამისად, საქმე გვაქვს სწორედ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან, რაც წარმოშობს ქ. თბილისის მერიის ვალდებულებას უკან დააბრუნოს მიღებული 10,000 ლარი.

რაც შეეხება კასატორის იმ მოსაზრებას, რომ ქ. თბილისის პრემიერის 2000 წლის 26 ივნისის №384 განკარგულება და ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის №14 ოქმი თავისი არსით არის წინარე ხელშეკრულება, შესაბამისად მხარეთა შორის არსებობდა წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობა, წარმოადგენს ფაქტს, რომელი ფაქტიც კასატორს (მოპასუხეს) უნდა მიეთითებინა შესაგებელში. ვინაიდან საკასაციო სასამართლო შეზღუდულია ახალ ფაქტებსა და მტკიცებულე-

ბებზე მითითებისა და გამოკვლევის პროცესუალური შესაძლებლობით (საპროცესო კოდექსის 407-ე მუხ.), ამიტომ კასატორის მიერ მითითებულ გარემოებას, საკასაციო პალატა ვერც გამოიკვლევს და ვერც ამ გარემოებაზე მსჯელობის არარასებობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევად ვერ შეაფასებს (ამ ნაწილში, შედავების არარსებობის გამო).

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისა და ამ ვადის დენის დასაწყისთან დაკავშირებით და პირველ რიგში განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე უნდა გავრცელდეს სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაქმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც მოთხოვნის წარდგენის 10-წლიან ვადას ითვალისწინებს, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ვადის დენის დასაწყისს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის წარმოშობის დროდ სწორად იქნა მიჩნეული 2009 წლის 1 იანვარი, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ეს წინამდებარე საქმის მასალებითა დადგენილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით და შემდგომ 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენილებით ძალაში დარჩა 2000 წლის 26 ივნისის ქ. თბილისის პრემიერის №384 განკარგულება. ამასთან, განისაზღვრა, რომ რიგი პირობების დაცვის შემთხვევაში, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ და რომელთა ნაწილშიც არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა გაფორმებოდათ სათანადო ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად ჯერ 2007 წლის 1 დეკემბრამდე, შემდგომ 2009 წლის 1 იანვარამდე.

კასატორის შემდგომი პრეტენზია მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არარსებობას შეეხება და იმ პოზიციას ემყარება, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს ზიანის დაკისრებისათვის აუცილებელი კომპონენტების, მათ შორის, ბრალის, მართლწინააღმდეგობის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, ზიანის მიყენების გამოსაცემად ჯერ 2007 წლის 1 დეკემბრამდე, შემდგომ 2009 წლის 1 იანვარამდე.

ბის ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, როცა საქმე ეხება ფულად ვალ-დებულებას. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფუ-ლის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, სყიდვაუნარია-ნობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში, ანიჭებს ფულს სარ-გებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის წარმოადგენს შე-მოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვა-რად, ფულადი ვალდებულებს არაჯეროვანი შესრულება კრე-დიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებუ-ლების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავე-ბით, განსაკუთრებული მტკიცება არც ზიანის მი-ყენების ფაქტის და არც მისი ოდენობის დადგენას.

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემ-თხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწი-ნებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის და-ნაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩა-მოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-ტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართვე-ლოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისა-გან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშ-ვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსე-ბითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებუ-ლია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების უც-ვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპრო-ცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქ-მედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩი-ვარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტა-ბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინე-ბა არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მა-

ნამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სა-
სამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ
არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი
სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-
საზრისითაც, ვინაიდან არსებობს საქართველოს უზენაესი სა-
სამართლოს პრაქტიკა, რომელიც შეეხება კონდიქციურ ვალ-
დებულებას; ასევე, მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებუ-
ლი ზიანის ანაზღაურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამარ-
თლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი,
რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვა-
ზე.

კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახ-
დისაგან სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-
5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშ-
ვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

განხილვა

№ას-1051-991-2015

29 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ლ. ბ-მა (შემდეგში მოსარჩელე), ბანკის მეშვეობით, ს. ბ-ს (შემდეგში მოპასუხე ან კასატორი), 3900 ევრო გადაურიცხა, აღნიშნული თანხა, მოპასუხემ მიიღო.

2. მოსარჩელემ 2014 წლის 4 ივნისს სარჩელი აღძრა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ და და მო-
ითხოვა მისთვის 9282 ლარის დაკისრება.

3. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყო-
ფილდა, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 3900 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა.

4. სასამართლომ დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინე-
ბის პირველ პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება და
გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყე-
ნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 316-ე, 317-ე, 976-ე, 991-ე მუხლები.

5. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემ-
თხვევაში, მოპასუხემ, მისი ზეპირი განმარტების გარდა, ვერ
ნარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა
მხარეთა შეთანხმებას, რომ მოსარჩელის მიერ გადარიცხული
თანხა წარმოადგენდა ე.წ. „ლატარიის“ (ყოფით ურთიერთობებ-
ში, ურთიერთდსაბმარების მიზნით, პირთა მიერ თანხის შეგ-
როვება და მისი გაცემა „ლატარიის მოთამაშე (მონანილე) პი-
რებზე, მათივე შეთანხმებით, რიგითობით) შედეგს და ის არ უნდა
დაბრუნებულიყო. ამასთან, მხარეებმა ვერც ის გარემოება და-
ადასტურეს, რომ სადაც თანხა სესხის ხელშექრულებიდან გა-
მომდინარეობდა. თავის მხრივ, მოპასუხე მხარე არ უარყოფდა
მოსარჩელისაგან აღნიშნული თანხის ჩარიცხვისა და მიღების

ფაქტს.

6. სასამართლომ არ გაიზიარა მოწმის ჩვენება აღნიშნული თანხის წარმომავლობასთან დაკავშირებით, რადგან იგი იყო მოპასუხის ოჯახის წევრი და ვერ გამოირიცხებოდა მისი დაინტერესება განსახილველი დავის შედეგისადმი.

7. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხებ მოსარჩელისაგან უსაფუძლოდ მიიღო 3900 ევრო. ამასთან, მოპასუხებ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ მას გადასახდელი ჰქონდა მოსარჩელისათვის არა 3900 ევრო, არამედ 1125 ევრო.

8. სასამართლომ მიიჩნია, მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხებ ჰქონდა მისი ვალი და ითხოვდა ამ თანხის დაბრუნებას, საკმარისი იყო იმისათვის, რომ სასამართლოს, საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად, განესაზღვრა და სამართლებრივად შეეფასებინა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ თანხის დაკისრების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარებდა უსაფუძლო გამდიდრებიდან.

9. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელებ მოპასუხებს ჩაურიცხა 3900 ევრო, შესაბამისად, მოსარჩელეს სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის „საფუძველზე, სრული უფლება ჰქონდა მოეთხოვა ვითომ კრედიტორისაგან – მოპასუხისაგან მისთვის გადარიცხული თანხის (3900 ევრო) დაბრუნება.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაემაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე – 2014 წლის 26 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ჩაება რ. ბ-ი (შემდეგში მოპასუხის მეუღლე).

11. სააპელაციო საჩივარი დამყარებული იყო იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული პიროვნება არასათანადო მოსარჩელე იყო, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიერ მოპასუხისათვის გადმოგზავნილი თანხა, ეკუთვნოდა არა მოსარჩელეს არამედ, მოპასუხის მეუღლეს. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე არის პირი, რომელიც ე.ნ. „ლატარიის“ ხელშეკრულების ურთიერთობებიდან გამომდინარე, თანხებს აგროვებდა და რიგითობით უგზავნიდა ამ ურთიერთობაში ჩაბმულ პირებს, შესაბამისად, მიჩნდა, რომ იგი არასათანადო მოსარჩელე იყო და, მის სასარგებლოდ, სასამართლომ უკანონოდ დააკისრა მოპასუხებ თანხის გადახდა. სასა-

მართლომ არასწორად არ გაიზიარა ასევე მოწმის ჩვენება (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი).

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით მოპასუხის სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გა-საჩივრებული გადაწყვეტილება.

13. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხის პო-ზიცია მოსარჩელის არასათანადობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოპასუხის აღნიშნული პოზიცია წინამდებარე- განჩინების მე-11 პუნქტში მითითებულ ფაქტობრივ გარემოე- ბას ემყარებოდა.

14. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მეუღლეს, რო- მელიც ჩაბეჭული იქნა საქმის განხილვაში მესამე პირად, დამო- უკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ჰქონდა საპროცესო შესაძლებ- ლობა, წარედგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სადავო თანხა წარმოადგენდა მის კუთვნილებას. მიუხედავად ამისა, ვერც მოპასუხებ და ვერც მისმა მეუღლებ სასამართლოს ვერ წარუდგინეს მტკიცებულებები თანხის კუთვნილებასთან და- კავშირებით. მოსარჩელემ მოპასუხებ დაასახელა პირი, რომელ- მაც უშუალოდ მიიღო მოსარჩელის მიერ, ბანკის მეშვეობით, გადარიცხული თანხა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე იყო ის პირი, ვისაც უნდა ემტკიცებინა თანხის მიღე- ბის სამართლებრივი საფუძველი, რადგან სხვა გარემოებები, მაგალითად, სესხის ხელშეკრულების არსებობა მოსარჩელესა და მოპასუხის მეუღლეს შორის, ან ამ უკანასკნელისათვის თან- ხის კუთვნილება, არ იყო დადასტურებული საქმის მასალებით.

15. მოწმის ჩვენების გაუზიარებლობის შესახებ, მოპასუხის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც მითითებულია ამ განჩინების მე-6 პუნქტში, სასამართლომ განმარტა, რომ კონ- კრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცე- სო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 105-ე მუხლის დანაწესიდან გა- მომდინარე, მოწმის ჩვენება ვერ ჩაითვლებოდა იმ შესაბამის და უტყუარ მტკიცებულებად, რომელიც სადავო ფაქტობრივი გარემოების (თანხის კუთვნილების) დადგენილად მიჩნევის სა- ფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. სასამართლოს შესაძლე- ბელია, გაეზიარებინა მოწმის ჩვენება მხოლოდ წერილობით მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რაც განსახილველ შემ- თხვევაში, მოპასუხეს არ წარმოუდგენია, მით უფრო, იმ პირო- ბებში, რომ მოწმე იყო მოპასუხისა და მესამე პირის ოჯახის წევ- რი, შესაბამისად, საქმის შედეგით დაინტერესებული და არა ნე- იტრალური პირი.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი მოცემულობა: 1) მოპასუხის მიერ აღიარებული იყო მოსარჩელისაგან სადავო თანხის მიღების ფაქტობრივი გარემოება, 2) მოპასუხებ სსკ-ის მე-4, 102-ე მუხლის შესაბამისად, თავისი მტკიცების ფარგლებში, ვერ დაადასტურა თანხის კუთვნილების ფაქტი და 3) არ დგინდებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან 3900 ევროს მიღების ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძველი.

17. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, საპატელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ – სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება.

18. სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც, აღნიშნული შენაძენი ექვემდებარებოდა უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილი იყო დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყო არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღება და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი: მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომლის გადაადგილების იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარებოდა უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

19. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხებ მოსარჩელისაგან, შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიიღო 3900 ევრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი ექცეოდა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში და მიღებული შესრულება ექვემდებარებოდა დაბრუნებას.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ უსაფუძლოდ ჩათვალა სააპელაციო საჩივრის პრეტენზია და მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა.

21. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა სსსკ-ის 90-ე, 91-ე, 85-ე, 105-ე, მე-4, 102-ე მუხლი; სსკ-ის 317-ე მუხლით, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

22. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაცმაყოფილებაზე უარის თქმა.

23. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგზე:

23.1. სასამართლო უდავო ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითებს, გარემოებაზე, რომ ბანკის მეშვეობით, მოსარჩელემ მოპასუხეს 3900 ევრო გადაურიცხა, ხოლო ამ უკანსკენელმა მიიღო ეს თანხა, მტკიცებულებად კი მოჰყავს მხარეთა ახსნა-განმარტება და 2014 წლის 15 მარტის გამოკითხვის ოქმი. მითითებული ოქმი არ არის საქმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ დადგინდეს, ნამდვილად მოსარჩელემ გადაურიცხა თუ არა 3900 ევრო მოპასუხეს, საქმეში წარმოდგენილი უნდა იყოს საბანკო გადარიცხვის ქვითრის დედანი. სასამართლოებმა არასწორად მიანიჭეს მტკიცებულების მნიშვნელობა ზემოხსენებულ გამოკითხვის ოქმსა და მხარეთა ახსნა-განმარტებას, მხოლოდ კასატორის საზიანოდ გამოიყენეს და ობიექტურად არ შეაფასეს, რითაც აშკარად იკვეთება სასამართლოს ტენდენციურობა.

23.2. კასატორს მოსარჩელისაგან არც თანხა უსესხებია და არც ე.წ. „ლატარიის“ მონაწილე ყოფილა, შესაბამისად, მოცემულ დავაში, იგი კი არა, მისი მეუღლე უნდა ყოფილიყო მოპასუხე, ამაზე მოსარჩელეც უთითებდა სარჩელში. ამის შესახებ შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, არც მესამე პირად ჩართო მოპასუხის მეუღლე იმ სტატუსით, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლება ჰქონოდა, ან მორიგება შემდგარიყო, მოსარჩელესა და მოპასუხის მეუღლეს შორის, ე.წ. „ლატარიის თამაშიდან“ წარმოშობილი ორი თვეს დავალიანების, 1125 ევროს გამო.

23.3. კასატორისათვის გაუგებარია, რატომ უნდა გადაერიცხა მისთვის მოსარჩელეს 3900 ევრო, როდესაც არ უთხოვია და არც იცნობდა მოსარჩელეს. აღნიშნული თანხა არის მოპასუხის მეუღლის, რომელიც სხვა ქართველებთან ერთად, საბერძნეთში ე.წ. „ლატარიაში“ მონაწილეობდა, ხოლო თანხას მოსარჩელე აგროვებდა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოპასუხის მეუღლეს სასამართლო უწყება, მესამე პირის სახით, 2015 წლის 1 ივნისის მთავარ სხდომაში მონაწილეობისათვის 26.06.2015 წელს გაეგზავნა, თუმცა, სხდომა ამ დროისათვის დამთავრე-

ბული აღმოჩნდა, რაც, საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი იყო.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ს. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აქმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდევ გარემოებათა გამო:

25. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

27. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავდების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

28. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზ

რისით.

29. საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციონ საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეზუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულია საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

30. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით აღნიშნავს:

30.1. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. სსსკ-ის მე-3 მუხლით, დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით, დადგენილია, შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. მოდავე მხარეებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდება სარჩელში და შესაგებელში მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები გულისხმობს მხარეების ვალდებულებას, წარმოადგინონ სარჩელში და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც სასამართლოს შეუქმნიან საქუთარი პოზიციის სარწმუნო სამართლებრივ საფუძველსა და შენაგან რწმენას.

30.2. საკასაციო სასამართლო უთითებს სსსკ-ის 102-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადაც სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქო-

ნე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მტკიცებულებების სადაცო ურთიერთობის, ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა ენინააღმდეგება სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს.

30.3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინებით უტყუარადაა დადგენილი მოსარჩელის მიერ კასატორისათვის 3900 ევროს გადარიცხვის ფაქტი, რასაც არც მოპასუხე მხარე უარყოფდა, სადაცო მხოლოდ ამ თანხის მესაკუთრის ვინაობა არის, მოპასუხის მტკიცებით, თანხა მისი მეუღლის საკუთრებაა, ამასთან, კასატორი აღნიშნავდა, რომ 3900 ევროს ნაცვლად, 1125 ევრო ჰქონდა მოსარჩელისათვის გადასახდელი (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი).

30.4. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის განხილვაში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ჩაბმული მოპასუხის მეუღლეს ჰქონდა საპროცესო შესაძლებლობა, წარედგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სადაცო თანხა წარმოადგენდა მის კუთვნილებას. მიუხედავად ამისა, ვერც მოპასუხემ და ვერც მისმა მეუღლემ სასამართლოს ვერ წარუდგინეს მტკიცებულებები თანხის კუთვნილებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ განჩინების 14-20 პუნქტები).

30.5. სსსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად, ან განხორციელდა იგი, მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშ-

ვწელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაქმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რამე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას), შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც, ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

30.6. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, მოსარჩელის მიერ კასასტორისათვის, შესაბამისი ვალდებულების არსებობის გარეშე, 3900 ევროს, ბანკის მეშვეობით გადარიცხვა, რის შედეგადაც კასასტორის ქონება მითითებული თანხით გაიზარდა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააკელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ განჩინების მე-17, მე-18 პუნქტები).

30.7. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების, ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უზრუნველყოფილი უნდა უნდა იქნეს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. ამდენად, სსკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

30.8. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასასტორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მეუღლეს სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება წაერთვა, ვინაიდან 2015 წლის 24 ივნისის სხდომაზე, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იყო მოწვეული მოპასუხის მეუღლე, რომელიც არ გამოცხადდა (იხ. საპელაციო სასამართლოს 24.06.2015 წლის სხდომაზე მესამე პირის მოწვევის დასტური და ამავე სხდომის ოქმი). 24 ივნისის სხდომა, მხოლოდ გადაწყვეტილების გამოცხადების მიზნით, გადაიდო იმავე წლის 1 ივლისს, რომელზეც სხვა საპროცესო მოქმედება არ ხორციელდებოდა, შე-

საბამისად, საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია საპროცესო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვეს საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

32. სსსკ-ის 401.4 მუხლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მ. პის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 463 ლარის 70% – 324.1 (სამას ოცდაოთხი ლარი და ათი თეთრი) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ბ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. ს. ბ-ს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბაზნის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მ. პ-ის (პ/ნ ...) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 463 ლარის (საკრედიტო საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 2015 წლის 2 სექტემბერი), 70% – 324.1 (სამას ოცდაოთხი ლარი და ათი თეთრი) ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

განხილვა

№ას-135-131-2015

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ.ბაქაქური,
ბ.ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღნერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები:

1. შპს „ფ-მა“ (შემდგომში „მოსარჩელე“/ „მონიცააღმდეგი მხარე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „მოპასუხე“/ „კასატორი“) მიმართ, მესამე პირი – ო-ე (შემდგომში „მესამე პირი“) რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის და-ვალიანების ძირითადი თანხის – 2, 800,000 ლარის და მიუღებელი შემოსავლის – 1,036,000 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2009 წლის 06 აპრილს, საქართველოში დაფუძნდა შპს „ჯ-ტი“, რომლის 100%-იანი ნილის მფლობელ, დამფუძნებელ პარტნიორსა და დირექტორს წარმოადგენს ი. ე-ა (წარმომავლობით ქართველი, ისრაელის მოქალაქე).

2010 წლის 29 სექტემბრიდან შპს „ჯ-ტის“ საფირმო სახელ-წოდებაა შპს „ფ-ი“.

კომპანიის დირექტორი აქტიურად ახორციელებს ბიზნეს ინ-ვესტიციების მოზიდვასა და ქართულ ეკონომიკაში მის დაბანდებას. იგი წლების განმავლობაში მიიჩნევა ერთ-ერთ მსხვილ გადასახადის გადამხდელად. ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, იგი აქტიურად ჩაერთო ბიზნეს პროექტების განხორციელებასა და დაფინანსებაში. 2009 წლის 8 მაისს, შპს „ჯ-ტის“ სს „ს.ს.ბ.-ში“ არსებული მიმდინარე ანგარიშიდან, რომელზეც ირიცხებოდა 14,130, 000 ლარი, სპეციალურ აუქციონში გამარჯვებული – ო-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა – 2,800,000 ლარი.

3. საჯარო აუქციონის გამოცხადებაზე უფლებამოსილ – სა-

ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რაიმე სახის აუქციონი არ გაუმართავს, არც მესამე პირს მიულია და გაუმარჯვია მასში. შესაბამისად, არ მოუპოვებია მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და არც ეს უფლება დარეგისტრირებულა საჯარო რეესტრში მის სახელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, ფლობს მოსარჩელის კუთვნილ – 2,800,000 ლარს.

4. ამასთან, მოსარჩელემ ვერ მიიღო ის ფინანსური შემოსავალი, რასაც იგი მიიღებდა გადარიცხული თანხის საბანკო ანგარიშზე განთავსების შემთხვევაში, რომელიც სს „ს-ის“ ვადიან ანაბარზე განთავსების გზით, მას მოუტანდა მოგებას (წლიური საპროცენტო განაკვეთით – 9.25%, 4 წლის განმავლობაში მიიღებდა სულ მცირე – 1,036,000 ლარის ოდენობის სარგებელს).

II. მოპასუხის პოზიცია

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

6. მოპასუხის განმარტებით, 2009 წლის 23 აპრილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიულ ორგანოს სპეციალური აუქციონის მომწყობ კომისიას განცხადებით მომართა მესამე პირმა, რომლითაც მოითხოვა 2009 წლის 24 აპრილს გამართულ სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღება. ამ აუქციონზე პრივატიზების მიზნით გამოტანილი იყო მინის ნაკვეთი.

7. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის პრივატიზების შესახებ“ (პრივატიზების პერიოდში მოქმედი რედაქცია) საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, „სპეციალური აუქციონში მონაწილეთა მიერ ქონების შესასყიდი ფასის შეთავაზება ხდებოდა ერთჯერადად, წერილობითი სახით. სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება პირნდათ კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბის, ქალაქის) ან დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში საკომლო ნიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მოწმობის საფუძველზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს“.

8. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის 151-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მესამე პირმა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად „ბეს“ სახით გადაიხადა მინის ნაკვეთის საწყისი ფასი – 101.40 ლარის 30% – 31.00 ლარი.

9. 2009 წლის 24 აპრილს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიული ორგანოს კომისიის მიერ მოწყობილ სპეციალურ აუქციონზე მესამე პირის მიერ ერთჯერადად შეთავაზებული ფასი გახდათ – 5,600,000 ლარი, რის საფუძველზე, იგი გამოვლინდა გამარჯვებულად და კომისიამ გამოსცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №5. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სპეციალურ და ღია აუქციონებში გამარჯვებული პირი გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიღებიდან ერთ თვის ვადაში იხდის მინის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე, 20%-ს და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულ პირს ვადახდილი „ბე“ ეთვლება მინის ნაკვეთის საფასურში.

10. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, შესაძლებელია მინისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, ხოლო საფასურის ნაწილ-წაწილ გადახდის შემთხვევაში – მინისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება საჯარო რეესტრში საკუთრებისა და იპოთეკის უფლებების რეგისტრაციისათვის.

საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება (საქართველოს სახალხო ბანკის ამონანტერი ანგარიშიდან), რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის საფუძველი იყო სპეციალურ აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირის ო. ა-ის მინის ნაკვეთის ლირებულების საფასურის – 50%-ის ვადახდა.

11. მესამე პირის ვადახდით, საქმეზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე მისი ხელმონერაა, მან ნამდვილად მიიღო მონაწილეობა 2009 წლის 23 აპრილს გამართულ აუქციონში მცხეთის გამგებლის დავალების საფუძველზე. მისივე მითითებით, განისაზღვრა მინის ფასიც, რაც უნდა შეთავაზებულიყო სპეციალურ აუქციონში გასამარჯველად. შემდგომ, გამდართა აუქციონი და იგი გამოცხადდა გამარჯვებულად. იგი არ იცნობს მოსარჩელე კოპანიას და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მო- თითება

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარ-
ჩელი არ დაკმაყოფილდა.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

13. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა
მოსარჩელებ რომელმაც მოითხოვა, თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქ-
ტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყო-
ფილება.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2015 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით საა-
პელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქ-
ტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად სარჩელი ნა-
წილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის
სასარგებლოდ, 3,360,000 ლარი.

15. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ჯ-
ტი“, რომლის საფირმო სახელწოდებას 2010 წლის 29 სექტემ-
ბრიდან წარმოადგენს შპს „ფ-ი“, საქართველოში დაფუძნდა
2009 წლის 6 აპრილს და მის 100%-იან დამფუძნებელსა და დი-
რექტორს წარმოადგენს ი. ე-ა.

16. 2009 წლის 23 აპრილს, საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების
აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის ტერიტორი-
ულ ორგანოს სპეციალური აუქციონის მომწყობ კომისიას გან-
ცხადებით მიმართა ფიზიკურმა პირმა ო. ა-ემ (შემდგომში „მე-
სამე პირ“) და მოითხოვა 2009 წლის 24 აპრილის სპეციალურ
აუქციონში მონაწილეობის მიღება, რომელზედაც შემდგომი
პრივატიზების მიზნით გამოტანილი იყო მცხეთის რაიონში, სო-
ფელ წილენის ტერიტორიაზე მდებარე, 13000 კვ.მ. მინის ნაკ-
ვეთი. ო. ა-ემ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად „ბეს“ სახით
გადაიხადა მინის ნაკვეთის საწყისი ფასის – 101.40 ლარის 30%-
ი 31.00 ლარი.

2009 წლის 24 აპრილს აუქციონზე მესამე პირი მიერ ერთჯე-
რადად შეთავაზებულ იქნა ფასი – 5,600,000 ლარი.

17. 2009 წლის 24 აპრილს სპეციალური აუქციონის მომწყობ-
მა კომისიამ გამარჯვებული მესამე პირის მიმართ გამოსცა აუქ-

ციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №5.

18. 2009 წლის 8 მაისს, შპს „ჯ-ტის“ ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა – 2,800,000 ლარი, საფუძველი – სპეციალურ აუქციონში ოქმი №5, გამარჯვებული მესამე პირის მინის ნაკვეთის ღირებულება.

19. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ ორგანიზებული აუქციონის გზით მესამე პირის საკუთრების უფლება მინის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

20. დადგენილია, რომ პრივატიზების მიზნით გამოტანილი მინის ნაკვეთის (აუქციონში გამარჯვების შედეგად დადგენილი) შესასყიდი საფასურიდან 5,600,000 ლარიდან გადახდილია მხოლოდ – 2,800,000 ლარი. უდავოა, რომ მესამე პირს მინის ნაკვეთის ღირებულების დანარჩენი ნაწილი – 2,800,000 ლარი არ გადაუხდია.

21. საქმეში არსებული მტკიცებულებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში „სსკ-ის“) 105-ე მუხლით დაგენილი წესით შეფასების შედეგად, სადაო თანხის გადარიცხვისას აპელანტის ნებაზე ზემოქმედების ფაქტი არ დადასტურდა.

22. უდავოდ დადგენილია, რომ სპეციალურ აუქციონზე გამარჯვებულ მესამე პირს უნდა გადაეხადა მინის ნაკვეთის საფასური – 5 600 000 ლარი. ასევე, უდავოდ დგინდება, რომ ამ თანხიდან გადახდილი იქნა მხოლოდ 2 800 000 ლარი მოსარჩელის მიერ, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადახდილი არ არის. ასევე უდავოა, რომ აუქციონზე გამოტანილი მინის ნაკვეთი სარეგისტრაციო ნომრით – 72.02.29.096 დღეის მდგომარეობით ისევ რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე და მასზე მესამე პირს საკუთრების უფლება არ წარმოშობა. შესაბამისად, გარიგება, რომლის დადების მიზნითაც მოსარჩელის მიერ გადარიცხული იქნა თანხა, არ შედგა.

23. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, სპეციალურ და ლია აუქციონებში გამარჯვებული პირი გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიღებიდან ერთ თვის ვადაში იხდის მინის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე 20%-ს და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება მინის ნაკვეთის საფასურში. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ შესაძლებელია მინისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, ხოლო საფასურის წანილ-წანილ გადახდის შემთხვევაში – მინისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება საჯარო რეესტრში საკუთრებისა და იპოთეკის უფლებების რეგისტრაციისათვის. თუ გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, აუქციონის შედეგები ბათილად ცხადდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება.

24. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ-ის) 976-ე მუხლის პირველი წანილის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაპრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

25. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიმუშავების მინის პირვატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: თუ გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, აუქციონის შედეგები ბათილად ცხადდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება. ე.ი. გამარჯვებული პირის მიერ თანხის ვადაში გადაუხდელობას კანონმდებელი უკავშირებს შემდეგ შედეგებს – აუქციონის შედეგები ბათილად ცხადდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება.

26. ის, რომ შპს „ფ-ის“ მიერ სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხული 2 800 000 ლარი არ წარმოადგენს „ბეს“ სადაო არ არის. მინის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრა – 101.40 ლარით და მესამე პირმა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად „ბეს“ სახით გადაიხადა ამ თანხის 30% – 31.00 ლარის ოდენობით, რაც არ ექვემდებარება დაპრუნებას.

27. რაც შეეხება ზემოაღნიმული ნორმით განსაზღვრულ მეორე შედეგს – აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადებასთან დაკავშირებით, პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 976-ე მუხ-

ლის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მესამე პირზე არ გაიცა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი, რის გამოც, გარიგება, რომლის დადების მიზნითაც მოსარჩელებმ გადარიცხა თანხა, არ შედგა. ის რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე, პალატის მოსაზრებით არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. 2009 წლის 24 აპრილის სპეციალურ აუქციონის საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია და აუქციონზე გატანილი ქონება ისევ ირიცხება სახელმწიფოს სახელზე. სახელმწიფოს ქმედებების შეცილების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის, სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს მოცემულ შემთხვევაში, რატომ არ მოხდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთი თვის ვადაში თანხის გადაუხდელობის შედეგად აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

28. უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც, აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას (სსკ-ის 976-ე მუხლი).

29. მესამე პირის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ოქმი №5-ის გამოცემას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია. შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინაში 2 800 000 ლარის გადარიცხვის საფუძველი შემდგომში მოიშალა, რის გამოც, მოპასუხისათვის თანხის გადარიცხვის ფაქტი ექცევა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ოგულირების რეჟიმში და შესაბამისად, მიღებული შესრულება ექვემდებარება დაბრუნებას.

30. საკითხზე – რამდენად აქვს მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება და ხომ არ წარმოადგენს სათანადო მოსარჩელეს მესამე პირი, პალატამ მიუთითა სსკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის დანანესზე – ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი ალიძრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ, საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მონაწილეობდა ო. ა-ე. სასარჩელო მოთხოვნას წარმო-

ადგენდა დავალიანების ძირითადი თანხის – 2 800 000 ლარის და მიუღებელი შემოსავლის – 1 036 000 ლარის გადახდა. უდავო იყო, რომ თანხა რომლის დაბრუნებასაც ითხოვდა მოსარჩელე წარმოადგენდა მის საკუთრებას და დღეის მდგომარეობით იყო სახელმწიფო მფლობელობაში; მოსარჩელეს თანხა არ გადაურიცხია მესამე პირისათვის, თანხა პირდაპირ გადაირიცხა სახელმწიფო ხაზინაში. მესამე პირი ამ თანხაზე პრეტენზიას არ აცხადებდა, იგი მონაწილეობდა საქმის განხილვაში, იცნობდა სასარჩელო მოთხოვნას და თავის მხრივ დამოუკიდებელი მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა მოთხოვნის უფლება სახელმწიფოს მიმართ, ვინაიდან იგი წარმოადგენდა სადაო თანხის მესაკუთრეს, ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ მესამე პირის სასარგებლოდ გადარიცხა თანხა არ წარმოადგენდა შპს „ფ-ის“ არასათანადო მოსარჩელედ ცნობის საფუძველს.

სსკ-ის 371-ე მუხლის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეობის პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.

განსახილებელ შემთხვევაში, დგინდება, რომ ო. ა-ის ვალდებულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთამანეთის ტერიტორიული ორგანოს კომისიის მიერ მოწყობილ სპეციალურ აუქციონზე, გადაეხადა მის მიერ შეთავაზებული ფასი – ნაწილობრივ შესრულებული იქნა მოსარჩელის მიერ.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნის უფლების მქონეა მოსარჩელე. მესამე პირის მოსარჩელედ ან თანამოსარჩელედ გამოსვლა მოცემულ დაგაში იქნებოდა ფორმალური ხასიათის მატარებელი. მესამე პირის ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე ფაქტია, რომ მისი უფლებების დარღვევას ადგილი არ ქონია, მისი ქონებრივი სიკეთე სახელმწიფოს არ გადასცემია.

31. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სწორად მიუთითა მოპასუხედ – სახელმწიფო, რომელიც ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით, რადგან სსკ-ის 976-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე მოვალეა ის პირი, რომელ-

მაც უსაფუძვლოდ შეიძინა ან დაზოგა ქონება და, შესაბამისად, უსაფუძვლოდ გამდიდრდა. მოცემულ შემთხვევაში, თანხა გადაირიცხა მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ხაზინაში. შესაბამისად, სახელმწიფო გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე.

32. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მოთხოვნა 2 800 000 ლარის დაკისრების შესახებ საფუძვლიანი იყო, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით, მოპასუხისათვის 1 036 000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნა კი, უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, რადგან სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლილის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძლვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს.

სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობს კანონის იმპერატიული დათქმა, რომელიც დაკავშირებულია ამ ქონების (ფულის) თავისებურებებთან, ფულადი ვალდებულებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც ნიშნავს იმას, რომ ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, შესაძლებელია გაცვლილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რომლებიც ატარებენ სასყიდლიან ხასიათს ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამგვარი ქონების მიღებისას, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძლვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიღიღ მისი არასათანადოდ გაძლილის შედეგად.

იმის გათვალისწინებით, რომ საბაზო ეკონომიკის პირობებში ფული განიხილება როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, მისი ფლობა უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმუციას. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატას

გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად, ასევე მოსარჩელი-სათვის სავარაუდო ზიანიად მიაჩნია, გადასახდელი თანხის – 2 800 000 ლარის, წლიური 5%-ის დაკისრება მოპასუხისათვის, მის მიერ მოთხოვნილი 4 წლიანი პერიოდის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენს 560 000 ლარს.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

33. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მონინააღმდეგე მხარემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკავშირებაზე უარის თქმა.

34. კასატორი მიუთითებს მოცემული დავის სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განხილვის უმართებულობაზე და თავის საკასაციო პრეტენზიას იმით ასაბუთებს, რომ 2009 წლის 24 აპრილს მოწყობილ სპეციალურ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა მესამე პირი, რადგან მის მიერ იქნა შემოთავაზებული უძრავი ქონების ყველაზე დიდი ფასი. შესაბამისად, მასზე გაიცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №5. დასახელებული ოქმის საფუძველზე 2009 წლის 8 მაისს სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდა თანხის ჩარიცხვა. ჩარიცხული თანხა შეადგენს შეთავაზებული საფასურის ხახევარს – 2 800 000 ლარს. თანხის ჩარიცხვა განხორციელდა მოსარჩელის კუთვნილი ანგარიშიდან. მითითებულ გარემოებათა და აგრეთვე, იმ მსჯელობის მიუხედავად, რომ საჭირო იყო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება და შეფასება, საქმე სამოქალაქო წარმოებით იქნა განხილული.

დავა არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განსახილველ საკითხს სწორედ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნას წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრების წორმებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, რადგან მოპასუხის მხრიდან არ შესრულებულა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები“, კერძოდ: სამინისტროს არ დაუდია ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რის გამოც, სადაცო თანხის მიღების საფუძველი არ გააჩნია სამინისტროს და შესაბამისად, სახელმწიფოს. როგორც მხარე, ასევე სასამართლო სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციული

კანონმდებლობის დარღვევაზე მიუთითებს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას წარმოადგენს. ასევე, ადმინისტრაციული წესით განსჯადი საკითხი ასევე წებისმიერი საკითხი რომელიც ქონების პრივატიზებიდან გამომდინარეობს, მათ შორის, მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს პრივატიზების პროცესის წარმატებით თუ წარუმატებლად დასრულების შედეგად.

საქმის განხილვისათვის აუცილებელ კომპონენტად განისაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმებში. ამასთან, აღნიშნული დავვები წარმომობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

35. კასატორის პრეტენზია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განანილებასაც ეფუძნება.

36. კასატორი მიუთითებს, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოები იმ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო კანონმდებლობის შესაბამისად, გამოდის როგორც კერძო პირი შესაბამისი უფლებით და მოვალეობებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილების ძირითად მოტივს წარმოადგენს ის, რომ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების №5 ოქმს შედეგად საკუთრების უფლების გადაცემა არ მოყოლია და მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში ირიცხება.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ “საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და საქართველოს მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე პირდაპირი უსასყიდლო გადაცემის ფორმით. ამავე კანონით იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური და ღია აუქციონის ფორმით. თუ იჯარით გაუცემელ მიწასთან დაკავშირებით მოწყობილ სპეციალურ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული, მხოლოდ მას შემდეგ

არის შესაძლებელი დია აუქციონის ჩატარება. ამავე კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სპეციალურ და ლია აუქციონებში გამარჯვებული პირი გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიღებიდან ერთი თვის ვადაში იხდის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე 20%-ს და ნარდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე ეთვლება მიწის ნაკვეთის საფასურში. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ შესაძლებელია მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, ხოლო საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში – მიწისა და უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება საჯარო რეესტრში საკუთრებისა და იპოთეკის უფლებების რეგისტრაციისათვის. თუ გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, აუქციონის შედეგები ბათოლად ცხადდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე არ უბრუნდება.

დასახელებული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ პირი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ჩაითვლება. შესაბამისად, პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს საჯარო რეესტრს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ ვალდებულია განახორციელოს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ცვლილება. მოცემულ შემთხვევაში, მესამე პირის მიერ გადახდილი იქნა მიწის ნაკვეთის ღირებულების ნახევარი, რაც „სახელმწიფო საკუთრებაში არ-სებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრულ რეგულაციაში ექცევა. შესაბამისად, სასამართლოს მითითება, რომ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ №5 ოქმს შედეგები არ მოჰყოლია, არ არის მართებული.

სახელმწიფოს სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაცია არ ნიშნავს, რომ აუქციონში გამარჯვებულ პირს მოთხოვნის უფლება არ აქვს. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში უძრავი ქონება ალირიცხება აუქციონში გამარჯვებული პირის სახელზე. სასამართლო არ გამოიყენა „სახელმწიფო საკუთრებაში არსე-

ბული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

37. კასატორი მიუთითებს, რომ ბაჟის დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული.

38. თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პრივატიზების პროცესის დასრულება დაკავშირებულია თანხის გადახდასთან, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შედეგი არ დადგება. თუმცა, სასამართლომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნები. დასახელებული მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ პირი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში, აუქციონი ჩატარდა 2009 წლის 24 აპრილს, ხოლო შეთავაზებული თანხის ნახევრის გადახდა განხორციელდა კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ 2009 წლის 8 მაისს.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სახელმწიფო სახელზე რეგისტრაცია აუქციონში მონაწილე პირისა და აუქციონის ჩამტარებელი ორგანოს შორის გადასაწყვეტი საკითხია, აუქციონში გამარჯვებული პირის გადასაწყვეტია, როდის ალირიკება უძრავი ქონება მის სახელზე. თუკეთ ერთი პირი არ ასრულებს რაიმე ვალდებულებას, აღნიშნული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ და მხოლოდ კრედიტორს გააჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, თითქოს მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რადგან პრივატიზების პროცესი არ დასრულებულა. აღნიშნულ მოსაზრებას სამინისტრო არ ეთანხმება, რადგან როგორც აუქციონის ჩატარების დროისათვის, ისე დღეს მოქმედი ნორმების შესაბამისად აუქციონში გამარჯვებულ პირს საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს. მოცემულ შემთხვევაში, სადაც არ არის ის ფაქტი, რომ აუქციონში გამარჯვებული პირის სასარგებლოდ გადახდილია საფასურის ნახევრი, რაც კანონის შესაბამისად მიიჩნევა, რომ მხარეს საკუთრების უფლება ნარმოებვა და ნებისმიერ დროს შეუძლია საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ორგანოს.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინებით საკასა-
ციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სსსკ-ის 39%-ე მუხ-
ლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწ-
მებლად, ხოლო 2016 წლის 23 მარტის განჩინებით კი, საკასა-
ციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

40. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები,
გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, სა-
კასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო
საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

41. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს
მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშ-
ვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2009 წლის 23 აპრილს, საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების
აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის ტერიტორი-
ულ ორგანოს სპეციალური აუქციონის მომწყობ კომისიას გან-
ცხადებით მიმართა მესამე პირმა 2009 წლის 24 აპრილის სპე-
ციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით, რო-
გმლზედაც შემდგომი პრივატიზების მიზნით გამოტანილი იყო
მცხეთის რაიონში, სოფელ წილკნის ტერიტორიაზე მდებარე,
13000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მესამე პირმა აუქციონში მონაწილე-
ობის მისაღებად „ბეს“ სახით გადაიხადა მიწის ნაკვეთის საწყი-
სი ფასის – 101.40 ლარის 30%-ი 31.00 ლარი.

- 2009 წლის 24 აპრილს აუქციონზე მესამე პირის მიერ ერ-
თჯერადად შეთავაზებულ იქნა ფასი – 5,600,000 ლარი. იმავე
დღეს კომისიამ გამარჯვებული მესამე პირის მიმართ გამოსცა
აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №5.

- 2009 წლის 8 მაისს, შპს „ჯ-ტის“ ანგარიშიდან სახელმწიფო
ხაზინაში გადაირცხა – 2,800,000 ლარი, საფუძველი – სპეცია-
ლურ აუქციონში ოქმი №5, გამარჯვებული მესამე პირის მიწის
ნაკვეთის ღირებულება. შპს „ჯ-ტის“ საფირმო სახელწოდებას
2010 წლის 29 სექტემბრიდან ნარმოადგენს შპს „ფ-ი“.

- დადგენილია, რომ პრივატიზების მიზნით გამოტანილი მი-
ნის ნაკვეთის (აუქციონში გამარჯვების შედეგად დადგენილი)
შესასყიდვი საფასურიდან 5,600,000 ლარიდან გადახდილია მხო-
ლოდ – 2,800,000 ლარი, ხოლო მიწის ნაკვეთის ღირებულების
დანარჩენი ნაწილი – 2,800,000 ლარი მესამე პირს არ გადაუხ-
დია.

– დღეის მდგომარეობით, აუქციონზე გამოტანილი მინის ნაკვეთი სარეგისტრაციო ნომრით: 72.02.29.096, რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე და მასზე მესამე პირის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

32. მოსარჩელემ მოითხოვა გადარიცხული თანხის, როგორც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულის უკან დაბრუნება, რომლის დაბრუნებაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაეკისრა მოპასუხეს.

42. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ვინაიდან 2009 წლის 24 აპრილის სპეციალურ აუქციონს საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია და აუქციონზე გატანილი ქონება ისევ ირიცხება სახელმწიფოს სახელზე, სახე ზეა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი, რაც მოპასუხის კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის საფუძველია.

43. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატიორმა წარმოადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 976-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

44. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემოწებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტარქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავისკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლო-

ბის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საკასაციო პალატა დავის სამართლებრივი შეფასებისას აღნიშნავს, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის დაბრუნება, ამდენად, უნდა განისაზღვროს შპს „ფ-ის“ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიეროთობაში მონაბილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძვლი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვე-

ული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

45. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გაქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

46. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ უსაფუძვლოდ (სამართლებრივი საფუძვლის გარეშე) მიღებული თანხის უკან დაბრუნება ნარმოადგენდა. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სადავო თანხა სახელ-

მწიფო ხაზინაში გადაირიცხა კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების დადგომის შედეგად, კერძოდ, დადგენილია, რომ 2009 წლის 8 მაისს, მპს „ჯ-ტის“ ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა – 2,800,000 ლარი, საფუძველი – სპეციალურ აუქციონში ოქმი №5, გამარჯვებული მესამე პირის მიწის ნაკვეთის ღირებულება.

ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე, მოსარჩელის/აპელანტის მითითებას სადაც თანხის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადარიცხვასა და მიღებაზე, სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს კონდიქციური ვალდებულების არსებობას.

47. ზემოთ პალიტენულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმდისა და შესაბამისად, სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის დაგმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

48. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი ერთ-ერთი პრეტენზიად საგნობრივი განსჯადობის წესების დაუცველობასაც მიიჩნევს, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და პირველ რიგში, განმარტავს, რომ დავა, რომელიც გამომოდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონობრივი და არის ადმინისტრაციული სამართლის კანონომდებლობით განსჯადი, ხოლო დავა, რომელიც გამომდინარეობს, სამოქალაქო სამართლის კანონომდებლობიდან არის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გასჯადი. ე.ი ამოსაგალი პრინციპი დავის ხასიათს, მოთხოვნასა და საფუძველს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნული კი, უდავოდ წარმოადგენს განსჯადობის გარკვევის წინაპირობას.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოში განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაკისრება. შესაბამისად, დავა სწორად იქნა განხილული სამოქალაქო სამართალწარმოების წესებით.

49. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის

„ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბ-სოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

IX. სასამართლო ხარჯი

49. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

50. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ფ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლობ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი, რომლის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო კასატორი. აღნიშნული თანხა შეადგენს საკასაციო საჩივრის ღირებულების (3,360,000 ლარი) 5%. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული თანხა აღმატება სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ.ბ) პუნქტით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს 8000 ლარით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი თ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტი-

- ლება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ფ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
 4. შპს „ფ-ს“ დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 8000 ლარი. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი №...;
 5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სხვის ხარჯზე უსაფუძლოდ გამდიდრების შედეგები

გადაწყვეტილება საკართველოს სახელით

№ას-1206-1151-2013

10 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა:** პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. პ-ებ მოპასუხე ს. მ-ას მიმართ და მოითხოვა მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩის №... შესახვევის №../.-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 1/2 ნილის მესაკუთრედ ცნობა.

2. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე მოპასუხესთან ერთად ჩანსრილი იყო და ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ფ-ის ქუჩის მე-3 შესახვევის №..-ში მდებარე ბინაში. 1993 წელს მოპასუხემ თავის სახელზე განახორციელა ზემოაღნიშნული ბინის პრივატიზაცია, ხოლო 1994 წელს პრივატიზებული ბინა გაუცვალა თავის დას ამ უკანასკნელის კუთვნილ ბინაში – მდებარე ქ. ქუთაისში, ნ-ს ქუჩის პირველი შესახვევის №../.-ში. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე, მან, მოპასუხეს-

თან ერთად, მოიპოვა თანასაკუთრების უფლება ქ. ქუთაისში, ფ-ის ქუჩის მე-3 შესახვევის №....-ში მდებარე ბინაზე, ვინაიდან იგი წარმოადგენდა მოპასუხის (დამქირავებლის) ოჯახის წევრს (არასრულწლოვან შვილს), ჩაწერილი იყო ზემოხსენებულ ბინა-ში და ცხოვრობდა დამქირავებელთან ერთად. მოსარჩელის მოსაზრებით, ვინაიდან იგი პრივატიზებული ბინის 1/2 ნაწილის მესაკუთრეს წარმოადგენდა, მას გაცვლით მიღებულ ბინაშიც ეკუთვნოდა 1/2 ნილი.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაქმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული, ქ. ქუთაისში, ნ.-ს ქუჩის პირველი შესახვევის №.../-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 50%-ის (1/2 ნილის) მესაკუთრედ.

4. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. მოსარჩელე არის მოპასუხის შვილი. იგი დაიბადა 197.. წლის 8 ოქტომბერს. მოსარჩელე 1977 წლიდან ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა მოპასუხესთან ერთად ქ. ქუთაისში, ფ-ის ქუჩის მე... შესახვევის №.../-ში.

4.2. 1994 წლის 10 თებერვლის პრივატიზაციის ხელშეკრულებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №107 დადგენილების თანახმად, მოპასუხეს უსასყიდლოდ გადაეცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა – მდებარე ქ. ქუთაისში, ფ-ს ქუჩის მე.... შესახვევის №.../-ში, 27.53კვ.მ საცხოვრებელი ფართითა და დამხმარე სათავსოებით.

4.3. 1994 წლის 23 მარტის გაცვლის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხებ ქ. ქუთაისში, ფ-ს ქუჩის მე... შესახვევის №.../-ში მდებარე ბინა გაუცვალა თავის დას ქ. ქუთაისში, ნ-ს ქუჩის პირველი შესახვევის №.../-ში მდებარე ბინაში, საცხოვრებელი ფართით 31.32კვ.მ.

4.4. 1994 წლიდან მოსარჩელე მოპასუხესთან ერთად ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა ქ.ქუთაისში, ნ-ს ქუჩის პირველი შესახვევის №.../-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საქართველოს რესპუბლიკში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილებაზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, როგორც მოპასუხის (დამქირავებლის) ოჯახის წევრმა და სადაცო ფართში ჩაწერილმა პირმა, მოპასუხესთან ერთად მოიპოვა თანასაკუთრების უფლება ქ. ქუ-

თაისში, ფ-ის ქუჩის მე-... შესახვევის №...-ში მდებარე ბინაზე.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია ასევე, რომ გაცვლის ხელშეკრულების დადების დროს მოპასუხე წარმოადგენდა ასევე თავისი არასრულნოვანი შვილის (მოსარჩელის) ინტერესებსაც და ამ უკანასკნელის კუთვნილი წილი გაუცვალა თავის დას, შესაბამისად, მოსარჩელემ მოიპოვა საკუთრების უფლება გაცვლილ ბინაზეც.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სა-აპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. მ-ას სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მიიჩნია, რომ სადავო ბინა არ წარმოადგენდა იმ უძრავ ნივთს, რომელზეც მოსარჩელეს შესაძლებელია ჰქონოდა საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან პრივატიზაციის ხელშეკრულების შემდეგ დადებული გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო ბინა აღირიცხა მოპასუხის საკუთრებაში, შესაბამისად, მოსარჩელემ დაკარგა ამ ბინაზე წილის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან იგი არ იყო პრივატიზაციით მიღებული ქონება.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

მოპასუხის სააპელაციო საჩივრი ეფუძნებოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო ხანდაზმული. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ სულ სხვა საფუძვლით უთხრა უარი მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნები. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა მათ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა და გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვინაიდან ბინების გაცვლისას აუცილებელი იყო ოჯახის სრულნოვა-

ნი წევრების თანხმობა, მოსარჩელე კი, როგორც დადგენილია მოცემულ საქმეზე, გაცვლის დროს არასრულნლოვანი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გა-რემოვებათა გამო:

12. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ და-გენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12.1. მოსარჩელე არის მოპასუხის შვილი. იგი დაიბადა 1977 წლის .. ოქტომბერს. მოსარჩელე 1977 წლიდან ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა მოპასუხესთან ერთად ქ. ქუთაისში, ფ-ის ქუჩის მე-... შესახვევის №...-ში.

12.2. 1994 წლის 10 თებერვლის პრივატიზაციის ხელშეკრუ-ლებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №107 დადგენილების თანახმად, მოპასუხეს უსას-ყიდლოდ გადაეცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს კუთ-ვნილი საცხოვრებელი ბინა – მდებარე ქ. ქუთაისში, ფ-ის ქუჩის მე-... შესახვევის №...-ში, 27.53 კვ.მ საცხოვრებელი ფართითა და დამხმარე სათავსოებით.

12.3. 1994 წლის 23 მარტის გაცვლის ხელშეკრულების თა-ნახმად, მოპასუხემ ქ. ქუთაისში, ფ-ის ქუჩის მე-.. შესახვევის №...-ში მდებარე ბინა გაუცვალა თავის დას ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩის პირველი შესახვევის №.../..-ში მდებარე ბინაში.

12.4. 1994 წლიდან მოსარჩელე მოპასუხესთან ერთად ჩაწე-რილი იყო და ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩის პირველი შე-სახვევის №.../..-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში.

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გა-დაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კო-დექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სა-ვალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენე-ბული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შე-დავება).

14. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივ-რით სადაცოდ არაა გამხდარი, შესაბამისად, ეს გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

15. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს რეს-

პუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107-ე დადგენილებაზე და ამ დადგენილების გამოყენების შედეგად უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის პრივატიზაციის დროს, ბინაში კანონით დადგენილი წესით ჩასახლებული და მცხოვრები ყველა პირი (ბინის დამქირავებლები და ამ დამქირავებლის ოჯახის წევრები), მათ შორის არასრულწლოვანიც, ითვლება ბინის თანამესაკუთრედ, იმის-და მიუხედავად, ოჯახის რომელი წევრის სახელზე განხორციელდება ბინის პრივატიზაცია (იხ. სუსგ, 31.03.2009წ., საქმეზე №ას-997-1196-08).

16. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107-ე დადგენილების საფუძველზე, მოსარჩელემ, როგორც მოპასუხის (დამქირავებლის) ოჯახის წევრმა და სადავო ფართში ჩაწერილმა პირმა, მოპასუხესთან ერთად, თანასაკუთრების უფლება მოიპოვა ქ.ქუთაისში, ფ.-ის ქუჩის მე-.. შესახვევის №..-ში მდებარე ბინაზე.

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელემ კანონის საფუძველზე მოიპოვა საკუთრების უფლება ზემოაღნიშნული ბინის 1/2 ნაწილზე და, მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთი მთლიანად მოპასუხის საკუთრებაში აღირიცხა საჯარო რეესტრში, მოსარჩელეს არ დაუკარგავს საკუთრების უფლება მის კუთვნილ წილზე. მართალია, მესამე პირებთან ურთიერთობაში სადავო ბინის ერთადერთ მესაკუთრედ მოპასუხე მიიჩნეოდა, მაგრამ პრივატიზაციაზე უფლების მქონე პირთა შიდა ურთიერთობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერი გავლენას ვერ მოახდენდა და ვერ შეცვლიდა იმ ფაქტს, რომ მოპასუხესთან ერთად, მოსარჩელეც ამ ბინის თანამესაკუთრე იყო. მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-3 ნაწილის („თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას, დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში“) გამოყენება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მო-

სარჩელე ედავება არა უძრავი ქონების შემძენ მესამე პირს, არა-მედ იმ პირს, ვინც პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველ-ზე სადაც უძრავი ნივთი მთლიანად თავის საკუთრებაში აღ-რიცხა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბინის 1/2 ნაწილზე მოსარჩე-ლემაც მოიპოვა საკუთრების უფლება.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს შეეძლო მხოლოდ მისი თანასაკუთ-რების წილის და არა საერთო საკუთრების ბინის (საზიარო საგ-ნის) სრულად განკარგვა (სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლის პირველი წინადადება – „თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარ-გოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხო-ლოდ ერთობლივად“). განსახილველ შემთხვევაში, გაცვლის ხელშეკრულების საფუძველ-ზე საზიარო საგნის გასხვისებით, მოპასუხემ განკარგა არა მარტო მისი თანასაკუთრების წილი, არამედ მოსარჩელის კუთვნილი წილიც, ხოლო სადაც ქონების გაცვლის შედეგად მიღებული შესრულების (შეძენილის) მხო-ლოდ თავის საკუთრებაში აღრიცხვით, მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე.

19. სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუ-ალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.

20. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევა-ში სახეზეა ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული კონ-დიქციური ვალდებულება, ვინაიდან მოპასუხე მოსარჩელის ქო-ნებრივი ინტერესების ხელყოფით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, კერძოდ, მოპასუხემ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თა-ვის საკუთრებაში აღრიცხა მოსარჩელის კუთვნილი სადაც ბი-ნის 1/2 წილი.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენა უნ-და დაეფუძნოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლსა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას („უკან დაპ-რუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე ...“).

22. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხების მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან მან მოთხოვ-ნის განხორციელების ხელშემშლელი შესაგებელი დაგვიანებით წარადგინა, კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუ-ხეს საქმის მომზადების სტადიაზე არ მიუთითებია სარჩელის ხანდაზმულობაზე. მოპასუხემ მხოლოდ საქმის არსებითი გან-ხილვის ეტაპზე (სასამართლოს მთავარ სხდომაზე) მიუთითა

სარჩელის ხანდაზმულობაზე, ამასთან, მას არ დაუსაბუთებია, თუ რატომ ვერ შეძლო მან ამის გაკეთება საქმის მომზადების სტადიაზე და გააჩნდა თუ არა საპატიო მიზეზი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 206-ე მუხლისა და 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე მოპასუხებ უნდა მიუთითოს საქმის მომზადების სტადიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს (იხ. სუსგ, 28.05.2009წ., საქმეზე №ას-21-358-09; 13.04.2007წ., საქმეზე №ას-863-1219-06).

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი), კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი) და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კანონის აღნიშნული დარღვევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

24. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

25. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს – მოსარჩელე ცნობილ უნდა იქნეს მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების – მდებარე ქ. ქუთაისი, ნ-ას ქუჩა, .. შესახვევი, №..., ბინა №. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №.....) – 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

26. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გა-

დახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაუმტებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2000 ლარამდე ოდენობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებას.

27. მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისას.

28. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორს (მოსარჩელეს) სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს: სარჩელზე – 240.00 ლარი, სარჩელის უზრუნველყოფაზე – 50.00 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივრაზე – 400.00 ლარი. კასატორს გადახდილი აქვს ასევე შემდეგი საპროცესო ხარჯები: სასაქონლო ექსპერტიზის ხარჯი – 100.00 ლარი, საჯარო რეესტრში ინფორმაციის მოპოვების ხარჯი – 35.00 ლარი, საადვოკატო მომსახურებაზე განეული ხარჯი – 530.00 ლარი.

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, წაგებულ მხარეს – მოპასუხეს მოგებული მხარის – მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე, სარჩელის უზრუნველ

ყოფაზე და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაზი სრულად – 690.00 (240+400+50) ლარი, მოპასუხეს ასევე სრულად უნდა დაეკისროს სასაქონლო ექსპერტიზის ხარჯი – 100.00 ლარი და საჯარო რეესტრში ინფორმაციის მოპოვების ხარჯი – 35.00 ლარი. რაც შეეხება საადვოკატო მომსახურებაზე განეულ ხარჯს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი არ შეიძლება იყოს დავის საგნის ლირებულების 4 პროცენტზე მეტი. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, დავის საგნის ლირებულების ($15900:2=7950$) 4% შეადგენს 318.00 ლარს, მაგრამ საკასაციო სასამართლო მოპასუხეს 300 ლარზე მეტს ვერ დააკისრებს, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 300 ლარის გადახდა საადვოკატო მომსახურებაზე განეულ ხარჯის ასანაზღაურებალად. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის 300 ლარზე მეტი თანხის დაკისრება იქნებოდა მოპასუხებისათვის საუკარესოდ შებრუნება.

30. საერთო ჯამში მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1125.00 (690+100+35+300) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. გ. პ-ე ცნობილ იქნეს ს. მ-ას საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების – მდებარე ქ. ქუთაისი, ნ-ას ქუჩა, .. შესახვევი, №.., ბინა №.. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) – 1/2 ნაწილის მესაკუთრედ;
5. ს. მ-ას გ. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1125 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გაღებული პროცესის ხარჯების ასანაზღაურებლად;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქონელი

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები	3
2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	
საწარმოო ტრავმის გამო დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება	38
ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის	49
3. პირგასამტებლო	56; 66; 75; 86
4. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	100
საზიარო საგნის განკარგვის წესი	100
საზიარო უფლების გაუქმება	110; 126; 134
5. უსაფუძვლო გამდიდრება	151; 169; 179
სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები	198

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge